სამეგრელო ტაბელი

№28 (710)
ოთხშაბათი
13 სექტემბერი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.

ზაალ ანჯაფარიძე:

ევროკავშირში თავაწეულები და ამაყნი უნდა შევიდეთ

იგორ კვესელავა:

ჩვენ კანდიდატის სტატუსს მივიღებთ - ოღონდ გარკვეული დათქმებით

რატომ ვართ „განვითარებადი“ ქვეყნის შვილები?

ალი ბაბაევი:

საქართველო მზად არის, კავკასიაში მშვიდობა და სტაბილურობა უზრუნველყოს

იური პაპასქუა:

მხოლოდ განათლება იყო და არის წყარო ყოველგვარი ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისა

მამუკა ფიფია:

სახალხო დიპლომატია - გზა აფხაზეთისა და ცხინვალისკენ

სიტყვები

მე იმ ჯადოქარ სიყვავ დავიძახ,
ის ჯადოქარი სიყვა მიშვრ ის,
სიყვა, ზეცისგანი ვამლაკმერ ი,
რეჭლიანებში აღუნიშვნერ ი,
ასალ ვერ დაშრ ის ვერაფიკლი,
ყოველ, ავსარად, აბმის ნიშნებად.
სიყვა, ჩამრ ილ ან ვაიყლა
და მარცვალ-მარცვალ ან დაშრ ხა,
სიყვა, ჩამრ სალ სიყვია ვერ ანსნი,
სიყვია ვერ ილყვი და ვერ ვამლაკვამ,
სიყვა, ჩამრ ილ შერეული ია,
დრ ის შეკერან და სალამურან.
ის, ჩვენ ხეზე, სიყვეის შეა
დვალ ნაუბად და მარავ ნერყერ ად.
დამერეკ ან ჩვენი სიყვეი,
ჩამალ დალ ერ ან და ვალვეალ ან.
ვერ შეინავ ი მაა ყანელყოია
და ვერალ ნერ ად მინერ ვურ ერნერ.
ეს ის სიყვაა ხმამალ ა აკმურ ი,
სიყვეის იკია ასალ ვურ ერმანა.
მე იმ ჯადოქარ სიყვავ დავიძახ,
ის ჯადოქარი სიყვა მიშვრ ის,
სიყვა ზეცისგანი ვამლაკმერ ი,
რეჭლიანებში აღუნიშვნერ ი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს კერძო ვიზიტის დროს არასდროს უმგზავრია სახელმწიფოს ხარჯით

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის რევაზ ჯაველიძის განცხადებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს კერძო ვიზიტის დროს არასდროს უმგზავრია სახელმწიფოს ხარჯით.

მისივე თქმით, პრემიერს კანონი არ დაურღვევია.

„საქართველოს პრემიერ-მინისტრს კერძო ვიზიტის დროს არასდროს უმგზავრია - არც ამ კონკრეტულ შემთხვევაში და არც მომავალში აპირებს, რომ სახელმწიფოს ხარჯზე იმგზავროს. მას საქართველოს კანონი არ დაურღვევია. სამთავრობო ბორტის გამოყენების უფლება მას აქვს ისევე, როგორც სახელმწიფო დაცვის უფლება. ამაზე ანზორ ჩუბინიძემ საკმაოდ ვრცელი განცხადება გააკეთა და ის კამპანია, რომელიც დღეს მიმდინარეობს არის ცილისმწამებლური, არის ცრუ და არის ტყუილი. ეს იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის კერძო ვიზიტი და ის არის პასუხისმგებელი იმ ხარჯებზე, რაც დაკავშირებულია ამ ვიზიტთან“, - განაცხადა რევაზ ჯაველიძემ „იმედთან“ საუბრისას.

ცნობისთვის, “ტვ პირველის” ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სამთავრობო თვითმფრინავი პირადი ვიზიტისთვის გამოიყენა.

საპასუხოდ მთავრობის სტრატკომმა დღეს კიდევ ერთი განცხადება გაავრცელა, რითაც გამოეხმაურა ტელეკომპანია “პირველის” ევთერში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის აშშ-ში მგზავრობის შესახებ გასულ სიუჟეტს და დეზინფორმაცია უწოდა.

სტრატკომის ინფორმაციით, რეისი, რომლითაც პრემიერ-მინისტრი მიუნხენში გაემგზავრა, იყო კომერციული და კერძო ვიზიტისას პრემიერ-მინისტრის მგზავრობის თუ ნებისმიერი სხვა ხარჯი სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ გაწეულა. ამასთან, მთავრობის სტრატკომი განმარტავს, რომ თვითმფრინავი, რომლითაც პრემიერ-მინისტრმა მიუნხენამდე იმგზავრა, იმყოფება სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს ბალანსზე, რომელსაც აქვს სრული უფლება, მიიღოს შემოსავლები მათ შორის, კომერციული და კერძო პირებისგან.

დავით ქართველიშვილი: სააკაშვილი იყო ერთადერთი პრეზიდენტი, ვისაც უპრეცენდენტო რაოდენობის პირადი და სახელმწიფო დაცვის სისტემა იცავდა

საქართველოს უახლოეს ისტორიაში სააკაშვილი იყო ერთადერთი პრეზიდენტი, ვისაც უპრეცენდენტო რაოდენობისა და მრაფალეროვანი პირადი სახელმწიფო დაცვის სისტემა იცავდა პირადად მას, მის მეუღლეს, დედას, შვილებს, ბებიას, ბაბუას, ბიძას, ბიძაშვილებს და ა.შ. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე და რამდენიმე სტრუქტურული დანაყოფის ბაზაზე ხდებოდა - სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური და შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფები უზრუნველყოფდნენ სააკაშვილის მრავალრიცხოვანი ოჯახის დაცვას.

ყველაზე თვალსაჩინო იყო სააკაშვილის თითოეულ სასიყვარულო პაემანისთვის გამოყოფილი ადამიანური და მატერიალური რესურსი. მე მხოლოდ ერთს მოვიყვან მაგალითად. 2007 წლის 8 აპრილის სააღდგომო ღამე. სამების საკათედრო ტაძარში „სპეცღონისძიებაა“. გაისმის ბრძანება: „ბობოყვათის საპრეზიდენტო რეზიდენციის მიმართულებით დილის 5 საათზე გადის ესკორტი“.

ბობოყვათში ესკორტი ჩავიდა დილის 8 საათზე. ეს კიდევ „გამარტივებული“ ღონისძიება იყო. თუ, მაგალითად, ბობოყვათში ლამაზმანთან უნდა გაეტარებინა დრო, მანამდე კი ესადილა მასთან ერთად მესტიაში, ათეულობით სპეცმანქანა მიემართებოდა ამ ორივე ლოკაციის მიმართულებით, ცალკე მიფრინავდა ვერტმფრენი და ასეულობით თანამშრომელი იყო ჩართული ამ „სახელმწიფო მნიშვნელობის“ ღონისძიებებში.

2007 წლის 8 აპრილს კი მთავარსარდალი ბათუმში ჩაფრინდა თვითმფრინავით, იქიდან რეზიდენციამდე - ესკორტით, ხოლო ბობოყვათში მას ელოდებოდა ვერტმფრენი, რომლითაც გვიან საღამოს შავნაბადას სამხედრო ბაზაზე უნდა დაბრუნებულიყო და როგორც აღმოჩნდა, სტუმართან ერთად. ბობოყვათში პრეზიდენტს წინა დღით იქ დაბინავებული სოფიო ნიჟარაძე ელოდებოდა, იმ მომენტისთვის ჩვენთვის ნაკლებად ცნობილი მომღერალი, მოსკოვის ოპერეტის თეატრის პრიმა, 2004-2006 წლებში ოპერეტა „რომეო და ჯულიეტაში“ ჯულიეტას პარტიის შემსრულებელი.

მესმის თქვენი. ჩემთვისაც ძალიან მიმზიდველია იმ ვარაუდის დაშვება, თუ რაოდენ „გემრიელად“ გამოიყურება ოპერატიული ვერსია - თუ როგორ „ჩაუდეს“ მთავარსარდალს მოსკოვიდან თავისი პერსპექტიული „გავლენის აგენტი“ იმ ძალზე მნიშვნელოვან (!) პერიოდში. მაგრამ, არ გავყვეთ ჩვენს კონსპიროლოგიურ თეორიებს - „სადა აქვთ“ რუსეთის სპეცსამსახურებს ამდენი ჭკუა. დავუბრუნდეთ სახელმწიფო ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯების ამ მხოლოდ ერთ ეპიზოდს - ათობით თანამშრომელი, თავისი კვების და ღამისთევის სამივლინებო ხარჯებით, თვითმფრინავი, ვერტმფრენი, საწვავი, სადილი, ვახშამი, სტუმრისთვის განკუთვნილი ძვირადღირებული საჩუქრები და ა.შ.

რატომ გამიგრძელდა ამ საზიზღრობის გახსენება. გუშინ ჩემს ერთ-ერთ პატივსაცემ სტრუქტურას, „სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურს“ მორიგ ჯერზე ბინძურად შეეხნენ. როდესაც ეს სამსახური სექტის „კანტორად“ იყო ქცეული, სააკაშვილის ყოველ საცხოვრებელ სახლთან, დედამისთან, ბებია/ბაბუასთან - ყველგან იყო განლაგებული სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მუდმივმოქმედი დაცვის ჯიხურები. ამ ადამიანების უსაფრთხოებას ემსახურებოდა ცალკე დანაყოფები.

მიუხედავად იმისა, რომ პრემიერის ოჯახი, შვილები - ასევე წარმოადგენენ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დაცვის ობიექტებს, ვერც ჯიხურს ნახავთ მისი მშობლების სახლთან და არც უსაფრთხოების დამატებით ზომებს პრემიერი არ მიმართავს.

სექსოკრატიული ავტორიტარული რეჟიმის დაცვის სისტემა ამ ქვეყანაში წარსულს ჩაბარდა. თავის დროზე, კავკასიის რეგიონში მხოლოდ რამზან კადიროვის პირადი დაცვა აღემატებოდა სააკაშვილის დაცვას. რატომ აბიჯებენ სექტანტები და მათი „მედია“ ყოველ ჯერზე ასეთ დანაღმულ თემებს, თანაც ასეთი გაშმაგებული სიხარულით, ჩემთვის ამოუხსნელი ფენომენია. დემენცია ჩვენში კი არა - თავიანთ ბელადსა და მის ლაქიებში მოიკითხონ.

სამშობლოსა და უფლისადმი სიმართლით მსახურების გამო მივიჩნევთ დიდ მწერალს ერის მამად

დღეს 116 წელი შესრულდა დიდი მწერლისა და ეროვნული მოღვაწის, თანამედროვე საქართველოს უმთავრესი შემოქმედის - ილია ჭავჭავაძის მკვლელობიდან.

ამ ტრაგიკული მოვლენის გამო ვაჟა-ფშაველა წერდა: „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოს მოკლავდნენო“. მართლაც, ძნელია მთელ ისტორიაში მოძებნო ადამიანი, რომლის ბიოგრაფიაც ასე მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის ბედთან. მისმა ტიტანურმა ძალისხმევამ, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს განვითარებაში შეტანილმა უდიდესმა წვლილმა ნიადაგი მოამზადა საქართველოს თავისუფლებისთვის, განსაზღვრა შემდგომი განვითარების პროცესები, შექმნა ურღვევი ფასეულობათა სისტემა, რომელიც დღესაც ორიენტირად რჩება ჩვენთვის.

ჩვენმა დედა ეკლესიამ ილია ჭავჭავაძე წმინდანად შერაცხა და ილია მართალი უწოდა. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის - სწორედ სამშობლოსა და უფლისადმი სიმართლით მსახურების გამო მივიჩნევთ დიდ მწერალს ერის მამად, მამულიშვილობისა და ზნეობის მისაბაძ მაგალითად. მარადიული იყოს მისი ნათელი ხსოვნა!“, - აღნიშნავს პრემიერ-მინისტრი.

კახა კალაძე: კუბილიუსი ვერ იქნება ჩვენი უფროსი, ჩვენი უფროსი საქართველოს მოსახლეობაა

„პირდაპირ ვიტყვი, რომ კუბილიუსები და მსგავსი ტიპაჟები არიან ამ ქვეყნის მტრები, საქართველოს ევროპული მომავლის მტრები, „კუბილიუსებს და მსგავს ელემენტებს საერთოდ არ აინტერესებთ ამ ქვეყნის მომავალი, ჩვენი ევროინტეგრაცია. მათ აქვთ ერთადერთი ინტერესი - „ნაციონალური მოძრაობა“. კუბილიუსი ვერ იქნება ჩვენი უფროსი, ჩვენი უფროსი არის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა. 2012 წლიდან მოყოლებული ხალხი რეალურად ხედავს, თუ რა ნაბიჯები იდგმება ევროინტეგრაციის ამ ურთულეს გზაზე. თუ მართლა რაიმე წარმატებას მივაღწიეთ, ყველაფერი უკავშირდება „ქართულ ოცნებას“, ჩვენს ხალხთან ერთად.

დღეს ერთადერთი ძალა, ვისაც შეუძლია შეინარჩუნოს მშვიდობა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, კიდევ უფრო დააახლოვოს ქვეყნა ევროპასთან და ევროპულ მომავალთან, არის „ქართული ოცნება“, - განაცხადა კახა კალაძემ.

ევროკავშირში თავანეულები და ამაყნი უნდა შევიდეთ

„გამოცდაზე პროფესორს ადანაშაულებთ? პროცესი დამსახურებაზეა, შეასრულეთ პირობები!“ - ასე უპასუხა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჟოზეფ ბორელმა ჟურნალისტის კითხვას, - კანდიდატის სტატუსზე უარი ხომ არ გააჩენს სკეპტიციზმს და იმედგაცრუებას საქართველოს მოსახლეობაში და ხომ არ იქნება გზავნილი, რომ საქართველო ევროპამ მიატოვა? მანვე აღნიშნა, რომ ევროპა საქართველოს არასდროს მიატოვებს, „კარი ღიაა“ და მათ სურთ, დაგვეხმარონ ამ გზაზე.

საუბარი ანალიტიკოს ზაალ ანჯაფარიძესთან ჯოზეფ ბორელისა და ირაკლი ღარიბაშვილის შეხვედრის შეფასებით დავიწყეთ:

- საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობის ისტორიაში, პრაქტიკულად, პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელი ღიად, საჯაროდ, ასეთი ხისტი ტონით შეეპასუხა ჩამოსულ ევროპელ მაღალჩინოსანს. ეს შეიძელება ნიშნავდეს იმას, რომ საქართველოს ამჟამინდელ მთავრობა, გარკვეულწილად, ცვლის მოქცევის წესებს, არამხოლოდ ევროკავშირის, არამედ მისი დასავლელი პარტნორების მიმართ, რაც აქამდე იყო დამკვიდრებული, როდესაც საქართველო თავდახრილი, მორჩილად ეთანხმებოდა უსამართლო და უსაფუძვლო კრიტიკულ შეფასებებს. ამჯერად საზოგადოების აზრი ორად გაიყო: ერთმა ნაწილმა ძალიან მოიწონა ღარიბაშვილის ეს საქციელი, მისი პასუხები და დამოკიდებულება ჟოზეფ ბორელის მიმართვასთან დაკავშირებით, ლიბერალურმა ნაწილმა კი მისი პასუხი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა. თუმცა, მთავარი, რაც ბორელის განცხადებიდან გავიგეთ, ის არის, რომ ევროკავშირი ჯერ მაინც იმისკენ იხრება, რომ საქართველოს კიდევ ერთხელ შეუჩეროს სტატუსის მინიჭების საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ წამოყენებული მოთხოვნები, დარჩენილ დროში არ შესრულდება. ცოტა დროა დარჩენილი და ამ ხნის განმავლობაში უნდა განხორციელდეს ის ცვლილებები, რასაც „ქართული ოცნება“, შეიძლება, სულაც არ ემხრობოდეს, თავისი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე... მაგრამ მაინც ვვარაუდობ, რომ შესაძლოა, ბორელის ის ხისტი განცხადებები სულაც პრევენციული ხასიათის იყო, რითაც მან უთხრა საქართველოს ხელისუფლებას: მოასწარით, რის გაკეთებაც შეიძლება, რათა შევძლოთ, მოგცეთ სტატუსი. ევროსტრუქტურებში არის ჯგუფები, რომლებსაც მიაჩნათ, რომ საქართველოს დატოვება სტატუსის გარეშე, გეოპოლიტიკურად არ იქნება მომგებიანი და რომ ამან შეიძლება, რუსეთის პოზიციები გააძლიეროს. ორი ჯგუფის პაექრობა მიდის, ერთს არ უნდა, რომ „ქართულ ოცნებას“ საარჩევნოდ ეს საჩუქარი გაუკეთოს, - ქვეყანას მისცეს სტატუსი, რომ ეს შემდეგ ხელისუფლებამ კიდევ ერთი ვადით დასარჩენად გამოიყენოს (არის სხვა მიზეზებიც), მეორე ჯგუფს მიაჩნია, რომ გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, უნდა მიიღონ წმინდა გეოპოლიტიკური გადაწყვეტილება და თვალი დახუჭონ რაღაც რეკომენდაციების შეუსრულებლობაზე.

- თქვენ თქვით, რომ აზრი ორად გაიყო, მაგრამ პირადად თქვენ როგორ აფასებთ ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლას?

- შეიძლებოდა, უფრო დიპლომატიურიც ყოფილიყო პრემიერ-მინისტრის გამოსვლა და სხვა ლექსიკა გამოეყენებია, მაგრამ მეორე მხრივ, ღარიბაშვილმა იცოდა, რომ მას უსმენდნენ „ქართული ოცნების“ ამომრჩევლები და ისინი კმაყოფილები იყვნენ მისი გამოსვლის ტონით. არამხოლოდ ევროპულ, არამედ, შიდა აუდიტორიაზეცაა საუბარი, რადგან ღარიბაშვილი რომ დასჯილი მოსწავლესავით მოქცეულიყო, ეს იმას ნიშნავდა, რომ ოპოზიცია მართალია, რომ საქართველო არ ასრულებს რეკომენდაციებს, არ მიჰყვება ევროკავშირის ხაზს და გამოდის, მართალი ყოფილა სალომე ზურაბიშვილიც, როცა ამბობდა, რომ რეკომენდაციები ფორმალურად შესრულდა. ამიტომაც, ირაკლი ღარიბაშვილმა მუნდირის ღირსება დაიცვა, თუ შეიძლება ასე ითქვას.

ჟოზეფ ბორელი აქ რომ დუდღუნებს მედიის თავისუფლებაზე, თუ ვინმეს აქვს დღეს პოსტსაბჭოთა სივრცეში რეალურად თავისუფალი მედია, ეს საქართველოა. თუმცა, გასაგებია, ამას რატომ "ვერ ხედავენ." სააკაშვილის მმართველობის დროს ნოდარ მელაძეს ძვალ-რბილს გაუერთიანებდნენ, ხოლო ტელევიზიას მომენტალურად დახურავდნენ, თუნდაც ერთი ფეიქ-რეპორტაჟის გამო.

სხვათა შორის, უკრაინასა და მოლდოვაში, ოდნავ ოპოზიციური ყველა მედიასაშუალება ან დახურეს, ან მარწუხებში ჰყავთ, მაგრამ ევროპაში ამას "ვერ ხედავენ"! ასე აგრძელებენ ცხოვრებას TV-პირველი, „ფორმულა“ თუ „მთავარი არხი“ „ფეიქიდან ფეიქამდე“, და ამ სიცრუის შემოქმედთ თმის ღერიც არ ჩამოუვარდებათ, ასევე გააგრძელებს რადიკალური ოპოზიცია მათ მიერ დაყრილი საკენკის კენკვას და ჭიჭყინს. რატომ? - იმიტომ რომ ჩვენთან მედია და პოლიტიკური სივრცე, რეალურად, თავისუფალია.

- ერთხელ პრემიერმა აღნიშნა, რომ უკრაინას და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი „ავანსად მისცეს“, ჩვენი მდგომარეობა კი ამდენი ძალისხმევის შემდეგ, ჯერ კიდევ გაურკვეველია...

- ყველამ ვიცით, რომ უკრაინას მისცეს სტატუსი, რადგან ომშია ჩართული, მოლდოვას კი იმიტომ, რომ ამ ქვეყანას ასეთი პროდასავლური ორიენტაციის პრეზიდენტი ჯერ არ ჰყოლია და პრეზიდენტს გაუკეთეს „საჩუქარი“, რაც მისთვის ერთგვარი სტიმული იყო.

- ჩვენთან ინტერვიუებში ყოველთვის ამბობდით, რომ სტატუსის მიღების შანსი 50/50-ზეა. ახლა როგორ ფიქრობთ?

-როგორც ბორელის გამოსვლის შემდეგ გაირკვა, ახლა ეს შანსები 40/60-ზეა. 40 პროცენტია იმის ალბათობა, რომ სტატუსს მივიღებთ. როგორ ევროკომისიის ვიცეპრეზიდენტმა აღნიშნა, „სტატუსს დამსახურება უნდა“, მაგრამ არსებობს ფაქტორები, რაზეც ბორელმა არ ილაპარაკა, მაგალითად ის, რომ ჩვენზე განაწყენებულია შარლ მიშელი, რადგან მისი მედიაციით მიღებული დოკუმენტი „ქართულმა ოცნებამ“ „თავზე გადაახია“ და ჩემი ინფორმაციით, შარშან 20 ივნისს, როდესაც მოლდოვას და უკრაინას მისცეს სტატუსი და საქართველოს - მხოლოდ ევროპული პერსპექტივა, ამის ერთ-ერთი ინიციატორი სწორედ შარლ მიშელი იყო, რითაც მან, ფაქტობრივად, შური იძია „ქართულ ოცნებაზე“. თუმცა, როდესაც სტატუსის მინიჭება-არ მინიჭებაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მხოლოდ ევროკავშირის პოზიცია არ არის მნიშვნელოვანი. თუკი აშშ იტყვის, რომ მოგვანიჭონ სტატუსი, არ მგონია, ევროპა წინააღმდეგი წავიდეს, ხოლო თუ ამერიკა ამის წინააღმდეგი იქნება და გადაწყვეტს, რომ არჩევნებს დაელოდონ, - მის ნებას ევროპა წინ ვერ აღუდგება.

- ჯერ კიდევ ეჭვის ქვეშ რომ დგას ეს საკითხი, ამ ყველაფერში ლომის წილი მიუძღვის ოპოზიციას...

- რა თქმა უნდა, ოპოზიციას ლომის წილი მიუძღვის. ახლახან გამოქვეყნდა „ფარას“ ინფორმაცია, სადაც აღნიშნულია, რომ 420 მლნ დოლარია გადახდილი ტელეკომპანია „ფორმულას“ და კეზერაშვილის მიერ იმისათვის, რომ საქართველოზე გავრცელდეს მიკერძოებული, ცალმხრივი ინფორმაცია, რაც ჩვენს იმიჯს დააზიანებს აშშ-სა და ევროპაში. იმ ყველაფრის მიუხედავად, რასაც ისინი ქვეყანას უშავებენ, ქრონიკული პოლიტიკური ლუზერი ჭიჭე ვაშაძე გამოხტა და დაახეთქა - ეს არ არის ის საქართველო, რომელიც ჩვენ გვინდა, რომ ავაშენოთო. არადა, მოსახლეობამ გასაგებად უთხრა ჭიჭეს და სხვა ჭიჭეებსაც 2012 წელს და ეუბნება შემდგომი ათი წლის განმავლობაშიც, რომ არ უნდა და არასოდეს მოუნდება მათ მიერ "აშენებულ" საქართველოში ცხოვრება, საბიუჯეტო ხარჯებს რომ თავიანთ და თავიანთი ბელადის გრიალში ყრიდნენ.

როგორია საკუთარი ქვეყნის მიმართ მავნებლობის ანატომია, ეს „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებს უნდა ჰკითხო. ამ „ანატომიის“ ერთ-ერთი ნაწილი ახლახან „ფარას“ დოკუმენტებმა დაადასტურა, რის მიხედვითაც გაირკვა, რომ „ფორმულას“ მიერ დაქირავებული ლობისტური კომპანიის წარმომადგენლებს კომუნიკაცია ჰქონდათ აზერბაიჯანელ ჟურნალისტთან, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტის ბრიფინგებზე, საქართველოს შესახებ პროვოკაციულ შეკითხვებს სვამს. აზერბაიჯანელი "ჟურნალისტი" გვარიან „ფარას“ „მოხევდა“ ამ საქმეში და გულში რას ფიქრობდა ამათ მავნებლობაზე, ეს ცალკე თემაა. მუდამ ყურადღებით ვადევნებ თვალს, რა იწერება აზერბაიჯანის და სომხეთის მედიაში და ჟურნალისტი ალექს რაუფოღლუ არასდროს შემხვედრია. აქამდე არსად მინახავს, რომ ეს ჟურნალისტი მიზანმიმართულად ყოფილიყო საქართველოს თემატიკით დაინტერესებული და უცებ, სახელმწიფო დეპარტამენტის ბრიფინგებზე, იმის მაგივრად, რომ აზერბაიჯანთან დაკავშირებით დასვას კითხვები, სვამს კითხვას საქართველოზე და საქართველოს ხელისუფლებას მოიხსენიებს პრორუსულად. ანუ, ჟურნალიტურ კითხვას კი არ სვამს, საკუთარ შეფასებებს აკეთებს... „ფარას“ დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ, სადაც ყველაფერია გაშიფრული, გასაგები გახდა, რომ მას ტელეკომპანია „ფორმულამ“ დაავალა ამის გაკეთება და ამაში ფულიც გადაუხადა... და ამას აკეთებენ ქართული გვარ-სახელის მქონე ადამიანები, თუმცა, ალბათ, ქართული მათ, მხოლოდ საპასპორტო მონაცემებიღა შერჩათ.

- „ქართული ოცნება“ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურას იწყებს, ვინაიდან მას კონსტიტუციის დამრღვევად მიიჩნევს. აღნიშნულის შესახებ ჟოზეფ ბორელმაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ პრეზიდენტის საკითხი სიტუაციას დაძაბავს. რამდენად დროულად და მართებულად მიგაჩნიათ მმართველი გუნდის ეს გადაწყვეტილება?

-პრეზიდენტის იმპიჩმენტის დრო ახლა ნამდვილად არ იყო. რადგან ეს ნეგატიურად იქნა აღქმული ევროპაში. კი ბატონო, კონსტიტუციის დაცვა პრეზიდენტის მხრიდან უპირობოა, მაგრამ ხომ არსებობს მიზანშეწონილობის პრინციპი. იმპიჩმენტის დაწყება ხომ შეიძლებოდა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდებოდა ევროკომისიის რეკომენდაცია საქართველოსთვის სტატუსის მინიჭება-არ მინიჭების თაობაზე. ახლა, ფაქტობრივად, გამოდის, რომ ცეცხლს ნავთი დავასხით.

- ანუ კომპრომისზე არ მიდის ჩვენი ხელისუფლება, როდესაც ხედავს, რომ ქვეყნის პრეზიდენტი სახელმწიფოს საზიანოდ მოქმედებს...

- კი ბატონო, სახელმწიფოებრივად ეს მართებული ნაბიჯია, ნებისმიერი თვითკმარი სახელმწიფო ასე მოიქცეოდა, მაგრამ ჩვენ ხომ განსაკუთრებულ მდგომარეობაში ვართ, შესაბამისად, გვიწევს ლავირება, ბევრი ფაქტორის გათვალისწინება. იმპიჩმენტის პროცედურა არ ახლა არ უნდა დაეწყოთ, რადგან გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ევროკომისიამ და ამ დროს ეს მიუღებელია, რადგან პრეზიდენტი „მათ კაცად“ მოიაზრება.

- ამასობაში „ნაცმოძრაობა“ ისე დაიშალა, რომ, როგორც ირაკლი კობახიძემ იხუმრა, „ელიავაზეც აღარ ჩაიბარებენ“. რაღაც ძალიან დაბნეულები და არეულები არიან. ახალი ლიდერი ხაბეიშვილი პრემიერ-მინისტრის დაპატიმრებას ითხოვს, ყოფილი ლიდერი ნიკა მელია კი ფრიად იმედგაცრუებულია, რადგან სტასბურგის სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ საქმე წააგო...

- მელიას რომ ეს საქმე მოეგო, უფრო აქტუალური გახდებოდა ამომრჩევლის თვალში, - მისი პოლიტიკური ფიგურა რაღაც წონას შეიძენდა და ამიტომაც სჭირდებოდა ეს მოგება, ახლა კი, ფაქტობრივად, მელია არაფერი აღარ არის. მისი პოლიტიკური წონა არის ნული.

მიშას „რჩეული“ ხაბეიშვილი კი არის აბსოლუტურად კომიკური ფიგურა, მარიონეტი - მერაბიშვილის, კეზერაშვილის და სააკაშვილის ხელში. ძალიან კი ცდილობს, ლაპარაკიც გამოასწოროს, რაღაცრაღაცები ისწავლოს, მიშასაც ბაძავს მანერებით, მაგრამ ხაბეიშვილი მაინც არის არასერიოული, არაპოპულარული ფიგურა და „ვერ ქაჩავს“. თუმცა, სააკაშვილმა მხარდაჭერა გამოუცხადა ახალ მენეჯმენტს და როგორც უნდა იფაფხუროს ნიკანორ მელიამ, „ნაცმოძრაობაში“ ახალი არჩევნები არ დაინიშნება.

ნონა ქარქაშაძე

სამგლე მადამ იმპიჩმენტაშვილი და ანა მაკაროვა

„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღეს, რომ საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყოს.

რატომ არიან ასეთი უცნაურები ამ ჩვენს „ქართულ ოცნებაში“? უპირველესად, სად პოულობენ ვეტოდებია და ყოვლად უგვანო საპრეზიდენტო მასალას და შემდეგ, იმათ რაღა ემართებათ, პრეზიდენტის სკამი მოჯადოებულია?

საბრალო მეგი გოცირიძე რომ უტატანებდა სალომე ზურაბიშვილს: „რა ყველაფერზე იღრიჭები, შე ქოცების პრინციპული არჩევანო, როგორ მეზიზღები, ნეტავ იცოდე და როგორ მინდა, მოგროვდეს საჭირო ხმები შენს მისაიმპიჩმენტებლად ერთი, და მერე ჩაგაყუდონ, ბებერო კუდიანო, ლავროვის აწყვეტილო შლოპანცო და გაწყვეტილო შნუროკოო“, აი, მაშინ უნდა დაფიქრებულიყვნენ „დიდი მეგის“ სიტყვებზე და ყურად ეღოთ მისი ნატვრა.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად. პრეზიდენტის მიერ ჩადენილ დარღვევაზე რეაგირების ერთადერთ ქმედითი სამართლებრივი მექანიზმი იმპიჩმენტია.

მეგი გოცირიძესაც გადაუარა სამგლე სალომეს მტრობამ, მის „ნათლია“ გვარამიასაც და მათზე აზორხლილ მთელ ნაცშპანასაც, შესაბამისად, რა თქმა უნდა, იმპიჩმენტის სისრულეში მოყვანამ უტოპიის სფეროში გადაინაცვლა.

ელემენტარულია, იმპიჩმენტის ბოლომდე მიყვანას 100 პარლამენტარის მხარდაჭერა ესაჭიროება, ე.წ რადიკალური ოპოზიცია კი რისი რადიკალური იქნება, „ოცნების“ წამოწყებას მხარი რომ აუბას. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ იმპიჩმენტი დროში გაწელილი პროცესია და ე.წ. პრეზიდენტის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე ვერ მოესწრება. უბრალოდ, უმრავლესობამ პასუხისმგებლობა გამოიჩინა კონსტიტუციის წინაშე და სხვა არაფერი. თუმცა, აქამდეც ჰქონდა ეს პასუხისმგებლობა გამოსაჩენი, მაგრამ მაშინ რატომღაც „გაუტარა“. „გაუტარას“ ვინ ჩივის, პირიქით, ფაქტობრივად, მწვანე შუქი აუნთო მის თავგასულობას, როდესაც მათი მიეთ-მოეთი ასე იკითხებოდა — „აჟუილოს, რამდენიც უნდაო“.

ბავშვს ჰკითხეს, რა გატირებსო? გამდის და ვტირიო. ჰოდა, გასდიოდა სამგლე-სალომე სალომესაც და აჟულებდა, სანამ ძაან არ გააჟუილა.

ლავროვის შლოპანცია, მისი გაწყვეტილი შნუროკი, თუ ბებერი კუდიანი, ყველა ვარიანტში ამ ქალისა გამკვირვებია — ეს ჩვენის იმანო, ისედაც ყელამდე წუნწუხში იჯდა ჩაჟივებული, ისეთები აკეთა და აკეთებინეს, თქვა და ათქმევინეს, კიდევ თავზე გადავლება და ჩონჩორიკის დამატება ეჭირვებოდა? თან ის, მისი ამერიკელი სულიერი კუდიანიც დაგვემშვიდობა, სადაცაა, გადააჯდება ცოცხის ვარიანტში მფრინავ საშუალებას და მოცოცხავს.

განა რამე — შვილებს კარიერა შეუქმნა და თვითონაც უზრუნველად იქნება მიქელ-გაბრიელის სტუმრობამდე, მაგრამ უხერხული უნდა იყოს, ასე მგონია, როცა ქვეყნის პრეზიდენტობიდან გაგდებენ, რაგინდ საქმეები გქონდეს „გაიმასქნებული“, შინაგანად უნდა გაწუხებდეს. იმ მიზეზის გამო, რატომაც სამგლე სალომეს მასხრად აგდებული ნაპრეზიდენტალის სახელი შერჩება, კიდევ ბილ ქლინტონის იმპიჩმენტის მიზეზი სჯობდა, წუწკი კაცი აღმოჩნდა და არანაკლებ წუწკ ქალთან „იოხუნჯა“, რა უჭირს, თუ ოვალური დარბაზი იყო, ოთხკუთხედ დარბაზამდე ვერ მიაღწიეს.

თან რამდენი ვიზიტები ჰქონია დაგეგმილი, მოსწრებაზეა, ეტყობა...

2023 წლის 3 აგვისტოს, გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს ოფიციალური უარი ეთქვა სხვა ქვეყნებში ვიზიტზე.

ვა, საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხებზე უნდა ვიბაასოო, — არ დადრკა ეს სამგლე!

რომელი მობაასე ეს არის, მაგრამ როგორც ჩანს, ისეთს ბაასობს სხვა ქვეყნებში სხვა ენებზე, რომ კარგად ესმით ყველგან, ხოლო საქართველოში, ქართველების გარდა ყველას ესმის მისი ჩიქორთული ქართული. საშაყირო პოსტი გავრცელდა სოციალურ ქსელში, როდესაც დიმიტრი მედვედევმა სალომე ზურაბიშვილის რომელიღაც, საქართველოსთვის მავნებლურ განცხადებას არაპროფესიონალური უწოდა — ტიპმა მიაწერა: რა გაიგე სალომე ზურაბიშვილის განცხადებაში შე დედამო***ო, ჩვენ არ გვესმის, ქართულად რას ლაპარაკობსო.

არ დაიხია სამგლე სალომემ უკან და წერტილ-მძიმეთი გაწერა, სად და როდის უნდა ბაასი, რომელ ქვეყნებში.

მთავრობის ადმინისტრაციამ განცხადება გაავრცელა, რითიც გამოეხმაურა პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას სალომე ზურაბიშვილის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაგეგმილ ვიზიტთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც 2023 წლის 12 ივლისს მიმართა საქართველოს მთავრობას და პასუხიც მიიღო საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის მიხედვით — უარი!

22-24 აგვისტო — უკრაინა; 16 სექტემბერი — შვეიცარიის კონფედერაცია; 27-29 ოქტომბერი — ბულგარეთის რესპუბლიკა; 2-3 ოქტომბერი — პოლონეთის რესპუბლიკა; 4-6 ოქტომბერი — ბელგიის სამეფო; 31 ოქტომბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით — დანიის სამეფო; 1-2 დეკემბერი — არაბთა გაერთიანებული საამიროები; 10-12 დეკემბერი — ჩეხეთის რესპუბლიკა; 18-20 დეკემბერი — ისრაელის სახელმწიფო. საკუთარი ფულით მინავალა თურმე!

ის საკუთარი ფული რომელიღაა და ვისი ფულია, თქვენ ჩემის ტრულაილაო? — ასე გამოვიდა.

დანარჩენები იქით იყვნენ, მაგრამ არაბთა გაერთიანებულ საამიროებსა და ისრაელში საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებაზე რა უნდა ისაუბროს და ვის უნდა ებაასოს, ტექსტი მააზლოს ვინმე ღვთისნიერმა, ინტერსი მკლავს...

ამ ქალს საკუთარი კონსტიტუცია აქვს, თუ როგორ არის ამისი საქმე?

თავზეხელაღებული ქალი რომ იყო ნიკა გვარამიას „ნათლული, “ასე თუ ისე ვიცოდით და „ნიკა დაჯილდოებულმა“ უფრო გაგვანათლა, მაგრამ პრეზიდენტის რანგში და ასეთი? კაცმა რომ თქვას, რა არის გასაკვირი ქართული გვარის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქისგან?

„ყველაფრის ჩამოთვლა, რაც ნიკო ნიკოლაძეს გაუკეთებია, როგორც მწერალს, მრეწველსა და სახელმწიფო მოღვაწეს, შეუძლებელია, მოკლე აღწერასაც კი რამდენიმე ტომი არ ეყოფა. გაივლის კიდევ ერთი საუკუნე და მის შვილთაშვილსაც ვერ ჩავუთვლით მიკერძოებად — ნიკო ნიკოლაძე ახალი საქართველოს მაშენებელია“, — ჩვეული ამპარტავნობით მოგვაყვედრა ნიკო ნიკოლაძის შვილთაშვილმა.

მე კიდევ ჭორ-მართალი ვიცი, რომ ქართული გვარის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე სალომე ზურაბიშვილს გენეტიკაში ბორდელში მომუშავე რუსი ქალის, ანა მაკაროვას გენიც აქვს, რომელმაც XIX საუკუნის 70-იან წლებში ნიკო ნიკოლაძისგან ე.წ. უკანონო შვილი, გოგონა გააჩინა. ბავშვი, ნინო მაკაროვა 12 წლის იყო, როდესაც ნიკო ნიკოლაძის მეუღლემ, ოლგა გურამიშვილმა რომელიღაც პანსიონში მიბარებული მოძებნა. ოლგა ერთ-ერთი პირველი ქალი-მასწავლებელი იყო რუსეთის იმპერიაში, შესაბამისად, ნიკოს შვილსაც კარგი განათლება მისცა და წარმატებით გაათხოვეს ვინმე ივანე ზურაბიშვილზე. ზურაბიშვილსა და ნინო მაკაროვას შეეძინათ ვაჟი, ლევანი, ხოლო ლევანსა და ზეინაბ კედიას — ქალიშვილი, სალომე ზურაბიშვილი.

კარგი, ბატონო! გავიგეთ რომ ნიკოლაძის შვილთაშვილი ყოფილა მადამ იმპიჩმენტაშვილი, მაგრამ მხოლოდ ნიკო ნიკოლაძის კი არა, ანა მაკაროვას შვილთაშვილიც არის, ჰოდა, დიდი ბებიის ზოგი პირდაპირი მისწრაფება, ზოგი — ირიბი და შესაბამისი ქცევა-ღალატი მის პიროვნებაში რომ განმეორებულიყო, რა გასაკვირია?..

ამას ჰქვია, „მე შაირი არ მინდოდა, შენ ამტეხე ძალადა!“

სიტყვა „ნაბიჭვარი“ და მისი მნიშვნელობა ყველას მოგეხსენებათ, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვა ძველ საქართველოში დამაკნინებელ სიტყვად არ მიიჩნეოოდა. გლეხის უკანონო შვილი საეკლესიო გლეხთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა, ხოლო, თუ თავადი ან აზნაური ცნობდა თავის არაკანონიერ შვილს, თავადის შვილი აზნაური ხდებოდა, ხოლო აზნაურისა — გლეხი.

ნიკო ნიკოლაძე 1840 წელს დაიბადა ვაჭრის ოჯახში. (ქართველის ვაჭრობა იმ დროში ცოტა სხვანაირი იყო, მაგრამ ეს იქით იყოს) ბორდელში მომსახურე ანა მაკაროვამ ვაჭრის შვილისგან გააჩინა სავარაუდოდ, ნინა და არა ნინო მაკაროვა, რომელიც შემქნელ მშობლებს 12 წელი მიბარებული ჰყავდათ სადღაც. რომ არა ოლგა გურამიშვილი, ნიკო ნიკოლაძის გულისხმიერი და სათნო მეუღლე, უაღრესად ტრადიციულ და პურიტანულ ოჯახში გაზრდილი გოგონა, რომელიც ნიკოს სიყვარულით მის შვილებს აგროვებდა და სწორ გზაზე აყენებდა, ანა მაკაროვას შთამომავლობის არანაირი ინტერესი არ ექნებოდა საქართველოს ისტორიას.

(ვინმე ანა მაკაროვასგან შეძენილი ე.წ. უკანონო შვილის გარდა, ნიკო ნიკოლაძეს ბოტიასგანაც ჰყავდა ორი გოგონა: თელიკო და ლოლო. თელიკო ცოლად ცნობილ ფრანგ გენერალსა და პოლიტიკურ მოღვაწეს ლუიუ კოკეს გაჰყვა, ხოლო ლოლო-ელისაბედი ბელგიელ მწერალს, კამილ ჰიუსმანს, რომელსაც ცოლ-შვილი ჰყოლია ბელგიაში და მათ დაუბრუნდა. მოტყუებული ლოლო ბავშვთან ერთად ჩამოვიდა მამასთან ფოთში, ოლგა კი, რომელიც ამ დროს დიდ ჯიხაიშში იმყოფებოდა, ნიკოს და ბოტიას შვილის განუსაზღვრელი ვადის სამასპინძლოდ მოემზადა. ლოლო, სიყრმის მეგობრისა და ნიკოს სიყვარულის ნაყოფი იყო, იმ

ზეინაბ კედია და ლევან ზურაბიშვილი

ნინო ნიკოლაძე-ზურაბიშვილი

სიყვარულისა, რომელზეც აღტაცებით უყვებოდა ნიკო ოლგას. ნიკოს და ბოგუმილას ოჯახი დაიშალა. იმავე წელს დაიწერეს ჯვარი ნიკომ და ოლგამ და პეტერბურგს დაუბრუნდნენ. იქ დაიბადა მათი უფროსი ქალიშვილი, რუსუდანი. მალევე ნიკოლაძეები დაბრუნდნენ საქართველოში 2 წლის რუსუდანითა და 14 წლის ნინო ნიკოლაძით. დიდ ჯიხაიშში დაიბადა მათი მომდევნო შვილი გიორგი ნიკოლაძე, ხოლო თამრო კოჯორში დაიბადა. უმცროს და-ძმას მზრუნველობასა და სიყვარულს არ აკლებდა ნინო.)

ასე რომ, ამ იმპიჩმენტაშვილს ვინმემ ჩაურაკუნოს თავში და ურჩიოს, რომ ნიკო ნიკოლაძის სახელით სპეკულანტობას თავი დაანებოს. თუ მაინცდამაინც მისით უნდა ყელყელობა, ოლგა გურამიშვილი მაინც ახსენოს სამადლობელ სიტყვაში. რაო, მთლად „სატრიპაჩო“ აღარ ექნება?

ისე კი, ის მითხარი, შენ ვინ ხარ და რა გიკეთებია, თორემ დიდი ბაბუის გვერდით დიდი ბებიის საქმიანობის დეტალებიც გვაინტერესებს, იქნებ?

მოკლედ, ასეა თუ ისე, სამგლე იმპიჩმენტაშვილს ასე გამოუვიდა: ორივე ფეხზე მკიდია თქვენი საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას საგარეო ურთიერთობებში, ვინაიდან, კონსტიტუციის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განხორციელება საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებაა.

ოლგა გურამიშვილი და ნიკო ნიკოლაძე

ამ შემთხვევაში აღარ აქვს მნიშვნელობა, მასზე ზეწოლა ხორციელდება თუ ქვენა გრძნობების ქვეწოლა, ფაქტად ის რჩება, რომ საქართველოს პრეზიდენტად დანიშნული სალომე ზურაბიშვილი გამუდმებით ტესტავს საქართველოს ხელისუფლებასა და საქართველოს მოქალაქეებს, პირველს — კონსტიტუციის პატიმენტისგან დაცვის საქმეში, საფასურად კი მისგან ევროპულ დედაქალაქებში ფრანკლინის კლუბის გაძლიერებას ითხოვენ მისი პირადი კავშირებითო.

ხელი ხელს ბანს, ორივე ერთად კი პირსო, მაგრამ, როგორც მრავალგზის ვნახეთ, ამათთან სხვანაირად არის საქმე, ხელები კი ბანენ ერთმანეთს, მაგრამ ორივე ხელით შემდეგ პირს კი არა, ერთმანეთს მოთხვრილ საჯდომებს ბანენ...

მარტის ხელოვნურად აგორებული აქციების დროს ე.წ პრეზიდენტი „ფრანკლინის კლუბის“ წევრ ახალგაზრდებს აქეზებდა და იცავდა, მათი ცნობილი აქტივისტი ნანა მალაშხია კი ღირსების ორდენითაც დააჯილდოვა, რითიც საერთოდ გააუფასურა აღნიშნული ორდენი; „ნათლია“ გვარამია, ერთ-ერთი მთავარი ნაცზონდერი შეიწყალა ევროსტრუქტურების, ვისცემაზე, ხოლო საქართველოს მოქალაქეებს — მოთმინებაზე. ჰოდა, ის, რაც არცერთ უღირს საქართველოს პრეზიდენტს არ დამართნია საქართველოში, ის დაემართა, შუბლზე დაღად დაედო აბრევიატურა „იპპ“ — იმპიჩმენტპროცედურული პრეზიდენტი, ისედაც სიაფანდზე მთავარსარდალი და ახლა მთლად დაშლილებში ჩასაბარებელი.

აი, ასეთი სახელგამოხეული პერსონა რომელი ქვეყნის პრეზიდენტებისა თუ ხელისუფლებების სასურველი და პატივმისაგები პერსონა იქნება, ძალიან საინტერესოა. ელემენტარულია, ეს ამჯერად უკვე მეგობარი ქვეყნების ტესტი იქნება, რამდენად უღირთ ვინმე იმპიჩმენტაშვილის გამო საკუთარი თავის უხერხულ მდგომარეობაში ჩაგდება საქართველოს მთავრობის წინაშე.

ეს ყველაფერი ზედმიწევნით კარგად იცის ქალბატონმა იმპიჩმენტაშვილმა, მაგრამ ისე ჰყავს ატანილი წერას, მიკლუხო მაკლაის ვინ ჩივის, ჯეიმს კუკი და მაგელანი სასაცილოდ არ ჰყოფნის...

ახლა ტაშტი გატყდა და ხმა გავარდა, „ფრანკლინის კლუბი“ აქტიურად არის ჩართული პრეზიდენტის მოსალოდნელი იმპიჩმენტის საქმეში, საფასურად კი ევროპულ დედაქალაქებში ფრანკლინის კლუბის გაძლიერებას ითხოვენ მისი პირადი კავშირებითო.

ეს ყველაფერი ზედმიწევნით კარგად იცის ქალბატონმა იმპიჩმენტაშვილმა, მაგრამ ისე ჰყავს ატანილი წერას, მიკლუხო მაკლაის ვინ ჩივის, ჯეიმს კუკი და მაგელანი სასაცილოდ არ ჰყოფნის...

ახლა ტაშტი გატყდა და ხმა გავარდა, „ფრანკლინის კლუბი“ აქტიურად არის ჩართული პრეზიდენტის მოსალოდნელი იმპიჩმენტის საქმეში, საფასურად კი მისგან ევროპულ დედაქალაქებში ფრანკლინის კლუბის გაძლიერებას ითხოვენ მისი პირადი კავშირებითო.

ხელი ხელს ბანს, ორივე ერთად კი პირსო, მაგრამ, როგორც მრავალგზის ვნახეთ, ამათთან სხვანაირად არის საქმე, ხელები კი ბანენ ერთმანეთს, მაგრამ ორივე ხელით შემდეგ პირს კი არა, ერთმანეთს მოთხვრილ საჯდომებს ბანენ...

მარტის ხელოვნურად აგორებული აქციების დროს ე.წ პრეზიდენტი „ფრანკლინის კლუბის“ წევრ ახალგაზრდებს აქეზებდა და იცავდა, მათი ცნობილი აქტივისტი ნანა მალაშხია კი ღირსების ორდენითაც დააჯილდოვა, რითიც საერთოდ გააუფასურა აღნიშნული ორდენი; „ნათლია“ გვარამია, ერთ-ერთი მთავარი ნაცზონდერი შეიწყალა ევროსტრუქტურების, აშშ-ისა და ბრიტანეთის საელჩოების, ამავე ქვეყნების გოშია ნჯოებისა და ცალკეული ლიბერასტ-ფაშისტების საამებლად, ჩამოთვლილი მავნებლები კი პირდაპირ არიან ჩამარყუჟებულები „ფრანკლინის კლუბთან“; „ფრანკლინის კლუბის“ იდეოლოგს, დიპლომატ გია ჯაფარიძეს, რომელიც ზურაბიშვილთან მიხეილ სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლებას ლობირებს, დაევალა პრეზიდენტ ზურაბიშვილთან შეხვედრის ორგანიზებაც, სანაცვლოდ ფარა ახალგაზრდებისა და ნაცტელევიზიების ჩართვასა და სხვა წვრილმანმსხვილმანს ჰპირდებიან. ეს თავზეხელაღებული ქალი კი ისეთი მობრიტინეა, სად რას დაახეთქებს, წინასწარ ეშმაკიც ვერ განსაზღვრავს, მხოლოდ მის გარშემო მობუჟღავე ქინქლებით თუ ივარაუდებს ადამიანი, ვინ რა გამორჩენას ელის მისი ჩიქორთულისგან.

ამას ვის გადაგვყარეს! ეს ვინ შევიტენეთ!

ზოგადად და ხუმრობაგაშვებით კი, ძველ ქართულად ნეხვი დეიდას (კელი — ნეხვი. იხ. „ლექსიკონი ქართული“) პრეზიდენტებს არცთუ მზიანი დარი უდგათ, აქეთ სამგლე სალომეს აიმპიჩმენტებენ, იქით — ჯო ბაიდენს, აშშ-ის წარმომადგენლობითი პალატის სპიკერმა კევინ მაკარტიმ და „რესპუბლიკური პარტიის“ წამყვანმა წევრებმა მის წინააღმდეგ იმპიჩმენტის სტრატეგიის შემუშავება დაიწყეს. სი-ენ-ენ-ის ინფორმაციით, სექტემბრის განმავლობაში მოსამზადებელი სამუშაოები, ხოლო სექტემბრის ბოლოს უშუალოდ იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყება. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ბაიდენის ადმინისტრაცია კომისიას არ მიაწვდის ინფორმაციას, რომელიც ბაიდენის შვილის, ჰანტერ ბაიდენის საქმეზე გამოძიებას ატარებს;

იქაც იგივე მოცემულობაა ხმების მხრივ, „რესპუბლიკელებს“ პალატაში 218 ხმა არ აქვთ, რაც იმპიჩმენტის პროცედურის დასაწყებად არის აუცილებელი.

ვერ გავიგე, ჩვენ მოგვბაძეს ამერიკელებმა, თუ ჩვენ მივბაძეთ მათ?

ფაქტია, რომ ერთი უაზრო და არაფრისმაქნისი მოცემულობა არის აქაც და იქაც, მხოლოდ სიტყვა „იმპიჩმენტი“ გვსიამოვნებს შემეცნებაში...

მოკლედ, ბორდელის მუშაკის, ანა მაკაროვასა და ნიკო ნიკოლაძის შვილთაშვილისგან სამი ვარიანტიდან რომელიმეს განხორციელების გარდა, სხვა ვერსია არ მაქვს:

1. ნაცები დააშანტაჟებენ სალომე ზურაბიშვილს — თუ მიშას არ შეიწყალებ, პარლამენტში კემჭისყრაზე შენს იმპიჩმენტს მხარს დავუჭერთ და გადაგაყენებენო;

2. სალომე ზურაბიშვილი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დასკვნის გამოცემითანავე ხელს მოაწერს სააკაშვილის შეწყალების აქტს;

3. სალოქმე ზურაბიშვილი პარლამენტში იმპიჩმენტის ჩავარდნისთანავე შეიწყალებს სააკაშვილს!

მოხარული ვიქნები თუ ჩემი ვერსიები არ გამართლდება!..

ზურაბ ოშხერელი

მალე ვნახავთ მეხუთე კოლონის აქციებს

„თქვენ განა გვემუდარებით, ჩვენ გვინდა საქართველო ევროკავშირის წევრი გახდეს!“ - ჯოზეფ ბორელის ეს ფრაზა, რომელიც საქართველოს პრემიერთან ირაკლი ღარიბაშვილთან ერთობლივი ბრიფინგისას წარმოთქვა, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საქართველოში მისი ვიზიტისას. ეს მინიშნებს იმას, რომ ევროპამ საქართველოს მიმართ რეალურად პარტნიორული ურთიერობები უნდა ჩამოაყალიბოს. ოქტომბერში საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიცემა რეალური გახდა. წინააღმდეგ შემთხვევაში დასავლეთი „კავკასიის და შუა დერეფნის გასაღების“ დაკარგვის წინაშე დადგება!

ჩვენი ქვეყნის მიმართ ინტერესი იმდენად გაიზარდა, რომ შემოთავაზებები ბევრია. ჩინეთმა სტრატეგიული პარტნიორობა მოგვანიჭა და ცენტრალური აზიის ქვეყნები უფრო გააქტიურდნენ, საუდები ინვესტიციას ზრდიან, თურქები კარგ მეზობლობას ავითარებენ, ინდოეთი ჩვენ სატრანზიტო დერეფანს ემატება, რუსეთი კი ჩვენი ტერიტორიული პრობლემების მოგვარებაზე იწყებს საუბარს. ჩვენი ქვეყანა გლობალური პროექტების მონაწილე ხდება! ეს მდგომარეობა საქართველოს უსაფრთხოების გარანტიების შექმნისთვის, ეკონომიკის გაზრდისთვის და მოქალაქეთა კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის უნდა გამოვიყენოთ!

მუხედავად ამის „რევოლუციური“ სცენარი მოქმედებაშია. მალე გამოჩნდება მეხუთე კოლონა აქციებს გააკეთებს იმისთვის, რომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მონიჭება დაიბრალოს, თუ გამოსვლებს საქართველოში რევოლუციური გადატრიალებისკენ მიმართავს. ყველა შემთხვევაში, საქართველოს საწინააღმდეგოდ მოქმედი „უკრაინული ცენტრი“ არეულობის მოწყობას შეეცდება, რისთვისაც მეხუთე კოლონას დასავლეთიდან დაფინანსება მიღებული აქვს!

აღსანიშნავია, რომ რევოლუციური სცენარი, საქართველოს სუვერენიტეტის დაკარგვის საფრთხეს შეიცავს! რუსეთის რეაქციული ძალები, როგორც კი შეამჩნევენ, რომ ხელსუფლების ჩამოშლის გზით საქართველოს „ომის პარტია“ ეპატრონება, მიზეზის შექმნა არ გაუჭირდებათ და ტანკებს თბილისში შემოიყვანენ. რუსულს აგრესიას ჩვენ ვერ შევაჩერებთ, დახმარებითაც არავინ დაგვეხმარება და სანქციების მუქარასაც არ შეუშინდებიან რუსები! აშშ-ში და ევროპაში, ბევრია ვისაც „თვითნება“ საქართველოს დასჯა სურს, მაგრამ არიან ლიდერები რომლებიც ხვდებიან, რომ გადატრიალების მოწყობით საქართველოს სუვერენიტეტის დაკარგვის საშიშროებ ექმნება, რუსეთი გაძლიერდება და დასავლეთი კი კავკასიაზე გავლენას დაკარგავს!

ლევან მამალაძე
სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის ხელმძღვანელი

„საერთო გაზეთი“ მწუხარებას გამოთქვამს ჩვენი კოლეგის, ცნობილი ჟურნალისტისა და ანალიტიკოსის
ბია გაბრიჭიძის
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახსა და ახლობლებს.

ჩვენ კანდიდატის სტატუსს მივიღებთ - ოღონდ გარკვეული დათქმებით

გვესაუბრება ანალიტიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა:

— ბატონო იგორ, რამდენიმე დღის წინ საქართველოს ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბორელი სტუმრობდა. მან ღარიბაშვილთან ერთად გამართულ კონფერენციაზე აღნიშნა, ბევრი მიმართულება გასაუმჯობესებელია, მნიშვნელოვანია, საქართველოში ცოცხალი დემოკრატიული სისტემა არსებობდესო...

— მე მკვლევარი, ისტორიკოსი ვარ და სიმართლე უნდა ვილაპარაკო. საკითხი ასე მარტივად არ დგას. დავსვათ კითხვა: რა იდეოლოგია გვაქვს ჩვენ დღეს, ან სად ვართ — დასავლეთში, რუსეთში თუ აშშ-ში? აშშ-მ განიმტკიცა მდგომარეობა საქართველოში? თუ ევროკავშირი ჩვენს საქმეებში ჩაერევა, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ამერიკამ უნდა ჩაიჩოჩოს და ჩვენ ევროკავშირის სახელმწიფოების პატრონაჟის ქვეშ ვიყოთ?! მთავარია, რას ვირჩევთ ჩვენ — გვყავდეს ბატონი თუ პატრონი. ჩვენ ბატონი კი არა, პატრონი გვჭირდება. ოღონდ, მე არ მინდა ისეთი პატრონი, რომელიც ჩვენი მფარველი იქნება და მას უნდა შევყუროთ: როდის, რას გვიწყალობებს. ეს ხომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებას ეწინააღმდეგება.

სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკის სახელმწიფოებრიობის ურემი 1991 წელს გადავაბრუნეთ. მერე გზა კი გამოჩნდა, მაგრამ მასზე ველარ გავიარეთ. 30 წელია, ამ შედეგებს ვიმკით — არაერთი სახელმწიფო გადატრიალების, საზოგადოების გახლეჩვის მომსწრენი გავხდით. ქართველი საზოგადოების დღის წესრიგში არა და არ გამოიკვეთა შემდეგი საკითხი: უმთავრესი ის კი არ არის შევალთ თუ არა ევროპაში, ან მოგვცემენ თუ არა კანდიდატის სტატუსს, **მთავარი თავად ქართული სახელმწიფოს მდგრადობა, პოლიტიკური ფონასწორობაა.**

როცა ხელისუფლებაში ზვიად გამსხურდია მოვიდა, რომელიც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კონცეფციის მატარებელი იყო, მას მხარი შევარდნაძემაც დაუჭირა. თუმცა, ეს უკანასკნელი აღნიშნავდა, რომ ზვიადს ხელისუფლებიდან წასვლა გადატრიალების გზით მოუწევდა, რადგან მას დასავლეთი მხარს არ დაუჭერდა. სწორედ ამ პერიოდში გამოგზავნეს ნიქსონი, რათა მას გამსხურდიას აზრი გაეგო. ანუ, თანახმა იყო თუ არა იგი, რომ მისი მფარველი ამერიკა ყოფილიყო და არა რუსეთი. რა თქმა უნდა, გამსახურდიამ უარი განაცხადა ამაზე. მისი მოსაზრება ასეთი იყო — არც კაპიტალიზმი, არც სოციალიზმი. ამიტომ, ბუნებრივია, ნიქსონს არ მისცა იმის პირობა, რომ დასავლეთის გზით წავიდოდა. მეორე მხრივ, არც რუსეთს ჰპირდებოდა მისი გზით სვლას. ამ ვითარებაში, გამსახურდია რუსეთისთვისაც და ამერიკისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა. ამიტომაც მოხდა გადატრიალება.

ვერც ზვიად გამსახურდია და, ბუნებრივია, ვერც საქართველო გახდებოდა რომელიმე ქვეყნის პროექტი. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ჩვენი ქვეყანა უკვე გახდა პროექტი, უპირველესად, რუსეთსა და ამერიკას შორის. მოხდა ქვეყნის განაწილება. გავიხსენოთ, აფხაზეთის ომი, რაც, სხვათა შორის, ბეიკერთან იყო შეთანხმებული. უფრო უარესსაც გეტყვით: ელცინთანაც შეთანხმებული იყო, რომ შევარდნაძე აფხაზეთში უნდა შესულიყო. რუსეთი ამ ტერიტორიებზე რომ შემოვიდა, ამერიკამ რა გააკეთა? — მან საქართველოს დანარჩენი ტერიტორიის ათვისების პროცესი დაიწყო.

ვისია დღეს საქართველო, ეკუთვნის თუ არა ის ხელისუფლებას? — როგორც ჩანს, არა. საქართველო არც შევარდნაძის დროს ეკუთვნოდა ხელისუფლებას. მერე სააკაშვილი მოვიდა, რომელიც აბსოლუტურად ამერიკული პროექტი იყო. მერე მოვიდა ბიძინა ივანიშვილი და შემოგვთავაზეს კოაბიტაცია, რაც ამერიკის მიერ იყო შემოგდებული და რუსეთთან შეთანხმებული. ორივე მათგანმა რაც უნდოდა, ის მიიღო: თბილისი ამერიკისაა, აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ — რუსეთის.

პოლიტიკაში არსებობს რბილი, ხისტი და ჭკვიანი ძალა. ეს სამივე თეორია ჯოზეფ ნაის უკავშირდება. ხისტი ძალა ომით, ტანკით, ხიშტით იპყრობს ქვეყანას, ხოლო რბილი — კულტურით, ფილმებით, ინფორმაციით.

აგვისტოს ომში ხისტი ძალა იქნა გამოყენებული. ამ ომს მხარს უჭერდნენ რუსებიც და ამერიკელებიც, რითაც ერთიც მოგებული დარჩა და მეორეც. რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ამერიკას კი ამის საწინააღმდეგოდ არაფერი გაუკეთებია, მხოლოდ წყალი გამოგვიგზავნეს.

ჭკვიანი ძალა კი იგივე გონებრივი ძალა, ანუ დიპლომატიაა. ჩვენი დღევანდელი ოპოზიციური ძალები ევროპას და ამერიკას ეყრდნობიან, ეს უკანასკნელნი კი — მათ. ამერიკა მათ გამოყენებას რბილი და ჭკვიანი ძალის მეშვეობით ცდილობს.

ჩვენ პატარა სახელმწიფო ვართ და უნდა განვსაზღვროთ, საით მივდივართ, ვის ვირჩევთ. ევროპასა და ამერიკაზე ცალსახად უარის თქმა არ გამოვა.

ხედავთ, რა თქვა ბორელმა? ჩვენ არ მიგატოვებთ, გავაგრძელებთ საქართველოს გვერდით დგომასო. პირდაპირ გეტყვით, რაშია საქმე: საქართველოს არ ებრძვის არც ამერიკა, არც ევროპა, არც დეგნანი. მათ სურთ, თავიანთი მორჩილი ხელისუფლება ჰყავდეთ, როგორც ადრე იყო. მათ უნდოდათ, მორჩილი ზვიად გამსახურდია ჰყოლოდათ და არ გამოუვიდათ, ვერც შევარდნაძე დაიმორჩილეს, სააკაშვილი კი გამოდგა მათი მორჩილი, მაგრამ ამ დროს რუსეთი ჩაერია. **ახლანდელი ხელისუფლება არის ამერიკის და ევროპის მორჩილი?** — **არა, ხომ. ამიტომ ისინი ებრძვიან არა საქართველოს, არამედ ხელისუფლებას.**

— ბორელის გზავნილებიდან რა დასკვნა გამოიტანეთ, მოგვცემენ წლის ბოლოს კანდიდატის სტატუსს?

— ჩვენ კანდიდატის სტატუსს მივიღებთ, მაგრამ გარკვეული დათქმებით. მათ სურთ ხელისუფლების შეცვლა. ევროპარლამენტარების, კონგრესმენების და სხვათა მოსაზრებებიც ამას ცხადჰყოფს. ბორელიც სწორედ ამიტომ ჩამოვიდა.

თუ ჩვენ არ ვირჩევთ ევროპას და გვინდა რუსეთი, მაშინ მან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხი საქართველოს სასარგებლოდ უნდა გადაწყვიტოს. მაგრამ ასე არ იქცევა. ჩვენ რუსეთს მკაფიოდ უნდა მოვთხოვოთ: პოლიტიკური, ეკონომიკური თვალსაზრისით თქვენთან ვიქნებით, მაგრამ ჩვენი დაპყრობილი ტერიტორიის დაბრუნებაზე, რომელიც 20% შეადგენს, უნდა ვილაპარაკოთ!!! დიახ, ვისაუბროთ საქართველოში ფედერაციული სახელმწიფოს შექმნაზე. ეს იდეა ზვიადს ჰქონდა. ბორელმა დაინახა, რომ საქართველოს პოლიტიკა შეიძლება ვიღაც სხვისკენ გადაიხაროს და არა ამერიკისა და ევროპისკენ. ვისთან უნდა ვიყოთ ჩვენ — ამერიკასთან თუ ევროპასთან? — ჩემი აზრით, ევროპა სჯობს. ერთი რამ გავიგოთ: **საქართველო არ არის ევროპა. არავითარი ევროპა ჩვენ არ ვყოფილვართ და არც ვიქნებით. საქართველო არის საქართველო, რომელიც კავკასიაშია.** ეს უკანასკნელი კი გახლავთ უდიდესი კულტურის, მწიგნობრობის, ცივილიზაციის, წიაღისეულის მხარე. კავკასიელ ხალხს არავის ჭკუის სწავლება არ გვჭირდება. მაგრამ მე მინდა, კავკასია, საქართველო ევროპული ქვეყანა გახდეს. აგერ, ხომ ხედავთ, თურქეთი ევროპისკენ მიდის. ასევეა, სომხეთიც, აზერბაიჯანიც. სომხეთს დიდი კავშირები აქვს საფრანგეთთან და დიდი ლობი ჰყავს ამერიკაში. ჩვენ არც ლობი გვყავს სადმე, არც ვინმეს მხარდაჭერა გვაქვს, არც არავინ გაგვაჩნია და რის ან ვის იმედზე ვართ?!

თქვენ გგონიათ, ამერიკას უნდა, ან გაუხარდება, საქართველო ევროპული ქვეყანა რომ გახდეს?! — არა, ბატონებო, არ გაუხარდება. მას ამერიკული საქართველოს ხილვა სურს. აქვე არც ევროპას უნდა, საქართველო ამერიკული იყოს. ის ან ერთის უნდა იყოს, ან მეორესი, ან მესამესი. დამოუკიდებლად არსებობა გამორიცხულია. **საქართველოს არ შეუძლია რუსეთის, ამერიკის ან ევროპის გარეშე.** საკითხი ასე დგას: ამერიკა იბრძვის საქართველოს დასაპატრონებლად მისი მდებარეობის, გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. ევროპასაც იგივე სურს, რადგან ჩინეთიდან, ინდოეთიდან, აზიიდან წამოსული ტვირთი საქართველოს გავლით ევროპაში ჩავიდეს. ამ სიტუაციაში ეს ვერ ხერხდება, რადგან საამისოდ ტექნიკურად მომზადებული არ ვართ. ტვირთი რომ ჩამოვა, შენ ის მატარებლით, გემით ან თვითმფრინავით ევროპაში უნდა გადააგზავნო. ამისთვის ბათუმის პორტი არ გამოდგება, არც ფოთის. ასე რომ, საქმე ასე მარტივად არ არის — მოვა ტვირთი, ვერ გაატარებ და დაგაჯარიმებენ. ამიტომ გვჭირდება ანაკლიის პორტის აშენება, მაგრამ ამერიკამ ამაზე უარი განაცხადა. ამისთვის სათანადო ბაზა თავად საქართველომ უნდა შექმნას, მაგრამ საშუალება არ გვაქვს, ამას წლები დასჭირდება.

დღეს არავის აინტერესებს ისეთი საქართველო, რომელსაც გეოსტრატეგიული მიზანი არ ექნება. ახლა დავსვათ კითხვა: შევძლებთ თუ არა რუსეთის გარეშე ყოფნას? — ძალიან გაგვიჭირდება. ახლა რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა რომ შევწყვიტოთ და მილიონამდე იქ მცხოვრები ქართველისა და ჩვენი საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, საქართველო უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდება. ამიტომ კარგად უნდა გავერკვეთ, ვისთან უნდა ვიყოთ — ამერიკასთან, ევროპასთან, რუსეთთან თუ სამივესთან ერთად. ამაზე გამსახურდიას სიტყვებს შეგახსენებთ: ცალსახად არ უნდა მივებათ არც ამერიკას, არც ევროპას, არც რუსეთს, **მაგრამ სამივესთან ვითანამშრომლოთ!** ეს მარტივი არ არის. ამერიკა გეუბნება: შენი პოზიცია გამოკვეთეო. ჩვენ არცერთს არ უნდა დავემონოთ, დავეჩოქოთ. სამივეს რომ დავუჩოქეთ, ამიტომაც ვეღარ გამოვდივართ შექმნილი მდგომარეობიდან.

— ბატონო იგორ, ზემოთ ახსენეთ, კანდიდატის სტატუსს გარკვეული დათქმებით მოგვცემენო. რა იგულისხმეთ ამაში?

— დიახ, ჩემი წყაროებიდან მაქვს ინფორმაცია, რომ ჩვენთვის კანდიდატის სტატუსის მოცემა უნდათ, მაგრამ გარკვეული დათქმებით. უფრო მეტსაც გაგიმხელთ: საქართველოს სტატუსს მისცემენ, მაგრამ ხელისუფლებას — არა. აქვე ერთსაც გეტყვით: სალომე ზურაბიშვილი ევროპისა და ამერიკის პოლიტიკურ წრეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. საქართველოს პრეზიდენტი თუ ჩვენთვის არის დილემა, მათთვის — ფენომენია. მათ მისი ფიგურა აწყობთ. ბორელმა კიდეც აღნიშნა: პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი რისკია, რაც გაზრდის პოლარიზაციასო. ზურაბიშვილს ბორელთან და სხვებთან კარგი ურთიერთობა აქვს. უკვე აღვნიშნე, რომ ბორელმა თქვა: არ მიგატოვებთო, მაგრამ არ მითქვამს, რას ნიშნავს ყოველივე. ეს დიპლომატიური სვლაა, რითაც გვეუბნებიან: ჩვენ არ მიგატოვებთ, მაგრამ თქვენც იგივენაირად უნდა მოიქცეთო.

— საქართველოს სტატუსს მისცემენ, მაგრამ ხელისუფლებას — არაო, — აღნიშნეთ. რისი თქმა გსურთ, მათი გეგმა ხელისუფლების გარდაუვალი ცვლილებაა?

— ამერიკისთვის, ევროპისთვის და რუსეთისთვისაც საქართველო ყოველთვის მისაღები იყო, მაგრამ გამსახურდიას ხელისუფლება — არა. შევარდნაძის ხელისუფლებას კორუფციულად მიიჩნევდნენ და არც ის იყო მისაღები დადგა კიდეც ხისტი ძალით მისი შეცვლის საკითხი. მერე მიშას ხელისუფლება შეიცვალა რბილი ძალით. ახლა უნდათ, ხელისუფლება ჭკვიანი ძალის გამოყენებით შეცვალონ

ზვიად გამსახურდიას სამხედრო, კრიმინალური გადატრიალება ტყუილად როდი ვახსენე. სწორედ აქედან იწყება ჩვენი ქვეყნის უბედურებაც. 30 წელია, ვცდილობთ, მოსეს გზით ვიაროთ და ამას ვერ მივაღწიეთ.

მოკლედ რომ შევაჯამო, ბორელის ვიზიტი სერიოზული მოთელვა იყო. ქვეყნის შიგნით რთული სიტუაცია გვაქვს, რადგან ოპოზიციის განვითარების პოლიტიკური დონე ჩვენთან ძალიან დაბალია. ოპოზიცია უკვე 30 წელია, დაკავებულია არა საქმის კეთებით, არამედ ქიშპობით, ხელისუფლებასთან ბრძოლით, რითაც არა მთავრობის, არამედ ქვეყნის საქმე ფუჭდება.

თამარ შველიძე

საქართველო მზად არის, კავკასიაში მშვიდობა და სტაბილურობა უზრუნველყოს

ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებს აფასებს საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე ალი ბაბაევი:

- ვიდრე ინტერვიუს დავიწყებდეთ, მინდა გავიხსენო დიდი ქართველი, დიდი პატრიოტი, დიდი ჟურნალისტი, ჩემი მეგობარი ვახტანგ ხარჩილავა. ერთი წელი გავიდა, რაც მან დაგვტოვა. ძალიან ბევრ ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწესთან მქონია ურთიერთობა, მაგრამ ვახო იყო ბუმბერაზი, პატრიოტი ადამიანი, - ჩემი მეგობარი და მე ვამაყობ ამით. ხშირად მახარებდა და მეუბნებოდა, ალი, შენ ისე გულიანად საუბრობ, შენს ინტერვიუში არაფრის შესწორება არ არის საჭიროო... ეს დიდი პიროვნება, ვახტანგ ხარჩილავა, საქართველოს დააკლდა, საქართველოს მოყვარულ პატრიოტ ადამიანებს დააკლდა და მიხარია, რომ მის გზას მისი მეუღლე და შვილები წარმატებით აგრძელებენ...

რაც შეეხება არსებულ პოლიტიკურ ვითარებას საქართველოში, სულ მალე ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს ველოდებით და ახლა ჩვენთვის თითოეული ნაბიჯი მნიშვნელოვანია. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირის ვიცე-პრეზიდენტის, ჟოზეფ ბორელის ვიზიტი საქართველოში და ვამაყობ, რომ საქართველოს, ბოლოს და ბოლოს, ჰყავს ისეთი პრინციპული, პატრიოტი ადამიანი, როგორიც ირაკლი ღარიბაშვილია. ის არის პრემიერი, რომელიც ახორციელებს გონივრულ სახელმწიფო პოლიტიკას. მისი გამოსვლა ბორელთან ვიზიტის დროს, იყო ღია, ვაჟკაცური, პატრიოტული. ღირსეული, პრინციპული. სახელმწიფოებრივად მომგებიანი პოზიცია დააფიქსირა პრემიერმა, რითაც ევროპას კიდევ ერთი მესიჯი გაუგზავნა, რომ საქართველო არის პატარა ქვეყანა დიდი გულით. იმედია, ისე უსამართლოდ აღარ მოგვექცევიან, როგორც გასულ წელს მოგვექცნენ, საბოლოოდ არ აუცრუებენ გულს, ევროპაზე, ადამიანებს და ამჯერად მაინც მოგვანიჭებენ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს.

- **„ქართული ოცნება“ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურას იწყებს, თუმცა სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ არსად წასვლას აპირებს და მის გადადგომაზე „ოცნება ყველამ უნდა დაივიწყოს“...**

- ბატონი ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა და ტერორისტული მმართველობის წინააღმდეგ ხალხის მობილიზება საქართველოს დიდი გამარჯვება იყო, მაგრამ მე, როგორც ამ გუნდის და პოლიტსაბჭოს ყოფილი წევრი, ღიად ვაფიქსირებ, რომ ბევრი შეცდომაც დავუშვით. ორი პრემირ-მინისტრი, რომელმაც გუნდს უღალატა, ორი პრეზიდენტი, რომელიც ქვეყნის მტრებს შეეკრა, პარლამენტის თავმჯდომარე, დეპუტატები, მინისტრები... ასეთი შეცდომები „ქართულ ოცნებას“ არ უნდა მოსვლოდა. არ უნდა შეეყვანათ შეცდომაში ამომრჩეველი და ეს ადამიანები ხელისუფლებაში არ უნდა მოეყვანათ. რაც შეეხება ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს, ის შეარჩიეს, როგორც ნეიტრალური, ევროპელი, ცივილიზებული ადამიანი და ამიტომ დაუჭირეს მხარი მის კანდიდატურას. გვახსოვს, მეორე ტურის წინ, თვითონ ბატონი ბიძინა ივანიშვილი გამოვიდა, და „ქართული ოცნების“ ამომრჩეველს სთხოვა, მხარი დაეჭირა ამ ადამიანისთვის. ასე გახდა სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტი და გვეგონა, რომ იმუშავებდა გუნთან ერთად, გადადგამდა იმ სამართლიან ნაბიჯებს, რაც ქართველ საზოგადოებას ნამდვილად სჭირდება, მაგრამ ის შეცდომას შეცდომაზე უშვებს და თან არც უნდა აღიაროს, რომ ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ვნახეთ, რომ უგულავა, მელია, გვარამია და ისეთი ადამიანები შეიწყალა, რომლებსაც დანაშაული აქვთ ჩადენილი ქვეყნის წინაშე და რომლებიც დღესაც ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას ეწევიან. სამწუხაროდ, ასეთი ძალიან ბევრია. უბრალო მოქალაქეები კი, რომლებიც ბევრად უმნიშვნელო პრობლემების გამო იხდიან სასჯელს და აღიარეს დანაშაული, ამაოდ ელიან მის შეწყალებას. ერთადერთი, ვინც მის მიმართ სიმპატიითაა განწყობილი, „ნაცმოძრაობაა“, სადღაც იმედიც აქვთ ალბათ, რომ სააკაშვილსაც შეიწყალებს, მაგრამ თუ, პრეზიდენტმა ესეც გაბედა, დიდი უბედურება მოხდება. ქართველი ხალხი ამას არ აპატიებს. თუმცა, ამ ნაწილ-ნაწილ დაშლილი პარტიის წევრებისთვის მიშას გათავისუფლება არ არის სასურველი, რადგან თუ მიშა გამოვიდა, მას არც ერთი ეს ადამიანი აღარ დასჭირდება. როგორც ბოკერია „ჩამოწერა“, ისე „ჩამოწერს“ ხაბეიშვილს, მელიას, ჯაფარიძეს და იმ სამარცხვინო ქალბატონებს, ქართველი ქალის სახელს რომ არცხვენენ, საზღვარგარეთ კაბინეტიდან კაბინეტში რომ დაძრწიან და თავს ჭრიან საკუთარ ქვეყანას...

თუნდაც ღირსების ორდენს, ქალბატონი სალომე ისეთ ადამიანებს ანიჭებს, რომლებიც, თავის დროზე „ქართული ოცნების“ მოწინააღმდეგეები იყვნენ და არც არაფერი ღირებული გაუკეთებიათ ცხოვრებაში. სააკაშვილის დედის დაქალების რეკომენდაციებით აძლევს ადამიანებს ღირსების ორდენს. ეს ყველაფერი დაგროვდა და მისი ბოლო დროინდელი ვითომ „პოლიტიკური დამოუკიდებლობაც“ ზედ დაემატა, რაც პოლიტიკურად აზიანებს ჩვენს ქვეყანას. ამიტომაც ვეთანხმები „ოცნების“ პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებას, რომ, როგორც გიორგი მარგველაშვილი, ასევე ეს ქალბატონი, არ არის ქართული სახელმწიფოს პრეზიდენტის სტატუსის შესაფერისი ადამიანი.

2024 წლის პარლამენტში უნდა იყვნენ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები, უნდა იყოს კონსტრუქციული ოპოზიცია. ამათ ოპოზიციონერობა ჰგონიათ, თუ გამოვლენ და პოლიციის შენობას საღებავს მიასხამენ. იმის მაგივრად, რომ დასხდნენ პარლამენტში, კანონებზე იმუშაონ, ახალი კანონები შემოიტანონ... გამუდმებით დესტაბილიზაციის ქმნიან და ცდილობენ, მშვიდობიანი მოსახლეობის ცხოვრება ჯოჯოხეთად აქციონ. უამრავ ფულს ხარჯავენ რადიკალები ლობისტურ კომპანიებში. საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის გამოცლილი ლუკმაა ის ფული, რასაც დღესაც ხარჯავენ კეზერაშვილები, ადეიშვილები, სააკაშვილები თუ მერაბიშვილები... ამიტომაც უნდა შეიქმნას საგამოძიებო კომისია და გამოიძიოს მათი კრიმინალური საქმიანობა, ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული. ეს ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, რომ საქართველომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი ვერ მიიღოს, ქართული პოლიტიკიდან უნდა წაიშალონ და სათანადოდ დაისაჯონ. მათი ადგილი არის ციხეში! ისე კი არა, კომფორტულად, როგორც სააკაშვილი სიმულანტობს, გლდანის ციხეში უნდა გაუშვა ყველანი!

- **კომისია ახსენეთ და რადიკალური ოპოზიცია საგამოძიებო კომისიის შექმნას მოითხოვს შოვში დატრიალებული სტიქიური უბედურებების გამოსაძიებლად...**

- ნახეთ, რა ხდება საბერძნეთში, თურქეთში, იტალიაში, აზერბაიჯანში... 200-გრამიანი სეტყვა იყო ზაქათალაში, სტიქიამ უამრავი სოფელი და ქალაქი გააუბედურა, - რა კომისია! თუ ესენი პატრიოტები არიან და საერთოდ ვინმეზე გული შესტკივათ, რატომ არ დაუდგნენ გვერდში მთავრობას რაჭის სტიქიის დროს და როგორ იკადრეს ისეთი პროვოკაცია, თითქოს კალაძემ იცოდა, რომ ეს უბედურება დატრიალდებოდა და შვილები გაარიდა. დაკარგულ ბავშვებს ჯერ კიდევ ეძებენ და ესენი რეებს ბოდავენ? ან სად ისწავლეს, რომელი უნივერსიტეტი დაამთავრეს ამ ჟურნალისტებმა? კომისია კი არა, მუხლებზე უნდა დაიჩოქონ იმ მაშველების და ექიმების წინაშე, რომლებიც დღე და ღამ შრომობენ, რათა დაღუპული ადამიანები ოჯახებს ჩააბარონ. ხომ ნახეთ, ორი პოლიციელი შეიწირა ამ ამბავმა, გულმა ვერ გაუძლო ამ ტრაგედიის მნახველ ადამიანებს!

- **ცოტა ხნის წინათ, სომხეთმა აღიარა აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა, აზერბაიჯანმა კი დაადასტურა პატივისცემა სომხეთის ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. თითქოს ყველაფერი დაზავებისკენ უნდა წასულიყო, მაგრამ სიტუაცია საკმაოდ დაიძაბა და საომარი ვითარების რეალური საფრთხეც არსებობს. რამდენიმე დღის წინ კი, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, დახმარების მიზნით, სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა დაურეკა. კონკრეტულად რას ითხოვს ფაშინიანი და რის ეშინია მას?**

- ამჟამად, აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვარზე აქტიურად მიმდინარეობს ჯარების მობილიზაციის პროცესი, რაც იმას ნიშნავს, რომ ომის დაწყების რეალური საფრთხე არსებობს. ამიტომაც ატეხა განგაში სომხეთის პრემიერ-მინისტრმა და დაურეკა საფრანგეთის პრეზიდენტს ემანუილ მაკრონს, გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცს, აშშ-ის სახელმწიფო მდივან ტონი ბლინკენს და, რა თქმა უნდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, რომელსაც კავკასიის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბერკეტი გააჩნია თავისი ავტორიტეტით და სამშვიდობო პოლიტიკით. ფაშინიანი სხვა გზას ვერ ხედავს, რადგან ამერიკამ და სომხეთმა გამოაცხადა, რომ სომხეთის ტერიტორიაზე ერთობლივი წყვრთნები ჩატარდეს, რამაც ძალიან შეაშფოთა რუსეთი.

უკვე ცნობილი გახდა, რომ არაღიარებული სეპარატისტული ძალაც კი, რომელმაც თავისი ლიდერი აირჩია ყარაბაღში, კომპრომისზე მიდის და ლაჩინის გზის გახსნაზე თანხმობას აცხადებს, რადგან იციან, რომ ალიევი თავის სიტყვებს უკან არ წაიღებს. მან თქვა და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სეპარატისტებმა დროულად დატოვონ აზერბაიჯანის ტერიტორია, რომელსაც თვითონ სომხეთიც აღიარებს, - თუ არადა, ომი გარდაუვალია, რაც, რა თქმა უნდა, ორივე მხარეს მნიშვნელოვნად დააზარალებს. პირველი დაეხმარა არაერთხელ ამ ორ ქვეყანას და საქართველო ნებისმიერ დროს მზადაა, მხარი დაუჭიროს და მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში დაეხმაროს კავკასიის რეგიონის ქვეყნებს.

მე კი, როგორც ეთნიკური უმცირესობის ერთმა რიგითმა წარმომადგენელმა, მინდა მივმართო საქართველოში მცხოვრებ სომხებს, რომლებიც ხშირად აწყობენ აქციებს სეპარატისტების დასაცავად, - კი მაგრამ, თუ ასეთი გულადები ხართ, რატომ აფხაზი სეპარატისტების წინაღმდეგ არ წახვედით? სეპარატისტი სეპარატისპია ჩემთვის, გინდა სომეხი იყოს, გინდა აზერბაიჯანელი, აფხაზი, ან ოსი... რომელიც ცხოვრობს ქვეყანაში და გარე ძალების მხრიდან არის მართული, ამ ქვეყნის წინააღმდეგ.

რამდენჯერმე მივმართე საქართველოში მცხოვრებ სომეხ მეგობრებს: მოდი, გავაკეთოთ ერთი პრესკონფერენცია, შევიკრიბოთ და მოვუწოდოთ სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლებას, როგორც ჩვენი პრემიერ-მინისტრი აკეთებს, როგორც ჩვენი შინაგან საქმეთა მინისტრი აკეთებს - გვეყო ამდენი სისხლი და მტრობა, ბავშვების, ქალების, ახალგაზრდების, მოხუცების ხოცვა, შეწყდეს და დასრულდეს ეს ომი. იყოს მშვიდობა და სტაბილურობა კავკასიაში, რათა სამივე ქვეყანა გავერთიანდეთ, ერთად მეტი დოვლათი შევქმნათ, მეტად განვვითარდეთ და გავძლიერდეთ... ჩვენ სამივეს ერთად გვაქვს იმის რესურსი, რომ ერთობლივად შევქმნათ ძლიერი ეკონომიკა და ვიცხოვროთ მშვიდობიან, სტაბილურ ქვეყანაში.

ნონა ქარქაშაძე

სახალხო დიპლომატია გზა აფხაზეთისა და ცხინვალისკენ

მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენი, მამუკა ფიფია უშუალოდ იყო ჩართული სავიზო რეჟიმის გაუქმებისა და პირდაპირი ფრენების აღდგენის მოლაპარაკებების პროცესში, როგორც სახალხო დიპლომატიის წარმომადგენელი, ამბობს, რომ ხელისუფლებისგან მარდაჭერა არ ჰქონიათ, მაგრამ არც ხელი შეუშლიათ მათთვის.

გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ბიზნესმენ მამუკა ფიფიასთან

- პირველად ვარ მოსკოვში. საომარი პირობების მიუხედავად, გრძელდება სამშენებლო სამუშაოები. საინტერესოა, როგორ ახერხებს ასეთ ვითარებაში ქალაქი ცხოვრების მაღალი დონის შენარჩუნებას?

- ქალაქი არ გაჩერებულა. ომის მიუხედავად ყველა დაგეგმილი პროექტი გრძელდება. თქვენ აღნიშნეთ, რომ მოგეწონათ ქალაქის გამწვანება. ამას მართლაც დიდი ყურადღება ექცევა. ამ ქალაქს ჰყავს მერი, როგორიც რუსეთს არასოდეს ჰყოლია, ისევე, როგორც თქვენ არ გყოლიათ ისეთი მერი, როგორიც კახა კალაძეა. თბილისში რომ ჩავედი გავოცდი ქალაქის სისუფთავით, სარბენი ბილიკებით და ველოგზებით. ნამდვილად, სერიოზული ურბანიზაციის პროცესი მიდის თბილისში. რაც ძალიან მახარებს.

- თქვენ ხართ ქართველი ბიზნესმენი, რომელიც სახალხო დიპლომატიის კუთხით მონაწილეობს ქართულ-რუსულ მოლაპარაკებებში, გამოჩნდით საჯარო სივრცეშიც. გვიამბეთ უფრო დეტალურად თქვენი საქმიანობის შესახებ. რამდენად რთულია, იყო ამ პროცესების მონაწილე?

ბიზნესიდან პოლიტიკაში გადასვლა ძალიან რთულია. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ გვყავს დიდი გუნდი, როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს მხრიდან. პატარა ნაბიჯებით, მაგრამ ეტაპობრივად წინ მივდივართ.

პროცესი, რასაც ჰქვია სახალხო დიპლომატია, დაახლოებით ერთი წლის წინათ დავიწყეთ. მაშინ ყველა ამბობდა, რადგან სხვებს არ გამოუვიდათ, არც თქვენ გამოგივათ არაფერიო.

- რას გულისხმობდნენ?

- პირდაპირი ფრენების აღდგენას და უვიზო რეჟიმის გაუქმებას. მიაჩნდათ, რომ რუსეთთან უვიზო რეჟიმის გაუქმება გამორიცხული იყო, რადგან რუსეთის მხრიდანაც იყო დაბრკოლებები. ყველაზე დიდი წინააღმდეგობა საქართველოს მხრიდან შეგვხვდა.

- წინააღმდეგობა ხელისუფლების, ოპოზიციის, თუ საზოგადოების მხრიდან?

- რა თქმა უნდა, ოპოზიციის მხრიდან. საქართველოში გამოჩნდა კონკრეტული მცირერიცხოვანი ძალები, რომელთა ვინაობა ცნობილია საზოგადოებისთვის, რომლებიც ამბობენ, რომ დაუშვებელია პირდაპირი ფრენები, რომ ქართველებს არ უნდა ჰქონდეთ უვიზოდ მოგზაურობის უფლება. ეს ხალხი არ ითვალისწინებს იმას, რომ ჩვენ ოცდაათი წელია, აქ ვშრომობთ, ვწვალობთ და ჩვენს ნაშოვნს საქართველოში ვაგზავნით.

- შეგიძლიათ მითხრათ, ოცდაათი წლის განმავლობაში დაახლოებით რა თანხაა რუსეთიდან საქართველოში გაგზავნილი მხოლოდ გზავნილების სახით?

- ამ საკითხით დავინტერსდი გავეცანი ოფიციალურ სტატისტიკას და აღმოჩნდა, რომ 1993 წლიდან 2023 წლის ჩათვლით, რუსეთიდან საქართველოში ოფიციალური გზავნილების სახით გაგზავნილია 50 მილიარდი დოლარი, ანუ 130 მილიარდი ლარი. ეს თანხა ქართველებისთვის რუსებს არ უჩუქებიათ, მათ მოგვცეს საშუალება, რომ გვემუშავა, გავგეკეთებინა მცირე, საშუალო დადიდი ბიზნესიც. გვეშოვა ფული და საქართველოში, ჩვენს ოჯახებში გაგვეგზავნა. გაითვალისწინეთ, რომ ამ 50 მილიარდ დოლარში არ შედის ის თანხა, რომელიც ჩვენმა ხალხმა ჯიბით ჩაიტანეს.

ოპოზიცია არ ითვალისწინებს იმას, რომ ჩვენ, რუსეთში მცხოვრებ ქართველებს თანადგომა, ხელის შეწყობა გვჭირდება. იმის ნაცვლად, რომ დაგვეხმარონ, მიგრანტების ხვედრი შეგვიმსუბუქონ, ქართული ოპოზიცია თავისი მოქმედებით ცხოვრებას გვირთულებს!

ამერიკის ელჩმა კელი დეგნანმა განაცხადა, რომ აშშ 6 მილიარდი დოლარით „დაეხმარა“ საქართველოს. მიგრანტებმა რუსეთიდან 8-ჯერ მეტი თანხა გამოვაგზავნეთ! თან ეს თანხა ჩვენს ნათესავ-მეგობრებს, ანუ გაჭირვებულ მოსახლეობას მიუვიდა. რაც შეეხება ყოფილი ელჩის დამადლებულ 6 მილიარდს, თქვენ თვითონ გასაჯეთ, რაში დაიხარჯებოდა.

ჩვენ ადრეც მიტოვებულები ვიყავით და დღესაც ასე ვართ. საკაშვილის ხელისუფლებას საერთოდ არ აინტერესებდათ, რა მოხდებოდა რუსეთში, როცა რადიკალურ განცხადებებს აკეთებდნენ, ან დგამდნენ კონკრეტულ დესტრუქციულ ნაბიჯებს. მაგალითად, რაც 2006 წელს ნაციონალებმა გააკეთეს, პირველ რიგში, ეს იყო სერიოზული დარტყმა საქართველოსთვის და მერე რუსეთში მცხოვრები ქართველებისთვის. ყველაფერი ჩვენზე გადადიოდა, ჩვენს ბიზნესს და იმ რუსებს, აზარალებდა, რომლებიც ქართველებთან ერთად იყვნენ ბიზნესში.

- შეიცვლა ხელისუფლება, რა შეიცვალა უკვე რუსეთში მცხოვრები ქართველებისთვის?

- მინდა გითხრათ, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ამ მხრივ არაფერში გვეხმარებოდა, მაგრამ მთავარია, რომ არც ხელს გვიშლიდა, რაც ძალიან კარგია. ხელს გვიშლიდა ის ხალხი, ვინც ქუჩაში იყო გამოსული. არა მარტო ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ საერთოდ გვიშლიან ხელს. როდესაც ჟურნალისტები პირდაპირ ეთერში რუსეთის თანამდებობის პირებს დედას აგინებენ, მიცვალებულებს უგინებენ, ეს არ არის პოლიტიკა, ეს რაღაც სხვაა...

- ალბათ, გაბუნიას და გვარამიას გულისხმობთ...

- რა თქმა უნდა. არასოდეს მსგავსი რამ რუსულ არხებზე არ გამიგია. საერთოდ, რუსები დედაზე არ იგინებიან. ჩვენ, ქართველებს, თითქოს ყველაზე მეტად დედა გვიყვარს და ყველაზე მეტად დედაზე ვიგინებით და თანაც მიცვალებულ დედაზე. რაზეა ლაპარაკი...

რაც შეეხება მიმდინარე პროცესებს, ომობენ რუსეთი და უკრაინა, მაგრამ რატომღაც ოპოზიციას უნდა, რომ ეს ომი ქართველმა ხალხმა გადაიტანოს საკუთარ თავზე.

მერამდენედ უნდა დავზარალდეთ? რატომ უშლიან ხელს იმას, რომ საქართველოს მოსახლეობამ მიიღოს სარგებელი? პირდაპირი რეისებია თურქეთის, დუბაის მიმართულებით, მაგრამ იქ არ გამოსულა ოპოზიცია ქუჩაში და არ მოუთხოვია ფრენების შეჩერება. რასაც ქართული ოპოზიცია აკეთებს, მსგავსი არსად ხდება, მათ უნდათ რუსეთში მცხოვრები ქართველების დასჯა.

- როგორ ფიქრობთ რატომ? იქნებ იმიტომ, რომ რუსეთ-საქართველოს ორი ომი ძალიან მძიმედ ახსოვთ ქართველებს. არის ადამიანების კატეგორია, რომელთაც ამ ომის გამო პრეტენზია აქვს რუსეთთან და სავსებით სამართლიანადაც, მაგრამ არის პოლიტიკური ნაწილი, რომლისთვისაც ეს საკითხი პოლიტიკურად მომგებიანია...

- აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ ომი ძალიან მტკივნეულია და ეს ჩვენ ორივემ კარგად ვიცით. აქაც ხვდებიან იმას, რომ დაშვებული იყო შეცდომები, მაგრამ იგივე 2008 წლის აგვისტოს ომის პროვოცირება მაშინდელმა მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ მოახდინა. თუ შემეკითხებით, შეეძლოთ თუ არა ომის თავიდან აცილება, გიპასუხებთ, რომ, რა თქმა უნდა, შეეძლოთ.

- აგვისტოს ომი რომ პროვოცირებული იყო, ეს არაერთხელ აღიარა სააკაშვილმა და თქვა, რომ ამით დაანახვა დანარჩენ მსოფლიოს, რომ რუსეთი აგრესორი სახელმწიფოა. როგორ ფიქრობთ, ღირდა ამად 2008 წლის აგვისტოს ომი თავისი მძიმე შედეგებით?

რუსეთი ვინც არის, ამას ყველა ხედავს და ნახავს, ჯობს, საქართველოს გარეშე ნახონ! რუსეთი არის დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშე, რომელსაც თავისი დიდი ინტერესი აქვს. შენ ამ ინტერესებში სწორი და პრაგმატული პოლიტიკა უნდა აწარმოო, და არა მის წინააღმდეგ წახვიდე. ეს მხოლოდ ნაციონალებს კი არა, საერთოდ, ქართულ პოლიტიკას ეხება.

- დღევანდელი ხელისუფლება რამდენად ახერხებს რუსეთთან ურთიერთობაში პოლიტიკური პროცესების დაბალანსებას?

- მინდა გითხრათ, რომ თვით შევარდნაძემაც კი, რომელიც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი და გამოცდილი პოლიტიკოსი იყო, ვერ შეძლო რუსეთთან პოლიტიკური პროცესების ისე დაბალანსება, როგორც ამ ხელისუფლებამ შეძლო.

დიახ აბალანსებენ, მაგრამ... სამწუხაროდ, დღევანდელ ხელისუფლებას რუსეთის ხელისუფლებასთან არანაირი ურთიერთობა არ აქვს.

- მაშინ რის საფუძველზე უყენებენ ბრალს საქართველოს ხელისუფლებას, რომ ის პრორუსულია? მოსკოვიდან როგორ ჩანს ეს ბრალდება?

- სხვა რა უნდა დააბრალონ თუ არა ის, რომ თითქოს პრორუსული ხელისუფლება მართავს საქართველოს? მერწმუნეთ, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება არც პრორუსულია, არც პროამერიკული და არც პროევ-

როპული. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - ეს არის პროევროპული ხელისუფლება.

- თქვენ როგორც ბიზნესმენი და სახალხო დიპლომატიის წარმომადგენელი, იყავით ერთ-ერთი ინიციატორი იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს შორის აღდგა პირდაპირი ფრენები, გაუქმდა რუსეთთან სავიზო რეჟიმი. რამდენად რთული იყო ამ თემებზე მუშაობა.

- რთული არ იყო. ვინც ამ საკითხში ვიყავით ჩართული, ინსტინქტურად ვიცოდით, რომ საქართველოს ხელისუფლება ხელს არ შეგვიშლიდა, რადგან ქართულმა მხარემ ამ წლების განმავლობაში დაადასტურა, რომ ეს არის ადეკვატური პოლიტიკური ძალა და როცა მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ხალხისთვის რამე გაგვეკეთებინა, ვიცოდით, რომ ხელისუფლება ამაზე სწორ რეაგირებას მოახდენდა.

- საზოგადოების მხრიდან იყო მოთხოვნა როგორც პირდაპირ ფრენებზე, ასევე სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე?

- იცით, საქართველოდან ძალიან რთულია ნახო რა პრობლემა აქვთ აქ მყოფ ადამიანებს. ოცდაათი წლის განმავლობაში ყოველ დღე ვიგებდით, რომ ვიღაცა ავად არის, მაგრამ საავადმყოფოში ვერ მიდის, რადგან საბუთი არ აქვს; ვიღაც დაიჭირეს; ვიღაც არალეგალურად არის ჩამოსული და უკან, საქართველოში ვეღარ ბრუნდება ვიღაცას ოჯახის წევრი გარდაეცვალა და საქართველოში ვერ მიდის და ა.შ. ყოველ დღე ჩვენს ტელეფონზე შემოდიოდა ასობით ზარი. წარმოიდგინეთ რა ვითარება იყო. ეს ყველაფერი გადადიოდა აქ მყოფი ქართველი ბიზნესმენების კისერზე. ეს იყო ჩვენი ყოველდღიურობა რამდენიმე წლის განმავლობაში.

ავიღოთ იგივე ბიზნესი, რომელსაც სჭირდება ქართული ხელი. დღეს მოსკოვში ყველაზე პოპულარულია ქართული სამზარეულო. რუსებმაც მასიურად დაიწყეს ქართული რესტორნების გახსნა. დღეს ქართული რესტორანი წამყვანია. ამას ხომ სჭირდება ქართული ხელი? ჩამოვიყვანეთ ქართველები, გავუკეთეთ ვიზა, მაგრამ ვიზას გაუვიდა ვადა და ისინი უკვე არალეგალები არიან! წარმოგიდგენიათ, რა ვითარებაში იყო ეს ხალხი?! არა მარტო ქართულ რესტორნებში, მშენებლობებზეც მუშაობენ ქართველები, რომლებიც, სხვათა შორის, ძალიან კვალიფიციურები არიან.

თქვენ წარმოიდგინეთ, არალეგალურად მუშაობენ და საქართველოში აგზავნიან ფულს! რუსეთთან გვაქვს 315 კმ საზღვაო საზღვარი, 894 კმ სახმელეთო საზღვარი და ამას ვერ შევცვლით. რაც უფრო მალე მივხვდებით ქართველები, რომ რუსეთი აქ მცხოვრებ ქართველებთან ერთად არ გაქრება, არ აორთქლდება, მით უკეთესია. ოცდაათი წელია, ამ სიტუაციაში ვართ, არავის არაფრის გაკეთება არ უნდა. ოცდაათი წელია იძახიან, რომ რუსეთი დაინგრევაო და ამას ელოდებიან საქართველოში. კარგით, რა!

საინტერესოა, შემდეგი ნაბიჯი რა იქნება?

- ჩვენი მიზანია, გამოცხადდეს ამნისტია და არალეგალურად რუსეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს შეექმნათ ლეგალურად აქ ყოფნის პირობები. ასევე, ამნისტია შეეხოს იმ ადამიანებს, რომლებიც არიან დეპორტირებულნი საქართველოში და ხუთი წლის განმავლობაში ეკრძალებათ აქ ჩამოსვლა. აი, ეს იქნება შემდეგი ნაბიჯი!

ჩნდება კითხვა, რატომ უნდა იყოს რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება დაინტერესებული იმაში, რომ ქვეყანასთან, რომლის 20% ოკუპირებული აქვს და აგრძელებს მცოცავ ოკუპაციას, პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდეს, თუკი ეს ქვეყანა სტრატეგიულ პარტნიორად არ მიაჩნია და მეტიც, ასეთი კეთილდღეობა შესთავაზოს? ეს ხომ ის რუსეთია, რომელმაც საქართველოსთან ორი ომიაწარმოა და ქვეყნის ოკუპაცია მოახდინა. თუ ამ რუსეთის ცნობიერებაში შეიცვალა რამე?

- რა თქმა უნდა, შეიცვალა. ლამაზად არის ნათქვამი: ხშირად მეგობრად ის მიგაჩნია, ვინც ლამაზად გესაუბრება და არა ის, ვინც გეჩხუბება, მაგრამ ერთ დღეს მიხვდები, რომ სწორედ ის არის შენი მეგობარი, ვინც გეჩხუბება. ეს ცხოვრებისეულია. აქაც ასეა. რუსეთს ისეთი დიდი მიზნები აქვს, რომ პატარა საქართველო დავიწყებული ჰქონდა. კი, რა თქმა უნდა, თვალს ადევნებენ საქართველოს, მაგრამ ისე, რომ არავინ არაფერი დაუშავოს. მე ვიტყოდი, რომ გეორგეევსკის ტრაქტატი დღესაც მუშაობს.

მიპასუხეთ, რუსეთი რომ არ იყოს, სხვა რა გაქვთ. სტოლტენბერგი მოვა? არა, არ მოვა. ეს დიდი ბლეფია. ერთადერთი სიმართლე თქვა ემანუელ მაკრონმა: „ევროკავშირის წევრებს შორის ერთიანობას უნდა მივაღწიოთ. ვერ გამოვყოფთ უკრაინისგან მოლდოვას იმ პერსპექტივაში, რომელსაც ვაძლევთ. კანდიდატის სტატუსის მინიჭება არის ის, რაც ევროკავშირს მართებს რეგიონის მიმართ. საქართველო ასევე მაგიდაზე იქნება, როგორც პოტენციური კანდიდატი, მაგრამ გეოპოლიტიკურად სხვა ადგილას“. დიდი სტაფილო აქვთ ჩამოკიდებული ცხვირის წინ და 30 წელია ამგვარი სატყუარათი დაჰყავთ საქართველო, რომ დღეს თუ არა ხვალ, გახდება ნატო-ს და ევროკავშირის წევრი. ეს არის ტყუილი. 2007 წლის ბუქარესტის სამიტზე უბრალოდ გვითხრეს, ნატო-ს წევრი გახდებითო და რაც ამას მოჰყვა, ვნახეთ. ვხედავთ იმასაც, რაც უკრაინას დაემართა.

- თქვენი ჯგუფი, სახალხო დიპლომატიის კუთხით მუშაობს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიმართულებითაც. რა მოლოდინები გაქვთ?

- რუსეთში მცხოვრებ ქართველებს გვინდა, რომ გაღრმავდეს ქართულ-რუსული ურთიერთობა. ჯერ უნდა აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან. რაც შეეხება აფხაზეთს და ცხინვალს, მათთანაც დათბება ურთიერთობა აუცილებლად და გამოჩნდება ჩვენი მათთან დაახლოების გზები. ესეც მალე მოხდება.

- ოკუპაციის პირობებში?

- კი, რა თქმა უნდა. მე ვფიქრობ, რომ ჯერ უნდა აღვადგინოთ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობები და ამის შემდეგ დავიწყოთ ამ თემებზე საუბარი. ჩვენ, აქ მყოფ ქართველებს არ დაგვიკარგავს არც ენა, არც ტრადიციულობა. აქ, რუსეთში ვაკეთებთ ქართულ საქმეს. ამ დროს ჩვენ არ გვყავს ელჩი, არ გვაქვს საკონსულო, რომელიც საქართველოს მოქალაქეების პრობლემებზე იმუშავებს.

ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენი ხმა საქართველოშიც. ჩვენ რუსეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეები ვართ, ძალიან ბევრნი ვართ ჩვენი პრობლემებით. ბევრნი ვართ საქართველოს მოქალაქობის გარეშეც. ჩვენ გვჭირდება ჩვენი ხმა, ჩვენ უნდა გვყავდეს ჩვენი წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, რომ ჩვენმა წარმომადგენელმა ხმა აღიმაღლოს და დაგვეხმაროს ყოველდღიური პრობლემების მოგვარებაში.

ასე მაგალითად, როგორ შეიძლება გაგრძელდეს ის, რასაც ქალბატონი პრეზიდენტი აკეთებს: თუ მოისურვებს, მოგვცემს საქართველოს მოქალაქეობას, თუ არ მოინდომებს - არ მოგვცემს! თუ უნდა ველოდოთ ნაციონალებს, როდის შევეცოდებით? ან გვარამია და გაბუნია როდის შეწყვეტენ გინებას? არა, ბატონო! ასეთების იმედით არაფერი გამოვა, საკმარისად ველოდეთ ასეთი ხალხის ჭკუაზე მოსვლას! 30 წელი ვუთმინეთ, არაფერი ვთქვით, მაგრამ ისევ კვერცხებს გვესვრიან და მოღალატეებს გვეძახიან!

კი ბატონო იძახონ. მოღალატეები თვითონ არიან. აქ ყველა ქართველი მიხვდა, მათი მიზანი მხოლოდ დოლარებია, ფული, რომელსაც ბნელი საქმეებისთვის ამერიკიდან იღებენ! რუსეთში მცხოვრებმა ადამიანებმა მესამე ქვეყნიდან უნდა ვიფრინოთ, ან ლარსის გამშვები პუნქტიდან ვიმგზავროთ და იმ გვირაბში უნდა ვისხდეთ, ვიწვალოთ! თუ მოინდომე ამ წვალებისგან გათავისუფლდე, მოინდომე პირდაპირი ფრენა, ან სავიზო რეჟიმის მოხსნა, მოღალატე ხარ. ფული? ფული, კი ბატონო, გამოაგზავნე, არაა პრობლემა. ეს მიდგომა უნდა დამთავრდეს. ჩვენ უნდა ჩავერთოთ პოლიტიკურ პროცესებში და, რაც მთავარია, საქმე გაკეთდეს.

რაც შეეხება აფხაზეთს და ცხინვალის რეგიონს - ამ მიმართულებით გვაქვს საინტერესო გეგმები. ოცდაათი წელია, ერთ ადგილს ვტკეპნით და მერე რა? არაფერი. დღეს რუსეთში არის ძალა, რომელსაც უნდა, რომ ეს საკითხი დაიძრას. ასეთი ძალები არიან აფხაზეთშიც და ოსეთშიც. მიდის მოლაპარაკებები, რომ გაადვილდეს მიმოსვლა. აუცილებელია აფხაზებთან და ოსებთან დავსხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან და ვისაუბროთ ისეთ საკითხზე, როგორიც არის აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა და ბაბუშერას აეროპორტის გახსნა. აუცილებელია, აღდგეს ეკონომიკური ურთერთობა და დავიწყოთ სავაჭრო ურთიერთოები, რაც ხალხთა შორის ურთიერთობების აღდგენას შეუწყობს ხელს. სხვა დეტალებზე ახლა ვერ ვისაუბრობ, მაგრამ თავის დროზე ყველაფერს გაიგებთ. რაც მთავარია, რუსები გვეუბნებიან, რომ ერთმანეთთან მიმოსვლა გვქონდეს და ვილაპარაკოთ.

- თუკი რუსეთის მხრიდან არის ასეთი პოლიტიკა, რომ ქართველი, აფხაზი და ოსი პირისპირ დასხდნენ, მაშინ რა გვიშლს ხელს, რომ ეს ფორმატი შედგეს?

- სახალხო დიპლომატია კარგია მაგრამ შენ როდესაც მიდიხარ და ელაპარაკები, გეკითხებიან, ვინ ხარ, ვის წარმოადგენ? ამიტომ გვჭირდება ჩვენი პოლიტიკური ძალა, რომელიც ილაპარაკებს აქ, პირდაპირ და ღიად. ამისთვის გვჭირდება ჩვენი წარმომადგენელი.

- თქვენ ამბობთ, რომ რუსეთში მცხოვრებ ქართველებს გჭირდებათ თქვენი ხმა საქართველოში. როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოში ისეთი პოლიტიკური ძალის შექმნა, რომელიც რუსეთთან იქნება ასოცირებული და მით უმეტეს არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას? ცხადია, რომ საქართველოში არიან პრორუსული ამომრჩევლები, რომელთა ოდენობა დაახლოებით 25-დან 27%-მდეა...

- შეგისწორებთ, ისინი არ არიან პრორუსები. ისინი პროქართველები არიან. მშრომელი ხალხი, რომლებიც მუშაობენ, ქმნიან და ფიქრობენ მომავალზე. ეს ხალხი დაინახავს, რომ აქ არის ძალა, რომელიც რუსებთან, აფხაზებთან და ოსებთან ვითარებას დაალაგებს და მათი საქმეებიც დალაგდება. საქართველოს მოსახლეობის მიზანია, მშვიდობა დამყარდეს, საზღვრები გაიხსნას, მოწეული მოსავალი ქვეყნიდან გაიტანოს და ნორმალური შემოსავალი ჰქონდეს!

ჩვენ ჩამოვიყვანეთ მცირე მეწარმეები, ნახეს რა ვითარებაა და მინდა გითხრათ, რომ ყველა დაინტერესებულია რუსული ბაზრით. სწორად გამიგეთ, მე არ ვამბობ, რომ, რადგან რუსეთში ვარ, ამიტომ მთელმა საქართველომ რუსთთან უნდა იმეგობროს, არა. მე ვამბობ: არ გადაგვიკეტოთ რუსეთთან ურთიერთობის გზა, აქ მცხოვრებ ქართველებსაც გვჭირდება ჩვენი ხმა, ჩვენი უფლებების დაცვა. წარმოიდგინეთ, საქართველოდან გეძახიან, რომ შენ არ ხარ ქართველი, რომ პრორუსი ხარ, მტერი ხარ. მე ვარ პრორუსი და პროქართველი?!

ოცდაათი წელია, სისხლი არ მოძრაობს, გაყინულია. აფხაზები და ოსები ხვდებიან, რომ წინ უნდა წავიდნენ. 1992-93 წლებში მოხდა დიდი ტრაგედია და ეს იყო დიდი შეცდომა. საუბარი მქონდა აფხაზებთან და იცით, რას ამბობენ? - „რამე გააკეთეთ, ნაბიჯი გადმოდგითო!“ ჩვენ მარტო დიპლომატიური ურთიერთობა კი არ უნდა აღვადგინოთ რუსეთთან, არამედ რუსულ პოლიტიკაშიც უნდა შემოვიდეთ. უფრო უნდა დავუახლოვდეთ რუსეთს. მათთან ერთად მეტის გაკეთება შეგვიძლია.

- ბატონო მამუკა, დღეს საქართველო კანდიდატის სტატუსის მინიჭებას ელლოდება. როგორ ფიქრობთ, მიიღებს ქვეყანა კანდიდატის სტატუსს და გახდება ევროპული ოჯახის წევრი საქართველო? საქართველოში არის ასეთი მოსაზრება, რომ ქვეყანა აქვს ევროპული პრესპექტივა და ამიტომ რუსეთი ცდილობს, რბილი ძალის მეშვეობით აითვისოს საქართველო...

- ახლა რასაც ვიტყვი, ქართველ ხალხს არ მოეწონება, მაგრამ უნდა ვთქვა: არ გამიკვირდება, რომ ის ძველი სტაფილო, რომელიც გახმა, მოხსნან და ახალი ჩამოკიდონ. მაგრამ იგივე სტაფილო იქნება, უბრალოდ ახალი, რომელიც ისევ ცხვირწინ წინ იქნება დაკიდული. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, ჩვენ არ გვაქვს ხელისუფლების მხარდაჭერა, მაგრამ არც ხელს გვიშლს. ამის მიუხედავად, ვცდილობთ, აღდგეს ორმხრივი ურთიერთობები სახალხო დიპლომატიის კუთხით, რომელიც გაჭრის გზას აფხაზეთისა და ცხინვალისკენ. ეს არის ჩემი პირადი მიზანი. ჩვენ, აფხაზეთიდან დევნილები ამ ოცნებით ვიძინებთ და ვიღვიძებთ, რასაც ჩვენს სახლებში დაბრუნება ჰქვია.

ანი გოდერძიშვილი

იური პაპასქუა: მხოლოდ განათლება იყო და არის წყარო ყოველგვარი ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისა

დიდსოფელში ყველა მიდის — ზოგი ადრე, ზოგი გვიან. ამ ვალს ვერავინ გაექცევა. ბევრის წასვლას ვერც შენიშნავ — თითქოს არც მოსულა ამქვეყნად. ზოგი — ცხოვლად დააჩნდება საქვეყნო საქმესა და სულიერებას. ვახტანგი ძლიერ დაგვაკლდა... მისი შემართება, მედროვეთა ლიბერალურ ფასეულობებთან უდრეკი შერკინება შემოქმედებითი მწიფობის, დაუნჯებული აზროვნებისა და მყარად დგომის ასაკში გამოგვეცალა. იყო ჩვენ შორის თითქოს უწყინარი, თუმცა სულიმტკიცე, დაუცხრომელი. დიდ ტვირთს ედგა, ბოროტს უმოწყალოდ ებრძოდა და ვერავის პატიობდა ქვეყნის ორგულობას. სიტყვას ეფერებოდა და უბადლოდ იმორჩილებდა. სხვისი გაბრწყინების შემჩნევა, აღფრთოვანება შეეძლო, გვერდში დგომა, შეგულიანება, გამხნევება გულუხვად იცოდა.

წელიწადი გავიდა, მაგრამ კი არ დაგვშორდა, უფრო ახლობელი გახდა, ახლა უფრო დიდად ვხედავ, ვგრძნობ მის ძალმოსილებას და დიდი მეცადინეობის მასშტაბებს.

ნუგეშად დაგვრჩა „საერთო გაზეთი“ — მართალი სიტყვის მედგარი მეციხოვნე ფეხზე დგას, ისევ ისეთი პირდაპირი და ულმობელია მანკიერებათა მიმართ.

საუბარს განათლების თემაზე კი აკაკი წერეთლის სიტყვებით დავიწყებ: **„მხოლოდ განათლება იყო და არის წყარო ყოველგვარი ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისა“**. რამდენიმე დღის წინათ, სოციალურ ქსელში გადავაწყდი გია მურღულიას წერილს ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიმართ, სადაც მან ცალკეული თანამდებობის პირების ლარბალახობასა და არაფრისმომტანი საქმიანობის დაუმსახურებელ წახალისებაზე (პრემირებაზე) მკვეთრად ნეგატიური აღშფოთება გამოხატა. ბატონი გია სავსებით მართებულად რიტორიკულ კითხვას სვამს: რას აკეთებენ ისინი ისეთს, რაც ექიმის, პოლიციელის ან მასწავლებლის შრომას აღემატება? მეცნიერი მურღულია სწორად შენიშნავს, რომ ასეთი დამოკიდებულებით (უმსგავსობით, ქურდობით, უმწიფრობით) „პატიოსნება“ დასამარებულია და „სამართლიანობა“ ყავარჯნებით დადის. იმაშიც უყოყმანოდ უნდა დავეთანხმოთ, რომ **„ეს სახელმწიფოს იდეის დაცინვა და სახსრების უპასუხისმგებლო ფლანგვაა“**. ამ ტკივილიან საყვედურში, ექიმის, პოლიციელის, მასწავლებლის ამაგის დაუფასებლობაც იკითხება. აშკარაა, რომ ავტორი მწვავე პრობლემას შეეხო და თანამოაზრეებიც გაიჩინა.

ზოგადად, ვისურვებდი, ყველა მდიდარი იყოს, ლუკმაპური არ უჭირდეთ, ცოდნა-განათლება და წამალი საყიდელი არ ჰქონდეთ, ცხოვრება უხაროდეთ, ომები შვილებს არ უხოცავდეთ... ჩვენთან ასეთი მიდგომაა — მდიდრები დასანახადაც ეჯავრებათ, მაგრამ გამდიდრებას ყველა ცდილობს. მდიდრების შურთ, ბოღმა ახრჩობთ, მაგრამ „კარგი ცხოვრება“ ყველას უნდა!

მთავარ სათქმელს დავუბრუნდეთ. მიმაჩნია, რომ საზოგადოება ექიმს, პოლიციელს და მასწავლებელს, მართლაც გამორჩევით უნდა ექცეოდეს - ამ **„ადამიანთა შრომა ასე აბუჩად არავინ უნდა აიგდოს“**. ყველაზე დიდი ბოროტება, ცოდვა და უსამართლობა დღეს სამედიცინო სფეროში ტრიალებს. ყველაფერი ფასიანია, მედიცინა ბიზნესად იქცა. ულმობელი ბიზნესი ჯანმრთელობაშია. მედიცინაში არსებული სიყალბის, თვალთმაქცობის, სისასტიკის გამო, ადამიანს სიცოცხლის უფლება ერთმევა — ავად რომ არ იყო, გაგხდიან; აუტკივარ თავს აგატკივებენ, წამალზე მიგავჯაჭვავენ და ა.შ. თუმცა ეს ყველას არ ეხება. ჰიპოკრატეს ფიცის ნამდვილად ერთგულ ექიმს პატივისცემა, ყურადღება და მაღალი ანაზღაურებაც დაუყვედრებლად ეკუთვნის. ოღონდ, როცა ამას ავადმყოფისგან ითხოვენ და წარუმატებელი მკურნალობის საფასურსაც მას ახდევინებენ, ეს ამაზრზენია. ჯანდაცვაზე პასუხისმგებლობა მთლიანად სახელმწიფოს უნდა დაეკისროს და არა ექიმს, ჩატარებულ პროცედურებზე (მანიპულაციებზე, მარჩილობაზე.) სხვა შემთხვევაში ეს სწორედ **„სახელმწიფოს იდეის დაცინვაა“**.

რაც შეეხება პოლიციას, ის მოქალაქეთა მშვიდ ყოფაზე სადღეღამისო რეჟიმში ზრუნავს და ბევრ შემთხვევაში, მათ კეთილდღეობას ეწირება კიდეც. პოლიციელის შრომა, ნების სიმტკიცე, თავდადება ფასდაუდებელია. ანაზღაურებაც შესაბამისი უნდა იყოს.

ჯანდაცვა და პოლიცია „სახელმწიფოს იდეის“ ორი უმნიშვნელოვანესი შემადგენელია. აქ პრობლემები ბევრია, თემაც დიდია და ყველა საკითხს თანაბარი წარმატებით ვერც შეეხები.

- ბავშვების პატიოსან მოქალაქეებად, ქვეყნის მოსიყვარულე ადამიანებად აღზრდა, სამართლიანი საზოგადოების ჩამოყალიბება, მომავალი თაობების ფორმირება მთლიანად მასწავლებლის ხელშია. მასწავლებლის პირველივე სიტყვიდან იწყება ბავშვის მშობლობისთვის მზაობა, სიყვარულის სიწრფელე და ოჯახის სიმტკიცეც. ამიტომ სულაც არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ საზოგადოება მასწავლებელის მიმართ განსაკუთრებულ პატივისცემას ავლენს.

ბავშვის მსოფლმხედველობრივი, მოქალაქეობრივი და სულიერი წვრთნა, მასწავლებლის გარეშე წარმოუდგენელია. მაგრამ ასგზის უარესია გაუნათლებელი, არამყარი ცოდნისა და ზნედაბალი მასწავლებლის იმედად დარჩენილი მოსწავლეების მომავალი. სადავო არცაა, რომ სკოლებში სასწავლო განწყობა, მასწავლებელთა კვალიფიკაცია და სულიერება სასურველისგან ძალიან შორსაა. არც მოტივირება და მასწავლებელთა სოციალური მდგომარეობაა სახარბიელო - მასწავლებლის სტატუსი, დანამატების სისტემა და საათობრივი განაკვეთები ისეა გათვლილი, რომ მათი ბედნიერი (???) თანხვედრა იშვიათია. ამასთან, საშუალოზე მაღალი ანაზღაურების მიღება სხვა კეთილმყოფელ გარემოებებზეცაა დამოკიდებული. ასე რომ, თეორიული შესაძლებლობისგან განსხვავებით, მასწავლებელთა ფაქტობრივი ანაზღაურება დაპირებული „ღირსეული ცხოვრების“ მეათედსაც ვერ სწვდება. ამდენად, მოსწავლის სწავლების, მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების, აგრეთვე, მათი მოტივირების გაზრდის ეს ურთიერთგანმაპირობებელი ფაქტორები და გარემოებები ძირეულ გარდაქმნას საჭიროებენ. სასურველთან მიახლოებული შედეგის მიღწევა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ სასკოლო განათლება სახელმწიფოებრივ პრიორიტეტებს შორის უპირველეს მიმართულებად იქცევა. სხვა შემთხვევაში, ქვეყნის განვითარება და ერის მომავალი დასაღუპად არის განწირული.

— სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში - უნივერსიტეტებში ბევრად უარესი ვითარებაა. რევოლუციურ ტალღაზე ატივტივებულმა ნაციონალურმა ხელისუფლებამ უმაღლესი განათლება და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები პირწმინდად მოშალა, დარგობრივი მიმართულებების უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებიდან უნიკალური სპეციალობები გააქრო, გამოცდილი და კვალიფიციური პროფესურა კორუფციულ წარსულს მიაკუთვნა და განურჩევლად დაითხოვა. მათ ნაცვლად კადრების მომზადების საქმე პარტიული ნიშნით ერთგულებს და საეჭვო სინჯის უცხოური სერტიფიკატებით მოტრაბახე ახალბედებს ანდო. ერთიანი ეროვნული გამოცდები, რითაც მისი შემოქმედი გუნდი ახლაც თავს იწონებს, სავალალო ხარვეზებს შეიცავს. მისაღები საგამოცდო საგნების, სტუდენტთა კონტინგენტის შერჩევის, უნივერსიტეტებზე განაწილებისა და გადანაწილების პრაქტიკა დაუყოვნებლივ შესაცვლელია. მასში ჩადებულმა კრიტერიუმებმა, კეთილმყოფელი დანიშნულება უკვე დაკარგეს.

საქმე ისაა, რომ არასწორი პრიორიტეტების გამო, ყოფილი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ნაწილი კერძო პირების ხელში აღმოჩნდა — **განათლებაც ჩვეულებრივ ბიზნესად იქცა**. აქ სწავლის გადასახადის გაზრდის ხარჯზე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სარეკლამო-მარკეტინგული მიდგომები მკვეთრად გაუმჯობესდა, რეიტინგებიც აიმაღლეს. სახელმწიფოს სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს კი არასაკმარისი დაფინანსება და დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი შერჩათ. პრობლემების გადაჭრისთვის მათი ადმინისტრაციების აქტივობა და ინიციატივები გაუმართავი რეგულაციებით იზღუდება, სამეცნიერო საქმიანობის სტიმულირება გადაჭარბებულად ბიუროკრატიულია. ყველაფერთან ერთად, აქ პროფესორის სახელფასო ანაზღაურება საარსებო მინიმუმს ბევრად არ აღემატება. წარმოგიდგენიათ, პროფესორი ბიზნესის საფუძვლებს ან კორპორატიულ მენეჯმენტს ასწავლიდეს აუდიტორიას და გაცრეცილი ტანსაცმლით, ყავლგასული კომპიუტერით, ფერწასული გამომეტყველებით იდგეს მორყეულ ტრიბუნასთან?! ასეთი გარეგნული იერით მოსული პროფესორი, ბიზნესის წარმატების საიდუმლოებებზე დამაჯერებლადაც რომ საუბრობდეს, სტუდენტებზე მისაბაძ შთაბეჭდილებას მაინც ვერ დატოვებს. თავის მხრივ, დაჩაჩანაკებული, საარსებო პირობების დაკმაყოფილებას გამოდევნებული პროფესორიც არაფრითაა მოტივირებული, რომ თითქმის ცარიელ სასწავლო აუდიტორიაში სრულად დაიხარჯოს, მით უფრო, სტუდენტობის უმეტესობას სწავლა არ უნდა, ლექცია-სემინარებს არ ესწრება, გამოცდებზე ყველანაირი ხერხით მხოლოდ იმას ცდილობს, „საკმარისი“ შეფასებით გაძვრეს საკრედიტო დატვირთვებიდან.

ბევრი ტრაბახობს, რომ თავისუფალი, ჭკვიანი ახალგაზრდობა მოდის... მართლაც შეუძლებელია, არ გიყვარდეს დაუოკებელი ენერგია, სიხალისე, ლამაზი, ცოცხალი, ლაღი სახეები. მაგრამ მათში მე უფრო მეტად ყალბად აღქმულ თავისუფლებას, ზღვარგადასულ სითამამეს, უსახურ გემოვნებას, ფასეულობებისგან დაცლილ შეგრძნებებს, შორსგამიზნული დასავლური პროპაგანდით გაბრუებულ, უცხოურის მიმართ გაფეტიშებულ ლტოლვას ვხედავ. ჭკვიანი და განათლებული ახალგაზრდა ბნელეთის მხარეს არ დადგება, ჭრელ და ფერად სატყუარებზე არ გაიყიდება. ჩემი ეს განწყობა არაა მამათა და შვილთა ჩვეულებრივი დაპირისპირების ახირებული განცხადება. მას გამოცდილება, მოვლენების ანალიზი და დაუნჯებული ხედვა ასაზრდოებს.

შექმნილ ვითარებას ახსნა შეიძლება მართლაც მოუძებნო, ან ათას

12 გვ.

(დასაწყისი „ს.გ“ N9)

რატომ ვართ „განვითარებადი“ ქვეყნის შვილები?

მახსოვს ბი-ბი-სი-ს ინფორმაცია, ბრიტანული საზოგადოება შეშფოთებულია იმით, რომ უმაღლესი სასწავლებლები ფინანსური გაჭირვების გამო იძულებულნი ხდებიან, საზღვარგარეთიდან მოიწვიონ სტუდენტები, რაც განათლების დონეზე ხშირად დამღუპველად მოქმედებსო; უცხოელი სტუდენტების რაოდენობა 1990-იან წლებთან შედარებით 8-ჯერ გაიზარდა და დღეს 60%-ზე მეტი მაგისტრი და დოქტორი, რომლებმაც ეს წოდება ინგლისში მიიღეს, უცხოელიაო; ერთ-ერთმა პროფესორმა აღნიშნა, დიდ ბრიტანეთში არცთუ იშვიათად, ისეთი სტუდენტები იღებენ დიპლომს, რომლების ინგლისურად თითქმის ვერ საუბრობენო. დიდი ბრიტანეთის პროფესურა მიიჩნევდა, რომ ეს პრობლემები უნივერისტეტების არსის ცვლილებების ანარეკლი იყო. „ეს საგანმანათლებლო დაწესებულებებია, თუ ფულის მკეთებელი ორგანიზაციები? ადრე უნივერსიტეტის სისტემა მხოლოდ საგანმანათლებლო სტანდარტის საკითხებს განიხილავდა. ახლა, როდესაც უნივერსიტეტის საქმინობა ბიზნესის მსგავსია, ეს უცხოელი სტუდენტებისადმი უნივერსისტეტის დამოკიდებულებას ცვლის. აქ ერთმანეთს დაუპირისპირდა უნივერისტეტისადმი ნდობის საკითხი და მასში ფინანსების ნაკადის შემოდინების პრობლემა“, — დაასკვნა მეორე პროფესორმა. მესამემ უფრო მკვეთრად თქვა: „ეს პროცესები გვიჩვენებს, რომ უმაღლესი განათლება იყიდება!“

2007 წელს, გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში ფასიანი სწავლება თავდაპირველად ხუთ რეგიონში დაწესდა, შემდეგ კი სხვა რეგიონებშიც გავრცელდა. გერმანული ჟურნალი „ფოკუს-კამპუსი“ წერდა, რომ ფასიანი სწავლება არ შესულა ბერლინში და კიდევ სამ რეგიონში. სწავლის საფასური სემესტრში 35-იდან 900 ევრომდე მერყეობდა. სტუდენტურ პროფკავშირებსა და ხელისუფლებას შორის გამართული უმწვავესი დებატების შედეგად ზოგიერთი რეგიონის ხელისუფლებამ გადასახადები შეამცირა, ჰესენის შემთხვევაში კი საერთოდ გაუქმდა.

ჰამბურგში პარლამენტმა სემესტრული გადასახადის 375 ევრომდე შემცირება გადაწყვიტა, მაგრამ ეს არ მოეწონა სტუდენტურ პროფკავშირს, რომელმაც მიიჩნია, რომ ამხელა გადასახადი მძიმე ტვირთია მრავალი სტუდენტისთვის და სწავლის გადასახადის სრულ გაუქმებას მოითხოვდნენ. საქართველოს ფასებს შეადარეთ:

QSI - საერთაშორისო სკოლა

I-XII კლასები — წლიური გადასახადი 27 500 დოლარი.

გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია

VIII კლასი. წლიური გადასახადი 15 000 ლარი.

IX-XII კლასები — წლიური გადასახადი 26 500 ლარი.

ევროპული სკოლა.

I-IX კლასები — ქართული პროგრამა 5000 ევრო.

საერთაშორისო პროგრამები — 9 000-დან 11 000 ევრო.

სკოლა „ლოგოსი“.

1-6 კლასები — 3 100 დოლარი.

7-8 კლასები — 4 200 დოლარი.

9-12 კლასები — 5 200 დოლარი.

ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა.

I-XII კლასები — წლიური გადასახადი 10 800 ლარი.

ნიუტონის თავისუფალი სკოლა.

ქართული, სტანდარტული პროგრამა, რომელიც ეროვნულ სასწავლო გეგმას მიჰყვებოდა 2022-2023 სასწავლო წლისთვის, წლიური საფასური იყო 9 000 ლარი.

IB პროგრამა — 2023-2024 სასწავლო წლისთვის:

I-V კლასები — 4 000 ევროს ეკვივალენტი ლარში.

VI — VIII კლასები — 4 500 ევროს ეკვივალენტი ლარში.

IX—X კლასები — 5 000 ევროს ეკვივალენტი ლარში.

XI—XII კლასები — 5 500 ევროს ეკვივალენტი ლარში.

მოკლედ, ვითარება ასეთია — გვყავს დიპლომიანი ახალგაზრდობა, რომელსაც ცოდნა არ აქვს და რომც ჰქონდეს შემდგომი პერსპექტივა არ ჩანს თუ სტუდენტის მშობელს არც ფული აქვს და არც ბანკიდან სესხის აღების საშუალება.

თუ ტესტირება არის გადამწყვეტი, უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც მარტო სახელადაა უმაღლესი და არაფრის მაქნისია თავის დიპლომიანად, რაში გვჭირდება?

რა მოგვიტანა ფასიანმა სწავლებამ, რატომ არ უნდა ამაზე დაფიქრება განათლების მინისტრს, რომელიც საქმის პრობლემის არსში პრემიერს ზედმიწევნით უნდა ახედებდეს? ერთ-ერთი გადაცემის წამყვანი აღშფოთებული საუბრობდა, ახალი განათლების მინისტრი ისევ ამერიკელებს ეკითხება, რა და როგორ უნდა ისწავლონ ჩვენმა შვილებმაო...

როგორც ვხედავთ, მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო სრულიად ზედმეტია, სახელიც უნდა გადაერქვას და „საამშენებლო-სარემონტო სამუშაობის სამინისტრო“ უნდა დაერქვას. ის მხოლოდ სასწავლო დაწესებულების რემონტით არის დაკავებული?

რა დამოკიდებულება აქვთ ამერიკელ სპეციალისტებს ჩვენ მიმართ, პროფესორ სულხან ქემოკლიძის მოგონებიდან ჩანს: „სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატმა კათედრის გამგეები და უნივერსიტეტის პროფესორები სააქტო დარბაზში ამერიკელ ექიმებთან შესახვედრად შეგვკრიბა. სცენაზე გამობრძანდა ორი ახალგაზრდა. დაიწყო ერთმა ზანგმა ლექცია და გაოგნებული დავრჩი — მისი ლექცია პირველადი სამედიცინო დახმარების მეთოდებს ეხებოდა. ცხადია, დარბაზი სწრაფად დავტოვე“.

სამწუხაროდ, ჩვენი ხალხისთვის უმაღლესი განათლების დიპლომი ყოველთვის მხოლოდ აუცილებლობად აღიქმებოდა და თავს არ ზოგავდნენ, რომ შვილი უმაღლეს სასწავლებელში მოეწყოთ. სწორედ ამიტომ დამკვიდრდა სიტყვა „მოწყობა“ და არა „ჩაბარება“.

1991 წელს 3 ათასამდე აბიტურიენტი დარჩა სამედიცინო ინსტიტუტის გარეთ და ყველაზე მეტად მათი მშობლები მოითხოვდნენ ფასიანი სასწავლებლის გახსნას. მათმა შვილებმა გამოცდები შებამისი ცოდნის არქონის გამო ვერ **ჩააბარეს**, მაგრამ მათ თავიანთი შვილების **მოწყობა** უნდოდათ.

ჰოდა **ეწყობიან** და არიან „სხვაგვარად მოწყობილები“ რომელთაგან, ძირითადად, აქციის მონაწილეები „გამოდიან“...

დავით ქართველიშვილი: „საქართველოში ლიბერალური ფაშიზმის ნიადაგზე იდეოლოგიური დატვირთვის მქონე სკოლების ფუძემდებლად და კურატორად შეიძლება ჩაითვალოს აშშ-ის მოქალაქე, 1956 წელს დაბადებული, პოლიტოლოგიის დოქტორი ტომ პალმერი. იგი არის რადიკალური ლიბერტანიალური მიმდინარეობის აქტიური მხარდამჭერი, რომელიც პირდაპირ ლობირებს ანარქიისკენ მიდრეკილი პოლიტიკური მიმდევრობების პოპულარიზაციას. ასევე, ლიბერტარიანელთა ცნობილი იდეოლოგის **George M. Yeage**-ს „თავისფლების პოპულარიზაციის ინსტიტუტის“ თავმჯდომარე. იგი წარმოადგენს **Atlas network**-ის ვიცე-პრეზიდენტს, სადაც ხელმძღვანელობს ორგანიზაციის საერთაშორისო პროგრამებს, რომლის ფარგლებშიც პასუხისმგებელია სასწავლო კურსების შექმნასა და ინტეგრაციაზე.. ამ ეტაპისთვის აქრიურად უჭერს მხარს უკრაინის ხელისუფლებას, სადაც მისი მონაწილეობით შექმნილია არაერთი ლიბერტარიანული იდეოლოგიის გამავრცელებელი ორგანიზაცია, ფორუმები და სხვა. ბოლო პერიოდში იმყოფება სწორედ უკრაინაში, საიდანაც ხელმძღვანელობს ხსენებული ორგანიზაციის ეგიდით მოქმედ მოძრაობებსა და კლუბებს.

უკრაინაში ოფიციალურად აქვს შექმნილი „დახმარების ფონდი“, არაოფიციალურად კი მის სახელს უკავშირდება არაერთი სკანდალური ბრალდება უკრაინისთვის მიწოდებული იარაღის არამიზნობრივად გამოყენების თაობაზე. არსებობს ვარაუდი, რომ აღნიშნული ბრალდება მას გაავრცელებინეს ამერიკულმა სპეცსამსახურებმა, როგორც პრევენციული ხასიათის გაფრთხილება კიევის რეჟიმისთვის, რომ ამის თაობაზე ინფორმაცია აქვთ.

ტომ პალმერი არის უშუალო პასუხისმგებელი აშშ-ის ფარგლებს გარეთ ანალიტიკური ცენტრების დაფუძნება-ფუნქციონირებაზე. სწორედ მისი მონაწილეობითა და კურაციით შეიქმნა საქართველოში „ფრანკლინის კლუბი“ და მასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო ქსელი.

მნიშვნელოვანი გარემოებები: ტომ პალმერი ახლო მეგობრულ ურთიერთობაში იყო „თავისუფალი და აგრარული“ უნივერსიტეტის დამფუძნებელ კახა ბენდუქიძესთან, ხოლო მოგვიანებით, მის სამეგობრო წრეში მოხვდა ლევან რამიშვილი, ანასტასია ბენდუქიძე და ელენე სააკაშვილი. მისი ფბ-გვერდი დაიხურა, მაგრამ მის შესახებ საკმარისი დამატებითი ინფორმაციის მოპოვება მაინც მოვასწარი. სწორედ იქიდან გახდა ცნობილი ოდესაში, მიხეილ სააკაშვილის გუბერნატორობის დროს, მისი ეგიდით შექმნილი ბანაკების ერთ-ერთი ორგანიზატორის შესახებ — რევაზ თოფურია, რომელიც ამჟამად „ფრანკლინის კლუბის“ ერთ-ერთი დაფუძნებელია.

„ფრანკლინის კლუბის“ მიერ შერჩეული იდეოლოგიური სტიგმა „ილია ჭავჭავაძე — ლიბერალი,“ ადრეულ პერიოდში აქტიურად „პიარდებოდა“ ლევან რამიშვილის მიერ. ხსენებული იდეა მას სწორედ პალმერმა მიაწოდა, რომელმაც აღნიშნული ხედვა ჯერ კიდევ 2009 წელს ასახა საკუთარ ვებ-გვერდზე. **Atlas Network**-ის ე.წ. ბიბლიად მიჩნეულია მილტონ ფრიდმანის წიგნი „კრიზისი — რეალური თუ გამოგონილი იწვევს რეალურ ცვლილებებს“, რაც კარგად აჩვენებს მათი სტრატეგიის არსს.

ხსენებული ორგანიზაციების ეგიდით შექმნილი ჯგუფების დევიზია: მუშაობა იქამდე, ვიდრე პოლიტიკურად შეუძლებელი არ გახდება პოლიტიკურად შესაძლებელი.

ორგანიზაციის საფუძველში მსოფლიოს ანალიტიკური ცენტრების შექმნის იდეა დევს, რომელიც მიმოფანტული უნდა იყოს სხვადასხვა ქალაქებში, მაგრამ უნდა ემსახურებოდეს საერთო მიზანს. (ამჟამად **Atlas Network**-თან და მის ხელმძღვანელ პალმერთან 30-მდე ორგანიზაციის შექმნა არის დაკავშირებული)“

განათლების კულტივირებით ადამიანების უმეცრებაში დამკვიდრება. ეს არის მეთოდი, რომელიც ცდილობს, მიაღწიოს ადამიანთა უუნარობას, გაიგონ ის ხერხები და მეთოდები, რომელთაც მათი მართვისთვის იყენებენ და რომელთა მეშვეობითაც საკუთარ ნებას უმოჩილებენ. განათლების ხარისხი, რომელსაც უდაბლეს საზოგადოებრივ კლასებს სთავაზობენ, რაც შეიძლება უფერული, ღატაკი და საშუალო უნდა იყოს, რათა უმეცრება, რომელიც საზოგადოების დაბალ კლასებს მაღალი კლასებისგან განაცალკევებს, იმ დონეზე დარჩეს, რომელსაც დაბალი კლასები ვერ დაძლევენ.

მოქალაქეთა წაქეზება გაუნათლებლობისკენ. ესეც ერთ-ერთი მეთოდია მოქალაქეებს უნერგავენ აზრს იმის შესახებ, რომ ძალზე მოდურია იყო ჩლუნგი, ურცხვი, უზრდელი და უხამსი...

რატომღაც ისე შეუბრუნდათ ადამიანებს ტვინი, რომ **რა ხდება,** ის აინტერესებს, ანუ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება და არა ის, **რატომ ხდება ის, რაც ხდება.**

მთავარი კითხვა არის „რა-

12 გვ.

მხოლოდ განათლება იყო და არის წყარო ყოველგვარი ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისა

← 10 გვ.

სულელურ გამართლებას გამოეკიდო. სრულიად გასაგებია, რომ პროფესორი (თუ ის პროფესორია) ზუსტად იმდენი ღირს, რამდენ ანაზღაურებაზეც თანხმდება; ამ თანხმობასაც იძულებითი ფაქტორები განაპირობებს — თუ უკმაყოფილოა, რატომ ხმას არ იღებს; სტუდენტი ვერ იხდის ბინის ქირას და ლექციაზე დასწრებას ამიტომ ვერ ახერხებს; კარგადაც რომ ისწავლოს, მერე აქედან რა, სად უნდა დასაქმდეს და ა. შ. — რას არ მოისმენ. კი, ეს, შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ ამით პრობლემა ხომ არ წყდება და **შედეგიც ისეთია, როგორიც სახეზე გვაქვს — გაუნათლებელი ახალგაზრდობა, უიმედო, უმოტივაციო მომავალი თაობა, გარყვნილი სამართლიანობა, კატასტროფული დემოგრაფიული ტენდენცია, ჩამოუყალიბებელი საზოგადოება, გაჩანაგებული ეკონომიკა, დაუცველი ადამიანი.**

გლობალურმა პანდემიამ, დისტანციურმა ურთიერთობებმა, უკრაინაში მიმდინარე ომმა და სხვა მრავალი მიზეზით წახალისებულმა ინფლაციურმა პროცესებმა, მოსახლეობის, მათ შორის კი მასწავლებლების, პროფესორების, მეცნიერმუშაკების სოციალური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა.

ბატონ მურღულიას წერილში ჩინოვნიკების „ლარბალახობა“ ისეა წარმოდგენილი, თითქოს ეს უფროსმა თაობამ დაუშვა და „თავისუფალ საქართველოს“ ამგვარი „პრინციპებით“ აშენებს“.

შესაძლოა, ის ამაში მართალიცაა. მაგრამ მე სხვა რამეშიც ვხედავ საგანგაშოს და ვწუხვარ, რომ „ის ჩინოვნიკები“, უფროსი თაობა, ექიმი, პოლიცია და მასწავლებელი საზოგადოების ნაწილი არიან. **საზოგადოება აძლევს მათ ამის უფლებას, ის უნიშნავს ანაზღაურებას და განუსაზღვრავს ადგილსაც. საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირებიდან გარდასულ ჟამთაწყვეტაში თავისუფალი, პრინციპული, მომთხოვნი საზოგადოება ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა. მათ შორის, ყველაზე ჭრელი და უპოზიციო ინტელიგენცია გამოდგა. ის ვერ ასრულებს საზოგადოების ავანგარდის როლს, მერყეობს და მედროვეებთან სარფიან გარიგებებს ადვილად თანხმდება! რა უბედურებაც გვჭირს, ყველაფერი გაუნათლებლობის - უსწავლელობის, ცუდი აღზრდის ბრალია!**

ჩვენმა თაობამ საკუთარი გამოცდილებით იგემა და მაინც გულგრილად ადევნებს თვალს იმას, რომ განათლების სისტემა მოიშალა, სკოლებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ხარისხი დაბალია, სიახლეების ათვისების სურვილი კი ცოტა ვინმეს თუ გააჩნია. სამეცნიერო-კვლევითმა მიმართულებამ ხომ საერთოდ დაკარგა არსობრივი დანიშნულება — ეს უკანასკნელი ისედაც დიდი ხანია, ფორმალურსა და მოჩვენებით წრეზე ტრიალებს. უსახსრობის გამო ისინი ვერ ქმნიან ნანოპროდუქტებს. მათი ნაცოდვილარი საქმიანობის შედეგების ხარისხი დაბალია და მომხმარებელიც ამიტომ არ ჰყავთ. უმრავლესობას განათლების ატესტატები, დიპლომები, სერტიფიკატები, შრომების სათაურების მშრალი ჩამონათვალი მხოლოდ შთამბეჭდავი წარდგინებებისა და პერსონალური ინფორმაციის (CV) შედგენისთვის სჭირდებათ. მათ უკან ნამდვილი მეცნიერი, მონდომებული შემოქმედი, დაინტერესებული მკვლევარი არ დგას. უვიცებსა და უპოვართ კი ფასეული არსად არასდროს არაფერი შეუქმნიათ. ერთეული დაინტერესებული და წარმატებული პირის ბეჯითი მეცადინეობა მდგომარეობას ვერ ცვლის.

გაუნათლებელთა პირველი ნაკადი ძველს გაერია. შემდეგს კიდევ ახალი მიჰყვა. მერე იმ ახალმა, უკეთესად რომ გამოჩენილიყო, გვერდში უფრო აბდალი, ფუტურო და ხეპრე დაიყენა, ძველი თაობა „ჩარეცხა“, პირწმინდად ჩამოიშორა ყველა, ვინც ახალი წესრიგის დამყარებაში ხელს შეუშლიდა. შედეგად, ყველა დარგში მივიღეთ კვაზი, გაურკვეველი, უცხოურ, საეჭვოდ კეთილმყოფელ რჩევებზე დაფუძნებული ორგანიზაციული წარმონაქმნები, რომელთაც დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება და განვითარება არ შეუძლიათ. ის კი, ვისაც ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებლობა აკისრია, გაუნათლებლობის შედეგებს ვერ ხედავს. მისი თვალისჩინი ერთგულების და სქელშუბლა შემსრულებლების შრის გაღმა ვერ იცქირება.

„მთლად საარაკო ცირკი ის არის“, რომ ყველა ამ დარგის მაღალჩინოსანი ხელმძღვანელების შვილები უცხოეთში იღებენ განათლებას, იქ დადიან სამკურნალოდ, საყიდლებზე, დასასვენებლად თუ დროის სატარებლად.



წარმოგიდგენიათ, რა წესრიგი, ხარისხი, ინტერესი, ნდობა, ორგანიზაციული უნარი თუ მოწადინება უნდა ჰქონდეს, ან რა უნდა მოჰკითხო: ქვეყნის მმართველობის სტრუქტურებში ჩარჩენილ ჩინოვნიკებს, რომლებსაც ახალი დროის სკოლებისა და უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამები აქვთ გავლილი?!; განათლების სისტემის მმართველებს, უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებს და პროფესორებს, როცა ისინი თავიანთ შვილებს სასწავლებლად უცხოეთში აგზავნიან?!; ჯანდაცვის უწყების პირველ პირებს, ანდა ექიმებს, როცა მათი ახლო ნათესავები, მარტივ ქირურგიულ ჩარევაზეც კი უცხოეთში მიდიან?!; ეკონომიკურ გუნდს და ფინანსისტებს, როცა მათი „დანაზოგი“ უცხოურ ბანკებშია განთავსებული?!; რა სამართალი უნდა დაამკვიდრონ იმ პირებმა, ვისაც მიაჩნია, რომ კანონები და აღსრულება მათ არ შეეხება?!; მომავალი თაობის კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ იმ პირებს, რომლებსაც შვილები არ ჰყავთ და არც მშობლების მიმართ სიყვარული გააჩნიათ?!

აქ უნდა შექმნა ყველაზე საუკეთესო და არ იქნება საჭირო უცხოეთში მივლინება სასწავლებლად, სამკურნალოდ, საყიდლებზე...

ილუზიური მიმზიდველობით ვართ შეპყრობილი — გაფეტიშებულია სხვისაზე წარმოდგენა, თორემ უცხოეთშიც არ ყრია უკეთესი ფუნა.

სახელმწიფო, რომელიც სკოლებში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე, ახალი სასწავლო პროგრამებისა და ტექნოლოგიების დანერგვაზე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებაზე არ ზრუნავს, უმაღლეს სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების საფასურს აწესებს, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე ხარისხის მაძიებლებს ფულს ახდევინებს, კვალიფიციური კადრების ახალი თაობის მიღებით არ არის დაინტერესებული, მას ეკონომიკური განვითარება და წინსვლა არ ადარდებს. ფულადი ხარჯი, რომელიც საქმეს ვერ აკეთებს, სანახევროდაც არ ყოფნის ამღვრეული მდინარიდან გასვლას, ეს ხალხის ნაოფლარით თავმოყრილი სახსრების სანაგვეზე უაზრო გადაყრაა და აღნიშნული თანხა მიმღებსაც კეთილდღეობას არ უქმნის... შედეგებიც შესაბამისი გვაქვს.

კარგად გავიაზროთ, რომ გაუნათლებლობა, ომებისა და ბომბების გარეშე პირწმინდად სპობს სახელმწიფოს, ანადგურებს ეკონომიკას, ანგრევს მზიდ კონსტრუქციებსა და შენობა-ნაგებობებს, აჩენს ეპიდემიებს, წარმოშობს უსამართლობას, სიძულვილს, შუღლსა და ბოღმას, ხოცავს ადამიანებს, იწვევს ერის გადაშენებას! ნუთუ ამისთვის მოვსულვართ ამ ქვეყნად?!

რატომ ვართ „განვითარებადი“ ქვეყნის შვილები?

← 11 გვ.

ტომ?“, თორემ რაც ხდებოდა და ხდება, ვხედავთ!

რატომ უნდა გამხდარიყო საქართველო განვითარებადი ქვეყნის სტატუსის მქონე ქვეყანა და რა მოუტანა ამ სტატუსის მიღებამ?

ნუთუ მთელი ერი მარიონეტია და ამიტომაც ვცხოვრობთ იმ კანონებით, რომლებიც „მსოფლიო ბანკმა“ და „სავალუტო ფონდმა“ სესხების სანაცვლოდ მოგვახვია თავზე? რატომ მოგვახვია, რატომ უნდოდა რომ ასე გვეცხოვრა?

რატომ ვართ „განვითარებადი ქვეყნის“ შვილები?

ზოგს უკვე ისე მოუმართეს გონება, რომ თვალებს ამოგბწკლების სისტემაში ტექტონიკური ძვრები!

როდესაც ჰიროსიმა და ნაგასაკი მიწასთან გაასწორა აშშ-მა, უმძიმესი მდგომარეობა იყო იაპონიაში, დამხმარე და მშველელი კი არსაიდან ჩანდა. აი, ასეთ დროს, იაპონიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ბიუჯეტის 60% განათლებისკენ მიემართა და მხოლოდ ორი ათეული წელი დასჭირდა, მსოფლიოს ერთ-ერთ ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოდ რომ ქცეულიყო.

როდესაც ჩვენ საკუთარ თავზე ორი ომი ჩავიტარეთ აფხაზეთსა და სამაჩაბლობლოში, იმ ატომურ ბომბებზე დამანგრეველი ძალისა აღმოჩნდა. გავნად-

ვნის, არაფერი არ გვჭირსო. **ესაა უბედურება, რომ ვერ ხვდები, რა გჭირს და არაფერს ითხოვ!**

დატრენინგებული გოგო-ბიჭებიც არაფერს სწუხან, მაგრამ ითხოვენ. მერე რა, თუ არ იციან, რა უნდათ, ვინც მათ ალაპარაკებს, იმათ იციან რაც უნდათ და ესენიც იმ რაღაცას ითხოვენ... „შინ, ევროპაში“ მიდიან ცენტრალური აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ჩამორჩენილი ქვეყნების გვერდზე მდგომი ქართველი გაუნათლებელი-განათლებულები...

მერაბ ჯიბლაძე; „როდესაც განათლების მინისტრის პოსტი გია ნოდიას ეკავა, ინტერვიუში ასეთი რამ თქვა: „ბოლო წლების მანძილზე, განათლების სისტემაში ტექტონური ძვრები მოხდა, რის შემდეგაც, სისტემის ზოგადი სტრუქტურა, შეიძლება ითქვას, უფრო ლოგიკური გახდა“. „ტექტონურ ძვრებში“, ალბათ, ტექტონიკურ ძვრებს გულისხმობდა, მაგრამ რა თქვა, თუ იცოდა, ნეტავ? სიტყვა „ტექტონიკური“ მოეწონა და ისიც ვერ დაიხსომა? იქნებ, იცოდა კიდეც და ალალად გვითხრა? — ვხუმრობ ამჯერად, რადგან ნამდვილად არ გახლდათ მინისტრი ნოდია იმისი გულახდილად მთქმელი, რაც განათლების სისტემაში მოახდინეს თვითონ!

ტექტონიკური ძვრები ის დამანგრეველი საშინელებაა, რომელიც სიძლიერის მიხედვით მიწასთან ასწორებს ყველაფერს, რაც მიწის ზემოთ არის, ხოლო ზღვებსა და ოკეანეებში ცუნამს იწვევს.

კი, ნამდვილად მოხდა განათგურდით მორალურად და აქედან გამომდინარე, გავნადგურდით ყველანაირად. ქვეყნის ეკონომიკა მთლიანად დაიქცა; ყველა სტრატეგიული ობიექტი გავასხვისეთ; მინდორ-ველები გავყიდეთ და სინდისიც ზედ მივაყოლეთ — ქვეყანა მიწასთან გავასწორეთ და ხელი გავიშვირეთ სამათხოვროდ. ხელისუფლება ქვეყნის სამართავად უუნარო აღმოჩნდა, ხალხი კი გაშტერდა, მოთხოვნის უნარი დაკარგა, აზრადაც არ მოუვიდა, რომ უუნარო ხელისუფლება შეეჯანჯღარებინა...

იაპონიის მსგავსად, განათლებისკენ მიემართა საქართველოს ხელისუფლებას ყურადღება კი არა, საერთოდ რომ არ გამოიკეტა ყველა სასწავლებლის კარი, მადლობელი უნდა ვიყოთ მხოლოდ იმ პროფესორ-მასწავლებლებისა, რომლებიც, ფაქტობრივად, ენთუზიაზმზე მუშაობდნენ...

გამიზნული და სპეციალურად გამოწვეული ტექტონიკური ძვრებით დაინგრა განათლების სისტემა. ვინც გაასწრო უცხოეთში და სერიოზული განათლება მიიღო, მათი საქართველოში დაბრუნება საეჭვოა, ვინც ამ ნანგრევებში მოჰყვა და ინერციით მაინც შეძლო გადარჩენა, სტატუსის გამო და ცოდნის დამადასტურებელი ფარატინა ქაღალდით, მას ევროპული დონის ყველა ნორმალური სასწავლებლის კარი ჩარაზული აქვს.

ნინო დაუშვილი

(გაგრძელება იქნება)



„საერთო გაზეთის“ დამაარსებლისა და უცვლელი რედაქტორის, გამოჩენილი ქართველი პოეტის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, ვახტანგ ხარჩილავას გარდაცვალებიდან წელიწადი გავიდა.

ჩვენს რედაქტორს არც გადაჭარბებული იუბილეები და მილოცვები მოსწონდა და არც ზღვარსგადასული ნეკროლოგები. იგი ამბობდა, „ადამიანებს არც ცოცხალმა და არც მკვდარმა თავი არ უნდა მოაბეზროო“. ამიტომ გაზეთის წინამდებარე ნომერში მხოლოდ რამდენიმე გვერდს ვუთმობთ ვახტანგ ხარჩილავას შესახებ მოგონებებს.

ბატონი ვახტანგი ყოველთვის ამბობდა, რომ „საერთო გაზეთი“ მისი სიცოცხლე იყო და მისი წასვლის შემდეგ გაზეთი ცხოვრებას შეწყვეტდა. რადგან გაზეთი კვლავ განაგრძობს სიცოცხლეს, ეს ნიშნავს, რომ იგი კვლავ ჩვენ გვერდით, ჩვენთან ერთად არის, სხვაგვარად ჩვენი ბეჭდური გამოცემა ვერ იარსებებდა. იმის შეფასება კი, რამდენად ახერხებს „საერთო გაზეთი“ ვახტანგ ხარჩილავას მიერ დასახული გზით სიარულს, ბატონი ვახტანგის თანამედროვეების, მისი მეგობრების, ჩვენი მკითხველისთვის მიგვინდვია.

ბატონო ვახტანგ, გვიყვარხართ, გვახსოვხართ, გვენატრებით!

სოსო სიგუა, მწერალი: მე და ვახტანგი კურსელები, ჯგუფელები ვიყავით, ორი წელი ერთად ვსწავლობდით. მერე, ოჯახური მდგომარეობის გამო, იგი ჩვენგან სხვაგან გადავიდა. სტუდენტობის პერიოდში ვახტანგის ლექსები ძალიან პოპულარული იყო. მის პოეზიაზე, მომავალზე ყველა დიდ იმედს ამყარებდა. ვახტანგს იოლი ცხოვრება არ ჰქონდა, ზოგჯერ საკუთარ თავს თავად უვლიდა და ეს პრობლემები მის პოეზიას უხვ მასალას აძლევდა. ზოგჯერ ცხოვრებისეული დაბრკოლებები ადამიანის შემოქმედებას ააქტიურებს. ასე იყო ვახტანგის შემთხვევაშიც. მისი ლექსები, რომლებიც 80-იან წლებში გამოიცა, პოეზიისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ამ დროს მთელ ლიტერატურაში ვერლიბრი იყო გაბატონებული, რაც სიახლედ ითვლებოდა. მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. მალევე ვახტანგი ტრადიციულ, ემოციურ, სიცოცხლესთან, ცხოვრებასთან დაახლოებულ ლექსს დაუბრუნდა, რითაც ვერლიბრის ბატონობას წინ აღუდგა. მას ბევრი მიმდევარი, მიმბაძველი ჰყავდა და 80-იანი წლების პოეზიაში მართლაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მერე ეროვნული მოძრაობა დაიწყო და პოეზიისთვის აღარავის ეცალა.

ჩემი და ვახტანგის ურთიერთობა ახლობლური, მეგობრული იყო, ზოგჯერ ვერ ვხედავდით ერთმანეთს, მაგრამ მის მიმართ ყოველთვის დიდი პატივისცემა მქონდა და მისგანაც ამასვე ვგრძნობდი. ამის გამოხატულებაა ის, რომ გვანცა — მისი ქალიშვილი ჩემი ნათლულია. მინდა გავიხსენო 1984 წლის შემოდგომის მიწურული, როცა ვახტანგს მშობლიურ წალენჯიხაში სალიტერატურო საღამოები გაუმართეს. ღონისძიება რაულ ჯახიას ინიციატივით გაიმართა. ვახტანგს მწერალთა ჯგუფი თბილისიდან წავყევით, მათ შორის იყვნენ მაყვალა გონაშვილი და სხვები, ასევე, ოჯახის წევრები — მეუღლე, სიდედრი. რამდენიმე შეხვედრის შემდეგ, კულტურის სახლში დასკვნითი საღამო გაიმართა, რომელიც ტრიუმფალურად ჩატარდა. დარბაზი ხალხით იყო სავსე. მაშინ ვახტანგი სრულიად ახალგაზრდა — 35 წლის იყო და ბუნებრივია, მისთვის ასეთი ღონისძიების გამართვა დიდი სტიმულის მომცემი იყო. რაიონმა დიდი ყურადღება გამოიჩინა, რაც ნიშნავდა, რომ მის პოეზიას რეზონანსი ჰქონდა, მას აფასებდნენ. ვახტანგს შეეძლო პოეზიისთვის უფრო მეტი გაეკეთებინა, მაგრამ ისეთი დრო იყო (90-იანი წლები), ლექსი არავის უნდოდა, ყველანი სიცოცხლის გადასარჩენად ვიბრძოდით. პოეზიასაც თავისი ასაკი აქვს. ვახტანგმა საუკეთესო ლექსები 70-80-იან წლებში დაწერა.

გულდასაწყვეტია, რომ ასეთი ბრწყინვალე პოეტი, საზოგადო მოღვაწე, რედაქტორი, უდროოდ ჩამოსცილდა ცხოვრების გზას. მისი გარდაცვალებიდან ერთი წელი გავიდა. დიდი გულისტკივილით ვიხსენებ ჩემს ძველ მეგობარს, დიდებულ პოეტს და შემოქმედს. მისი მსგავსნი იშვიათად იბადებიან. ვახტანგმა ყველა კატაკლიზმებს გაუძლო და შთამომავლობას გაუხუნარი ღირსების ლექსები დაუტოვა. აქვე ერთიც მინდა დავამატო: ვახტანგის პოეზიაზე დაწერილი მაქვს ვრცელი წერილი — „სიტყვა, როგორც ბედისწერა“, რომელიც მისი პოეზიის საღამოზე, წალენჯიხის კულტურის სახლში როგორც მოხსენება, ისე წავიკითხე. ეს წერილი ბევრგან დაიბეჭდა, რუსულ ენაზეც ითარგმნა. ვახტანგმა ეს წერილი თავის ორტომეულსაც დაურთო.

გიორგი გოგოლაშვილი, ენათმეცნიერი, პროფესორი: წელიწადი გასულა, ჩემო ვახტანგ, რაც შენ ზეციურ საქართველოში ღირსეულ წინაპართა გვერდით შენი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრე... მანდ შენი მისვლით გაამდიდრე ეგ სამყარო, მაგრამ აქ რომ ძალიან გვჭირდებოდა შენი სიტყვა და საქმე?.. წელიწადი საკმაოდ დიდი დროა იმისთვის, რომ გავიაზროთ სიმძიმე ამ დანაკლისისა...

უთქვამთ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, დროს ტკივილის დაყუჩების უნარიც აქვსო... არ ყოფილა ასე: არიან ადამიანები, რომელთა წასვლით გამოწვეულ ტკივილს დრო უფრო ამძაფრებს, რადგან უფრო საცნაური ხდება ამ დანაკლისის ფასი, მნიშვნელობა... დიახ, თუ რა დააკლდა ქართულ მწერლობას პოეტ ვახტანგ ხარჩილავას წასვლით და, მეორე მხრივ, რა დააკლდა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას პუბლიცისტ ვახტანგ ხარჩილავას წასვლით...

ჩემო ვახტანგ, ეს მართალია: შენი პოეზია დროს გაუძლებს და ამით ბედნიერი ხარ შენც და ქართველი მკითხველიც... რაც შეეხება შენს პუბლიცისტიკას, წესით, ის დროს უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ არაა ჩვენი ცხოვრება ასე მოწყობილი: იმ პრობლემების უმეტესობა, რომელთა შესახებაც შენ ამბობდი შენს მართალ სიტყვას, წერდი, აფხიზლებდი ქვეყანას, სამწუხაროდ, დღესაც მოუგვარებელია... შენი შემახილით ისევ ცდილობ, დაგვილაგო ცხოვრება... ღმერთმა ინებოს, შენს მართალ სიტყვას ის საქმე მოჰყოლოდეს, რისთვისაც შენ იბრძოდი, ჩემო ვახტანგ!.. ამას ვუსურვებდი შენს ქვეყანას, შენს ხალხს, ვისაც ღირსეულად ემსახურე მთელი შენი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში... შენი ლამაზი ოჯახის, შენი გულშემატკივრების და შენი ერთგული მკითხველის მიერ დანთებული სანთლის სითბო და სინათლე არ მოჰკლებოდეს შენს სულს, ჩემო ვახტანგ!



ლევან ბრეგაძე, ლიტერატორი: შარშან ამ დროს უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ ვახტანგ ხარჩილავა. მძიმე დღე იყო, მეტადრე მათთვის, ვისაც სტუდენტობიდან დაგვამახსოვრა თავი ნიჭიერ სიტყვის ოსტატად, მერე კი ჩემი თაობის გამორჩეულ შემოქმედად ჩამოყალიბდა და გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ერთ-ერთ თვალსაჩინო მონაწილედ და წარმმართველად იქცა.

თავის პოეტურ ტალანტს ვახტანგი მომჭირნედ ხარჯავდა. სამაგიეროდ, რაოდენობრივად არცთუ მრავალრიცხოვან მის ლექსებში მძლავრად იგრძნობა სიტყვამრავლობით გაუფლანგავი პოეტური ენერგია. მისი ლექსების პირველივე კრებული, 1979 წელს გამოცემული ნაკლებად „საბჭოური“ სათაურით — „ალტერნატივა“, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო იმდროინდელი ლიტერატურული ახალთაობის შემოქმედებით ბიოგრაფიაში, იმ თაობისა, რომელმაც მკაფიოდ გააცნობიერა, რომ

„ბნელის და ნათლის, მზისა და ღამის
დიდი ომია კაცთა ცხოვრება
და სულ გახსოვდეს: ამ ომში ორი
დროშით თუ ალმით არ იომება“.

ლირიკული შემოქმედებისთვის ნაკლებდამახასიათებელი შინაგანი დრამატიზმი ვახტანგ ხარჩილავას ლექსებს სასიკეთოდ გამოარჩევდა იმდროინდელ მრავალფეროვან და მაღალხარისხოვან პოეტურ ქმნილებათა შორის. დრამატიზმს ვახტანგ ხარჩილავას ლექსებში კონფლიქტი ქმნის — კონფლიქტი ცხოვრების პროზასა და ცხოვრების პოეზიას, ოცნებასა და სინამდვილეს, სიცოცხლესა და სიკვდილს შორის...

ერთი ლექსი აქვს ასეთი სათაურით „ჩუმი ქართველი“ (რა მოულოდნელი, ორიგინალური თემაა, არა, ლექსისთვის, მით უფრო ხმაურიან ეპოქაში დაწერილი ლექსისთვის!). იქ ასეთი სტრიქონებია: „ჩუმი ქართველის იმედი დამრჩა, შავ ჰორიზონტს რომ ჩუმად გასცქერის...“

ავტოპორტრეტს ჰგავს — თვითონაც ჩუმი და ფიქრიანი იყო ცხოვრებაში...

ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠ ᲯᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔ, მწერალი, აკადემიკოსი: დღევანდელ საქართველოს რომ ვუყურებ, ჩვენი ცხოვრება სულიერად დაკნინებულია, ადამიანებმა ღირსება, ზნეობა დაკარგეს. წინა პერიოდს თუ გადავავლებთ თვალს, მწერლობა, კულტურა, ხელოვნება ჰყვაოდა. რაც მთავარია, ჟურნალისტიკაც თავის სიმაღლეზე იდგა, რაც ადამიანების აზროვნების წარმმართველია. სწორედ ამ ძნელბედობის ჟამს, ვახო თავისი კალმით, სიბრძნით გამორჩეული იყო. ჟურნალისტის, გაზეთის ძირითადი მიზანია, ცხოვრებისეულ სიღრმეებს ჩაწვდეს და იქიდან ის არსებითი ამოიღოს, რაც საზოგადოებისთვის განმსაზღვრელია. აი, ამას აკეთებდა ჩვენი ვახო, რომელსაც საამისოდ არც განათლება აკლდა, არც ნიჭიერება და კალამიც უჭრიდა. ყველა ღირსეულმა ქართველმა ქართული ტრადიციები, ეროვნულობა უნდა შეინარჩუნოს. სწორედ ამას ასახავდა ვახტანგი „საერთო გაზეთში“. სწორედ მის გაზეთში შუქდებოდა მწვავედ ყველა ის პრობლემა, რომელიც ქართველ კაცს, საზოგადოებას წინ უდგას. იგი მართალი სიტყვით აფხიზლებდა მიძინებულ სულიერებას, სიმტკიცეს, ღირსებას. მე მის ხსოვნას ყოველთვის დიდ პატივს მივაგებ. თუკი ჟურნალისტიკის ცაზე ვინმე კიაფობს, იქ ვახტანგის სახელი ყოველთვის გამორჩეულად იკაშკაშებს, სანამ ქართველი ერის სულიერება, ზნეობა იარსებებს. ჩვენ, პირველ რიგში, ჩვენს მამულს, ქვეყანას უნდა მივხედოთ და არა საკუთარ თავს. ვახოს საკუთარი „მე“ ყოველთვის მეორე პლანზე ჰქონდა გადაწეული და წინ — „ჩვენ“ ჰქონდა წამოწეული. იგი ფიქრობდა არა იმაზე, თავად რა სჭირდებოდა, არამედ ქვეყანას, მის ხალხს რა გამოადგებოდა. ეს ილიასაც აწუხებდა. ვახტანგმაც „ჩვენზე“ და არა „მეზე“ ფიქრით დაასრულა ამქვეყნიური ცხოვრება. აი, ეს კაცი იყო ვახტანგ ხარჩილავა.

ᲘᲒᲝᲠ ᲙᲕᲔᲡᲔᲚᲐᲕᲐ, ანალიტიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: გამორჩეული ქართველი პიროვნების, საზოგადო მოღვაწის, მწერლის, პოეტის, პუბლიცისტის, მამის, მეუღლის, ბაბუის, მეგობრის, ერთი ეროვნული მიმართულების გაზეთის — „საერთო გაზეთის“ დამფუძნებლის ვახტანგ ხარჩილავას იმქვეყნიურ სამყაროში გადანაცვლებიდან ერთი წელი გავიდა. დღევანდელ ქართულ სამყაროში მარტივი როდი იყო ისეთი გაზეთის შექმნა, მისთვის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება, რომელიც მშვიდობის, ობიექტურობის, სიმართლის გზას აირჩევდა და ეროვნულ ტაძართან მისასვლელ გზას გაკაფავდა. მთავარი არამხოლოდ ტაძართან მისვლა, არამედ მასში შესვლა და სანთლის დანთებაა. აი, ეს შეძლო ვახტანგ ხარჩილავამ. მის მიერ ანთებული სანთელი არ ქრება და ტაძარში შესულ ყოველ ადამიანს გზას უნათებს. ასეთი იყო მიწიერ სამყაროში მყოფი ჩვენი მეგობარი და მჯერა, იგივე დარჩა სულიერების მარადიულ სივრცეში დამკვიდრებული ვახტანგ ხარჩილავაც — აქ ბევრი ადამიანის მეგობარი, მასწავლებელი და მრჩეველი. ვახტანგი გარდაცვალების მერეც ჩვენში დარჩა. ეს ყველას ხვედრი როდია. დიახ, მან შექმნა დიდებული გაზეთი, რომელშიც მისი სიცოცხლე გრძელდება. მან ყველგან ღირსეული კვალი დატოვა — ქვეყანაში, ოჯახში, მეგობრებში, კოლეგებში, საერთო საქმეში. „საერთო გაზეთი“ დიპლომატიური, ზომიერი მიმართულებისაა, რაც ვახტანგის დამსახურებაა. მან გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მთხოვა: გაზეთის ანალიტიკური მიმართულება გამეძლიერებინა. ასეც მოვიქეცი, ჩემთან ერთად ამ პროცესში ჩემი მეგობრებიც ჩავრთე და გაზეთი ერთად გავაძლიერეთ. ასე რომ, ვახტანგი არსად წასულა — დარჩა ჩვენში, ჩვენს სულიერებაში. იგი როგორც გაზეთის რედაქტორი და დამფუძნებელი, ამ სივრცეში მუდმივად „იცოცხლებს“. მადლობა მინდა ვუთხრა მის ოჯახს, ასევე, თქვენ, რომ ვახტანგის გარდაცვალების მერე, „საერთო გაზეთი“ უფრო გაკეთილშობილდა და გაძლიერდა. ტრადიცია, რასაც მან საფუძველი ჩაუყარა, გრძელდება და კვლავაც გაგრძელდება. „საერთო გაზეთი“ ეროვნული, ქართული სულისკვეთების, ყველა ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილის გაზეთია. ნეტავ, სხვა გაზეთებიც ამ კურსს მიჰყვებოდნენ. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ვახტანგის ოჯახს — მეუღლეს, შვილებს, თქვენ — ერთგულებისთვის, პროფესიონალიზმისთვის, რომელთაც „საერთო გაზეთი“ შეინარჩუნეთ. ამით თქვენ ვახტანგი შეინარჩუნეთ. „საერთო გაზეთის“ შენარჩუნება ვახტანგის შენარჩუნებას, მისი ღვაწლის დაფასებას ნიშნავს. დიახ, ერთი მხრივ, ვახტანგმა ზეციურ საქართველოში გადაინაცვლა, მაგრამ „საერთო გაზეთში“ ძეგლად დარჩა.

ᲑᲐᲦᲐᲗᲔᲠ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ, პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე: მიჭირს იმის გააზრება, რომ უკვე ერთი წელია, ჩვენი დიდი მეგობარი ვახტანგ ხარჩილავა ჩვენ გვერდით აღარ არის. მასზე წარსულში საუბარი ძალიან მიმძიმს. ჩვენ წლებია ვმეგობრობთ და მოსაგონარი იმდენად ბევრი მაქვს, გაზეთის ფურცლები ვერც დაიტევს. ვახო ყველასთვის — ოჯახისთვის, მეგობრებისთვის, კოლეგებისთვის, და რაც მთავარია, ქვეყნისთვის საიმედო, საამაყო ერისკაცი იყო. არაერთხელ მითქვამს და ისევ გავიმეორებ: მისი გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია როგორც ოჯახისთვის, ისე ქართული მწერლობისთვის, საზოგადოებისთვის, რადგან მისი კალამი პოეზიასა თუ პუბლიცისტიკაში ყოველთვის გამორჩეული, და, რაც მთავარია, სიმართლით განმსჭვალული იყო. მან საკუთარი ჯანმრთელობა ხალხის მსახურებას შესწირა.

მიხარია, რომ „საერთო გაზეთმა“ მისი ზეციურ საქართველოში გადანაცვლების შემდეგაც შეინარჩუნა სიცოცხლისუნარიანობა და უფრო მეტი შემართებით განაგრძობს ვახტანგის დატოვებული მართალი სიტყვისთვის ბრძოლას. ეს ასეც უნდა გაგრძელდეს, რათა ჩვენმა მეგობარმა დიდხანს იცოცხლოს „საერთო გაზეთში“. უფალმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი, ძმაო, ვახტანგ!

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ (ᲘᲠᲐᲙᲚᲘ) ᲕᲐᲨᲐᲧᲛᲐᲫᲔ, მწერალი: საუბარს თედო ბექიშვილის შესანიშნავი ლექსის სტრიქონებით დავიწყებ: „რა უნდა მოხდეს ქვეყნად ისეთი, რომ დამავიწყდე და გაგახსენდე...“ ვახტანგი ჩემთვის სწორედ ის პიროვნება, საზოგადო მოღვაწე, მამულიშვილია, რომელიც სულ ჩემთან არის და არასდროს მავიწყდება. იგი, როგორც დიდებული პოეტი, მოაზროვნე არის ქმედი ამა სოფლისა. ილია ამბობდა: პოეზია ნიჭია და მადლიაო. აი, სწორედ ასეთი დიდებულია ჩვენი ვახტანგის პოეზიაც. მისი შემოქმედება, პუბლიცისტიკა, ქართულ სინამდვილეში თავისი ალალი, მართალი სიტყვით განსაკუთრებული მოვლენაა. ვახტანგი ვერაფრით ეგუებოდა იმ ლაფიან სინამდვილეს, რაც იმ ხენეში ხის ნაყოფია, რომელიც ოცდაათი წლის წინათ დაირგო და მას ახლაც მივირთმევთ.

გაზეთი, რომელიც ვახტანგ ხარჩილავამ დააფუძნა, ჩემი აზრით, დიდი ილია ჭავჭავაძის ჟურნალისტური მრწამსის კვლავ გაცოცხლებაა. მიხარია, რომ მისი დიდებული ოჯახი, ქალბატონი თამარი, შემოქმედებითი ჯგუფი ვახტანგის საქმეს აგრძელებთ, რაც ფრიად დასაფასებელია. ბალზაკს ახლად არსებული ფრანგული ჟურნალ-გაზეთები რომ შეუტანეს, გაოგნებულმა წამოიძახა: მოვა დრო და თუ ასე გაგრძელდა, ჟურნალისტიკა კაცობრიობის უპირველესი მტერი იქნებაო. დღეს ოპოზიციურმა სამყარომ სინამდვილე დაამახინჯა — ქართულად მოლაპარაკე ავსულთა ლაშქარი ქართველთ მოდგმის მადლიან, ღვთისნიერ შემოქმედებას ებრძვის. ვახტანგი ყოველთვის გაოგნებული იყო იმ უწარსულო, ამერიკული რეაქციული ძალების შემოტევით, რასაც დღემდე განვიცდით. ვახტანგი ამ რეალობას ვერ ეგუებოდა და ყოველი მისი წერილი ზარივით ჭექდა. იგი საკუთარი გაზეთის, შემოქმედებითი ჯგუფის საშუალებით ყოველთვის ებრძოდა ამ ანტიჰუმანურ გამოვლინებებს.

ვახტანგი არსად წასულა, ის ყოველთვის ჩვენთან იქნება. ქალბატონი თამარი, გვანცა, თქვენ, ზუსტად იმ ეროვნული სულისკვეთებით იღვწით, როგორადაც ამას მაღალი მამულიშვილური შეგნებით ჩვენი ვახტანგი აკეთებდა.

მასთან ბევრი მოგონება მაკავშირებს: ბავშვობაში ყველა ვახტანგის მეძახდა. სკოლაში სიის ამოკითხვისას მასწავლებელმა ირაკლი ვაშაყმაძე რომ გამოაცხადა, აქეთიქით გამოცებული ვიყურებოდი და ფეხზე არ ვდგებოდი. თურმე, მეტრიკაში როგორც ირაკლი, ისე გავუტარებივარ. ასე შემრჩა ეს სახელი. ერთხელ ვახტანგს საუბრისას ვუთხარი: გამარჯობა სეხნია-მეთქი და ეს ამბავი მოვუყევი. მირჩია: შენს წერილებს აწი ვახტანგ ვაშაყმაძე მოაწერეო. ეს მის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე იყო და განუხორციელებელი დარჩა. დაბადების დღეზე გაზეთში ჩემი ლექსები გამოაქვეყნა და ეს ისე ლამაზად გააკეთა, ამ გვერდს ახლაც ვეფერები. ჩემს ლექსებს პირველად ვახტანგს ვაკითხებდი, რომელთაც ყოველთვის წარმოსაჩენ ადგილას მიბეჭდავდა.

როცა „დედამიწის საგოდებელი“ წავუკითხე, არ დამავიწყდება, ვახტანგის სიხარული. საერთოდ, მას სხვისი წარმატება სულ უხაროდა.

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ, მწერალი: ვახტანგზე დაუსრულებლად შემიძლია, დადებით კონტექსტში, ვისაუბრო. იგი ქვეყნის სიყვარულში გამორჩეული პიროვნება, ნიჭიერი პოეტი იყო და ჩვენს გულებშიც მუდამ ასეთად დარჩება. მას ქვეყნის მომავალზე საოცარი ხედვები ჰქონდა. უკომპრომისო იყო, როცა საკითხი მის ქვეყანას, მისი ხალხის ინტერესებს ეხებოდა. პოეზიას რაც შეეხება, მისი ლექსი ფრაზეოლოგიისა და რითმის წყობით გამოირჩეოდა. მარტო ის რად ღირს, რომ მან პოეზიაში ქართულ და მეგრულ სიტყვათა ჰარმონია, რითმების საოცარი წყობა შემოგვთავაზა. საკუთარი ნიჭის წყალობით პოეზიაში ორი უძველესი ენის სინთეზი შექმნა.

ბრწყინვალე შემოქმედთან ერთად, ვახტანგი არანაკლები მეგობარი გახლდათ. მას დიდი ფინანსური შესაძლებლობები არასდროს ჰქონია, რათა ტაძრები აეგო, ან მძიმედ დაავადებულს დახმარებოდა, მაგრამ მეგობრებს, კოლეგებს ყოველთვის ხელს უმართავდა. 90-იანი წლების მერე, ხელოვან ხალხს ძალიან გაუჭირდა. ვახტანგი მათ ყოველთვის, ლუკმას უყოფდა, ორი კაპიკიდან — კაპიკს აძლევდა და სამაგიეროს არ ელოდა. იგი თავისი განათლებითა და ნიჭიერებით გამორჩეული, გულანთებული ქვეყნის პატრიოტი იყო. ვახტანგი ბოლომდე სამშობლოს ემსახურა. „საერთო გაზეთმა“ სამართლიანი პოზიციის გამოვლენიდან გამომდინარე, ბევრ მკითხველს შეაყვარა თავი. გაზეთის მიმართულება აბსოლუტურად პატრიოტული სულისკვეთებითაა განმსჭვალული. ჩემთვის ვახტანგ ხარჩილავა უკვდავია, ის არ გარდაცვლილა. მისი დავიწყება, მასზე წარსულ დროში საუბარი მიჭირს კიდეც. ამას გულით ვამბობ.

ვახტანგ ხარჩილავას არასდროს ადამიანისთვის ბოროტება არ გაუკეთებია,. იგი ერთი კარგი, გონებაგახსნილი, ნათელი შუბლით, პატიოსანი კაცი იყო. სხვას არასდროს გააქილიკებდა, დასცინებდა, ცუდს არაფრით გაუკეთებდა. ვახტანგი უცოდველი იყო. მან შეიძლება ვინმე მართალი სიტყვის თქმით თუ გაანაწყენა, სხვა არაფერი. სწორედ ვახტანგისნაირი კაცები ქმნიან ქვეყნისთვის სულიერ საზრდოს, რომლითაც ხვალ-ზეგ მომავალი თაობა უნდა გაიზარდოს.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲮᲝᲜᲔᲚᲘᲫᲔ, სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი: ბატონი ვახტანგის გარდაცვალებიდან ერთი წელი გავიდა. იგი ქვეყნის ღირსეული შვილი, პატრიოტი, შემოქმედი, თავის საშშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი იყო, რომელიც არამხოლოდ მის ოჯახს — მეუღლეს, შვილებს, კოლექტივს, მეგობრებს დააკლდა, არამედ სრულიად საქართველოს და განსაკუთრებით, მის მშობლიურ, გამორჩეულ კუთხეს — სამეგრელოს. რაც მთავარია, იგი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, შესანიშნავი პოეტი, პუბლიცისტი იყო. ბატონი ვახტანგის იმქვეყნად გადასვლა, სრულიად ერისთვის დიდი დანაკლისია. იგი, რამდენიმე წლის წინათ გავიცანი. მას ჩემი პროექტის: „კავკასია — ერთიანი გეოპოლიტიკური სივრცე“ მხარდაჭერა ვთხოვე, რაზეც უყოყმანოდ დამთანხმდა. ის ხომ ყოველთვის ქართულ საქმეს ემსახურებოდა. მისთვის მთავარი საკუთარი ქვეყნის ინტერესებისა და მომავლის დაცვა იყო, რის გამოც უკან არაფერზე იხევდა.

„საერთო გაზეთი“, რომელიც მან თავისი საქმის გამგრძელებლად მის ოჯახს, კოლეგებს დაუტოვა, მხოლოდ სიმართლეს ემსახურებოდა და ემსახურება. ბატონი ვახტანგის უდროოდ გარდაცვალებამ ყველას გული დაგვწყვიტა. დაე, უფალმა გაანათლოს მისი სპეტაკი სული.

სადა ხარ, ჩემო დიდო ნათელო...

ზაალ ბოტკოველი, საქართველოს მწერალთა კავშირის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი, ლიტერატორი:

ერთი წელი გასულა ვახტანგ ხარჩილავას აღსრულებიდან და ეს თარიღი კიდევ უფრო ამძაფრებს ჩვენს ტკივილს იმის გამო, რომ თანამედროვე ქართველ პოეტთა, დავაკონკრეტებ, ჭეშმარიტ ქართველ პოეტთა კოჰორტას ერთი დიდებული თანამოკალმე გამოაკლდა.

ვახტანგ ხარჩილავა ფიქრიანი პოეტი იყო და სულ მუდამ ფიქრობდა სავალი გზის დასასრულზე, იმ ლურჯ ტაძრებზე, რომელთა აგება თავად ვერ მოასწრო, ფიქრობდა დაკარგულ სიყვარულებზე, სხვათა არჩივად რომ ქცეულან. ფიქრობდა და თან ამ უცნაურ სტუმარს ელოდებოდა მთელი ცხოვრება, იდუმალ სტუმარს, ბრაზობდა კიდეც, ასე რატომ დააგვიანდაო.

„მე როდესაც მოვკვდები, როცა სული ცად წავა,
შენ ნუ დამიღონდები, შენ ნუ დამიღონდები,
ჩიტო-ჩიტო ნაცარავ!“

წინასწარვე ამშვიდებდა შვილებს და თან უხსნიდა, თუ რატომ არ უნდა დაღონებულიყვნენ: ჩემი სული, ჩემი მაწანწალა სული უნდა დამშვიდდესო. თან სულ კი არ მივემგზავრები, სამყაროს უნდა შევუერთდეო. წუთისოფელმა კიდევ დიდხანს მაცალა, მამღერა კიდეც და კიდეც მაწვალაო.

სისხლით ნაწერი პერგამენტებით აავსო მისი წილი სამყარო და ისე უახლოვდებოდა თოვლით გადაპენტილ შორეულ მინდორს, რომლის იქითაც მლეთა მოსჩქეფდა ძალუმად და დაუნდობლად, უახლოვდებოდა სიკვდილს, რომელსაც დიდხანს აგემოვნებდა, დიდხანს სწავლობდა და იშინაურებდა. ისიც კარგად იცოდა, რომ არაფრის შეცვლა არ შეეძლო.

„რა შეგიძლია,
ამაოა დრტვინვა და შფოთვა,
უშენოდ ხდება ყოველივე,
არავინ გკითხავს,
როგორ გათენდეს ან დაღამდეს,
რა უნდა მოხდეს,
ვინ ხარ, სად იყავ აქამომდის ან საით მიხვალ“.

ვახტანგ ხარჩილავას, ღრმად მოაზროვნე შემოქმედს, კარგად მოეხსენებოდა, რომ ჩვენ ჟამის უკუნეთ დარამებში დაყრილი ქვირითებივით გავჩნდით, მოიისფრო წყლის სივრცეებში და მას შემდეგ გასასვლელს ვეძებთ უკიდეგანო ოკეანისაკენ, უმწეოდ ვფართხალებთ, რადგან იქ გასასვლელი, კარგა ხანია, რაც შლამით ამოავსეს.

პოეტი თავისი მითიური წინაპრების მხარდამხარ იდგა და ბალახს თიბავდა, ჩელას მღეროდა და თან იმასაც ხვდებოდა, რომ მათი ცელების ზემოთ სულ სხვა ცელი აღმართულიყო, მზეგადასულ სიცოცხლის მინდორს რომ უპირებდა გადათიბვას და იავარქმნას.

„ტრიალებს თვალწინ მღვრიე ქაოსი,
ლომისფერ გრიგალს ებრძვის მიაფრენს,
მაშინ გავქრები, როცა ამოვხსნი,
როცა გავიგებ ქვეყნად ყველაფერს“.

მართლაც მაშინ გაქრა, მაშინ მიატოვა ეს ცოდვით დაცემული სამყარო, მაგრამ დიდი სევდაც დაგვიტოვა, რადგანაც არ გვემეტებოდა ჰადესისათვის, არ გვემეტებოდა თუნდაც იმიტომ, რომ დიდებული პოეტი იყო, ჭეშმარიტი შემოქმედი, რომელიც გამუდმებით ებრძოდა ქართულ სიტყვას, მთელი ცხოვრება იმ

ერთადერთ სიტყვას დაეძებდა, რომელსაც ვერცერთ ლექსიკონში ვერ იპოვით, ბგერებით რომ არ გამოითქმება, გაუთავებელი გარიჟრაჟებით და ბინდებით რომ არის შედგენილი. დიახ, იმ სიტყვას ეძებდა მის არსებობას აზრს რომ მისცემდა, მის არსებობას რომ გაამართლებდა. ცეცხლმოდებული სახლიდან ბავშვი რომ გამოჰყავთ ხოლმე, ზუსტად ისე გამოჰყავდა აალებული სულიდან ლექსი, მარადიული არსებობისათვის განწირული ლექსი. ზუსტად ჰქონდა გასიგრძეგანებული ის, თუ რა უცნაურია პოეტის ბედი, როცა შინ დაბრუნებულს ხორაგის ნაცვლად გულის ჯიბეში მოკანკალე ათიოდე სტრიქონი მიგაქვს და კიდევ ის — თვალებში ჩამდგარი უცხო სინათლე. იმ მგელის ბედს შენატროდა მუდამ, რომლის მკერდსაც ბევრჯერ მოხვედრია ტყვია, მაგრამ არასდროს — წიხლი კაცისა...

სიყვარულის აპოლოგეტი იყო და მგზნებარებით დამუხტული არაერთი სტრიქონი მიუძღვნა კაცობრიობის ამ „პერპეტუუმ მობილეს“ თუნდაც ასეთი:

„ქარი მორეკავს ანანურზე
თოვლისფერ ღრუბლებს,
და თუთარჩელა კრიალებს ცაზე,
შენ ლამაზდები ამ წელიწადს
უფრო და უფრო,
ეს სიყვარულმა,
სიყვარულმა იცისო ასე“.

რა სულის გამყინავი სტრიქონები უძღვნა მისთვის სრულიად უცხო ქალბატონს, რა თანაგრძნობა გამოუცხადა, როგორ გაითავისა ტრაგედია ერთი უცოდველ არსებად მოვლენილი პიროვნებისა:

„შენ შეცდენილი ხარ ანგელოზი,
მხრებზე ციური შუქი გარტყია,
შენ შეცდენილი ხარ ანგელოზი,
მაგრამ რატომღაც ქალს გეძახიან“.

ასე წერა, ასეთი თანაგრძნობის გამოხატვა მხოლოდ დიდსულოვან ადამიანთა ხვედრია და ვახტანგ ხარჩილავაც სწორედ ასეთი ადამიანების რიგს განეკუთვნებოდა.

პოეტი იყო, ათასგვარი ხილვებით სავსე ცხოვრებით ცხოვრობდა. ბევრი რამის დანახვა შეეძლო, თუნდაც იმისა, თუ როგორ მიცურავს ნისლში დეკემბრის ღამე თოვლის უბიწო სამოსელით, ნოემბრის მწუხრში როგორ იცრემლებიან ხეივნები ფრთებდამსხვრეული მოლაღურებით, როგორ იძვრის მიწაში გაზაფხულის უკვდავი ფესვი, ღვთიური შუქით როგორ ანათებენ ნეკერჩხლები საყდარში დანთებული სანთლებივით, როგორ ფხაჭნის მზით გათანგული დღე მხურვალე ქვიშას. ქარი მაწანწალა ქუჩის შანსონიეს აგონებდა, მზე — სამყაროს მხურვალე შუბლს, ქათქათა ნისლის ფთილებით ეკვროდა სული; ხარები ეცოდებოდა, მთვარისოდენა ნალებით დაჭედილი ხარები, სხვათა ცოდვებს და სხვათა ურვებს რომ ეზიდებიან ჩუმად და უდრტვინველად. მიწისქვეშა ლურჯი მდინარეების დარდით ცხოვრობდა, რომელთაც, საუბედუროდ, ვერავინ ამჩნევს; კარგად იცოდა, რომ ჩვენ, ყველანი, ჩვენი დედების სამარეზე მწუხარებად ამოსასვლელი ბალახები ვართ, მდუღარე ცრემლებად ამოსასვლელი ბალახები. აკი თავად ვახტანგიც ასეთ ბალახად იქცა... ერთი კი შეუბღვირა მასთან ვეება ცელით მისულს, არ მაცლი ჩემი ნებით გეახლო, თვითონ მოხვალ და მიახლოვდებიო და მაინც უდრტვინველად გაჰყვა სულეთის გზაზე...

ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო?

არა და არა, როგორ შეიძლება ეს ითქვას შემოქმედზე, რომელმაც ძელგი ღვინოსავით სურნელოვანი სტრიქონები დაგვიტოვა, როგორ შეიძლება ეს ითქვას ერისკაცზე, რომელიც ბოლო ამოსუნთქვამდე რჩეული მეციხოვნესავით ებრძოდა საქართველოს მტრებს და ცოტნე დადიანივით იცავდა სამშობლოს შინა თუ გარე მტრებისაგან.

ამ წერილს სათაურად შევურჩიე ვახტანგისეული სტრიქონები: სადა ხარ, ჩემო დიდო ნათელო.

შემიძლია დავიფიცო, რომ ეს ნათელი უკვე მიეახლა პოეტს, ერისკაცს, ერთიან საქართველოზე მაფიქრალ შემოქმედს, რომელსაც საქართველო სტკიოდა, საქართველო სწამდა, საქართველოს დიდი და ნათელი მომავლის იმედით ცხოვრობდა.

მართალთა სულთა თანა

ავთანდილ არაბული, აკადემიკოსი:

ვახტანგ ხარჩილავას შემოქმედებითი თაობის ბუნებას ალბათ ყველაზე უკეთ ეპითეტი „მეამბოხე“ გამოხატავს.

ვახტანგ ხარჩილავა ამ თაობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია (წლისთავზეც მეძნელება მისი „იყოთი“ მოხსენიება).

მეამბოხე თაობა, ისევე როგორც ყველა სხვა თაობა, ახალი ეპოქის მისტიკურმა კარნახმა შვა. შემოქმედი, როგორც ჩანს, სხვათა უწინარეს აღიქვამს მოახლოებულ ქარიშხლებსა და მიწისძვრებს, ამიტომაც გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებისთვის უკვე ერთიანად იკვეთება მოუთმენლობა ახალი, თაობათა ნაოცნებარი ჟამის მოლოდინში...

ამ მოლოდინით და მისწრაფებით „მეამბოხეებმა“ არსებითად თქვეს უარი არსებულ „წესრიგთან“ თანამშრომლობაზე, ვერ კი არა, არ ადაპტირდნენ გარემო პირობებთან და უმეტესად აღთქმულ დროზე ადრე შეემსხვრნენ საბჭოეთის დანჯღრეული გემის კიჩოს...

ამიტომაც ამ თაობამ ისერიგად ვერ გამოავლინა თავისი შემოქმედებითი პოტენციალი, როგორი ნიჭიერებითაც ის იყო დაჯილდოებული.

მიკერძოება რომ არ გამომივიდეს, განა ამ თაობას არ ჰყავდა ადაპტირებულები და შემგუებლები, მაგრამ, აღნიშნულის გამო, ეს უფრო მკვეთრი კონტრასტით აღიქმებოდა, განსხვავებით წინა თაობებისაგან, რომლის ლანდშაფტიც ადაპტაციის მთელ გარდამავალ პალიტრას ქმნიდა...

ვახტანგ ხარჩილავას პირველივე შემოქმედებითი ნაბიჯები „საკუთარი ხმის“ დამკვიდრებას ნიშნავდა, ხოლო მისი ლექსი „მონოლოგი წარსულიდან“ (გარკვეული შემნიღბავი სათაურით) აღნიშნული მეამბოხე დროისა და თაობის პოეტური მანიფესტი იყო:

„ვის წაჰყვა ჩემი ცოლი და ძაღლი,
ნეტავ ვინ აღებს ბჭის კარს ჭრიალით,
ჩემს ძვლებს, გაჟვერილ თივაზე დაყრილს,
ვისი ურემი მიაჩხრიალებს?!“

არც სათაური და არც ლექსის აქსესუარები არავის უჩენდა ეჭვს, რომ ეს სურათი არა შორეული წარსულის, არამედ უახლესი რეალობისაა და მოჭრიალე ურემიც რუსეთის საბჭოური იმპერიაა (და ილიას ალეგორიაც ამოტივტივდება, ფრანგს რომ ეუბნება: „მთელი რუსეთი მაგით დადისო“ და ფრანგიც ილიას სათქმელს იტყვის: „იმიტომაც არის შორს წასულიო!“)...

ვახტანგ ხარჩილავა, როგორც პოეტი, წერდა მხოლოდ ნაღდს და უცთომელს. შეიძლება ითქვას, მას სუსტი სტრიქონი არ აქვს. სიტყვის ოსტატებმა იციან, თუ რა პასუხისმგებლობა და გემოვნება დგას ამგვარი რჩეული „დეგუსტაციის“ საფუძველში.

სწრაფად ცვალებადმა დრომ ასევე ინტენსიური ცვლილებები მოიყოლა ფართო თუ ლოკალურ გარემოში: აფეთქდა პოლიტიკური ნაღმები, ამოქმედდა იმპერიული აგენტურა, აიმღვრა საერთო ფასეულობების არმქონე სოციუმი... ახალმა სოციალურმა ამალგამამ უპირველესად გარიყა სამამულო ავტორიტეტები... საზოგადოდ, უეჭველი გახდა, რომ შემოქმედი, მართალი სიტყვის მთქმელი ახალ, „ამოდის, ნათდება“ სოციალურ რეალობაში თავის ადგილს ვერ იპოვიდა. დაემხო სახალხო პოეტისა და „ტრიბუნის“ შედარებით ობიექტური სტატუსი, მეტიც, ერმა ზურგი აქცია წიგნს და წიგნიც, მისი ავტორივით, ქუჩაში აღმოჩნდა... სწორედ ამ რეალობის გამოძახილია, ერთგვარი საპასუხო რეპლიკაა ვახტანგის სტრიქონები:

„მე არა ვარ ხალხის საყვარელი პოეტი,
მე ვერ დავწერ ყველასთვის,
ვერც ყველასთვის ვიცოცხლებ
და ვერც ყველასთვის მოვკვდები.“

არადა მას, როგორც შეფიცულ პოეტს, არ შეეძლო სამშობლოსთვის (ანუ ყველასთვის) არ ეცოცხლა და არ მომკვდარიყო. ამიტომაც, სადაც ქვეყანას დასჭირდა, იქ დადგა თავისი ცოდნითა და მართალი სიტყვით. და სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი - „მერანში“, „ცისკარში“, „კრიტიკაში“ თუ სხვაგან - ყველგან მართალსა და გემოვნებიან სიტყვას, დახვეწილ ქართულს ამკვიდრებდა...

„უნდობარი“ ეპოქისადმი (რომელმაც ახალ დროშიც გამოაჩინა თავისი საცეცები) პასუხი იყო მისი შესანიშნავი ნარკვევებიც რეპრესირებული მწერლების შესახებ.

განსაკუთრებული შემოქმედებითი თავშეწირვა ვახტანგის მიერ იყო შესვლა განუკითხავ და განუსჯელ პუბლიცისტურ „ფრონტზე“. მეც გამომითქვამს სინანული იმის გამო, რომ ნამდვილი შემოქმედი, პოეტური სიტყვის ოსტატი განუზომელ დროს ხარჯავდა ამტუტებული პოლიტიკური თუ სოციალური პროცესების ავკარგის გასარჩევად. ამ ნაბიჯსაც იგი, როგორც მამულიშვილი, სრული გაცნობიერებით დგამდა. ტექსტები, რომელთაც იგი ყოველკვირეულად სთავაზობდა თანამემამულეთ, იყო პირუთვნელი და ნათელი, ავისა და კარგის გამრჩევი, ორიენტირების ობიექტურად განმსაზღვრელი, ხოლო მისი „საერთო გაზეთი“ ქართული პრესის ისტორიას (და თავად ვახტანგის ბიოგრაფიასაც) ერთ გამორჩეულ ფურცლად მიემატება...

სხვა საკითხია, წიგნისა არ იყოს, რამდენად არგია ეს სიტყვა თანამედროვე საზოგადოებას და „ისტებლიშმენტს“. სწორედ ამას უკავშირდებოდა ვახტანგის ბოლო წლების შფოთვა და გულისტკივილი (ზოგჯერ ღიად გამოხატულიც!).

უკეთ რით დავასრულო ეს სახელდახელო ჩანაწერი, თუ არა ვახტანგისავე სტრიქონებით:

„პოეტი იყო... სიყვარულმა დაღუპა იგი,
ის პოეტების უძველესმა სენმა დაღუპა.“

პაპანაქება აგვისტოს ცივი პოლიტიკა

პოლიტიკური მოვლენებით დახუნძლული აღმოჩნდა წლევანდელი აგვისტოს თვე, მიუხედავად იმისა, რომ პლანეტის მოსახლეობის უმრავლესობა, მათ შორის, პოლიტიკოსებიც, ტრადიციულად, ისვენებენ.

სამწუხარო ფაქტია, სამყარო ახალ მსოფლიო ომს სულ უფრო უახლოვდება. ცალკეული პოლიტიკოსები უკვე არსებული და მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების ნაცვლად, ახალ ცხელ კერებს აღვივებენ. უფრო მეტიც — ფაშიზმი მსოფლიოში აკრძალულია, მაგრამ ფაშისტებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში მსვლელობა მოაწყვეს და პრეზიდენტ ჯო ბაიდენს მხარდაჭერა გამოუცხადეს. რაც მოუტანს ქვეყანას და კაცობრიობას „ყავისფერი ჭირის“ რეანიმაცია, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს.

აღმოსავლეთ აზიაში პოლიტიკური ვითარება არასტაბილურია. ჩინეთსა და ტაივანს შორის ურთიერთობა (უპრიანი იქნება, ვთქვათ აშშ-ის) თითქმის ყოველდღიურად მწვავდება. ამას ხელს უწყობენ ამერიკელი პოლიტიკოსები. ერთი მხრივ, ტაივანს ჩინეთის განუყოფელ ტერიტორიად მიიჩნევენ, მაგრამ ტაივანის არმიისთვის შეიარაღების მიწოდება დაიწყეს.

აგვისტოს შუა რიცხვებში ჯო ბაიდენმა კემპ-დევიდში, სადაც ტრადიციულად იმართება მაღალი დონის შეხვედრები, იაპონიის პრემიერ-მინისტრი და სამხრეთ კორეის პრეზიდენტი მიიწვია. ორივე ქვეყანაში აშშ-ის სამხედრო ბაზებია განთავსებული. ამჯერად შეთანხმდნენ, რომ აშშ გაზრდის სამხედრო შემადგენლობის რაოდენობას, განათავსებს თანამედროვე შეიარაღებას, მათ შორის, ბირთვულსაც. ექსპერტების შეფასებით, აშშ-ს მიზნად აქვს დასახული აღმოსავლეთ აზიაში შექმნას ნატო-ს ალიანსის ანალოგი გაერთიანებები. საყურადღებოა ერთი გარემოება — იაპონია და სამხრეთ კორეა ერთმანეთის მიმართ დღემდე მტრულად არიან განწყობილნი, აქვთ ტერიტორიული პრეტენზიები. საინტერესოა, როგორ შეძლებს ორი დაპირისპირებული ქვეყანა თანამშრომლობას.

ახალმა გაერთიანებამ შეაშფოთა ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება. ჩინეთმა რეგულარულად დაიწყო სამხედრო წვრთნები, როგორც ხმელეთზე, ასევე, ყვითელ ზღვაში. ჩინეთი და რუსეთი ერთობლივად ატარებენ სამხედრო-საზღვაო ფლოტის წვრთნებს. უმოქმედოდ არც ჩრდილოეთი კორეაა. იმის გარდა, რომ წარმატებით გამოსცადა კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტები, შექმნა ბირთვული შეიარაღება, გასულ კვირას საზღვაო ფლოტმა მიიღო ატომური წყალქვეშა გემი, რომელზეც ბირთვული იარაღი განთავსდება.

აღმოსავლეთ აზიაში ეკოლოგიური თვალსაზრისითაც დაიძაბა ვითარება. ათი წლის წინ იაპონიაში ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარიის შემდეგ რადიაციით მილიონ ტონაზე მეტი ტექნიკური წყალი დაბინძურდა, იაპონიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა მისი ოკეანეში ჩაღვრა. ატომური ენერგიის საერთაშორისო ორგანიზაციამ თავის დასკვნაში აღნიშნა, რომ წყალი უსაფრთხოა, მაგრამ იაპონიის მეზობლებს ამის არ სჯერათ. ამიტომ ჩინეთში, სამხრეთ კორეასა და კიდევ რამდენიმე ქვეყანაში აკრძალეს იაპონიიდან ზღვის პროდუქტებისა და თევზეულის შეტანა.

მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სამხრეთ აფრიკაში გამართული ბრიქსის სამიტი. გაერთიანება თავდაპირველად მოიაზრებოდა, როგორც ეკონომიკური კავშირი ქვეყნებს შორის, მაგრამ ახლა პოლიტიკურადაც გააქტიურდა. ორგანიზაციაში ხუთი წევრი იყი: ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი, ბრაზილია და სამხრეთ აფრიკა. სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტმა სირილ რამაფოსამ გაზაფხულზე ბრიქსის გაფართოება დააანონსა. წლევანდელ სამიტს არ დაესწრო რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი, რომელმაც ღონისძიების მონაწილეებს ვიდეოჩართვით მიმართა. საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი სამიტზე დასწრებას ითხოვდა, თუნდაც დამკვირვებლის სტატუსით, მაგრამ ერთხმად უარი უთხრეს. ღონისძიებას 50 ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა.

ბრიქსს წელს ექვსი ახალი წევრი შეემატა: არგენტინა, ეგვიპტე, ირანი, საუდის არაბეთი, არაბეთის გაერთიანებული საამიროები დ ეთიოპია. თითოეულ ქვეყანას მსოფლიო ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ბრაზილიის პრეზიდენტმა ლულა და სილვამ სამიტზე წამოაყენა იდეა — ორგანიზაციამ უარი თქვას ამერიკული დოლარებით ურთიერთანგარიშსწორებაზე და საკუთარი ვალუტა შემოიღონ. გაისად ბრიქსის სამიტს რუსეთი უმასპინძლებს. სამიტის შემდეგ ავტიროტეტულმა გამოცემა „ნიუ-იორკ თაიმსმა“ დასვა შეკითხვა: ხომ არ ჩაანაცვლებს ბრიქსი G-7-ს? სავარაუდოდ, პასუხს მომავალში გავიგებთ.

უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა აშშ-ის ისტორიაში — დააპატიმრეს 45-ე პრეზიდენტი დონალდ ტრამპი. მართალია, იგი ციხის საკანში არ მოუთავსებიათ, პატიმრობაც მხოლოდ 20 წუთს გაგრძელდა, მაგრამ ამერიკელი პოლიტიკოსები ამას ქვეყნის სირცხვილად მიიჩნევენ. დაპატიმრებამ ტრამპის რეიტინგი კიდევ უფრო გაზარდა. მის მხარდამჭერთა რიგებში უკვე ბევრი შავკანიანია. ტრამპი კვლავ აცხადებს, რომ მისი დაპატიმრება მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ხელისუფლების აშკარა და უხეში ჩარევაა: „...სწორედ ასე ექცეოდნენ წინათ ზანგებს და მათ უფლებებს არღვევდნენ“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა.

კორუფციული სკანდალი ბაიდენის ოჯახის გარშემო არ განელებულა. უკრაინის ყოფილმა გენპროკურორმა ვიქტორ შოკინმა დუმილი დაარღვია და აშშ-ის ტელევიზიებს მოუთხრო, როგორ გაათავისუფლეს იგი თანამდებობიდან. შეგახსენებთ, მისი ორგანიზაცია გაზის მომპოვებელ კომპანიაში არსებულ კორუფციას იძიებდა, სადაც მუშაობდა ჰანტერ ბაიდენი, რომელიც საკმაოდ მაღალ ხელფასს იღებდა. შოკინის თქმით, ბაიდენს მისი გათავისუფლება ერთი მილიარდი დოლარი დაუჯდა. შოკინი პირდაპირ ადანაშაულებს ბაიდენის ოჯახს

კორუფციაში. მისი განცხადებით, მის ლიკვიდაციას ცდილობენ, რამდენჯერმე სცადეს მისი მოწამვლა. თურმე კლინიკური სიკვდილიც გადაუტანია, მაგრამ ავსტრიის ერთ-ერთ ჰოსპიტალში გადაურჩენიათ. აქვე სათქმელია — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა თანამშრომლებმა (მათი ვინაობა ანონიმურია) ამერიკულ პრესას აცნობეს, რომ იგეგმება უკრაინის პრეზიდენტის ვლადიმერ ზელენსკის ლიკვიდაცია და თარიღიც დაუსახელეს — 31 ოქტომბერი. თუმცა არ უთქვამთ, ზელენსკიზე თავდასხმას ვინ განახორციელებს.

„დიდი ოცეულის“ სამიტი წლის ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ მოვლენად მიიჩნევა, თუმცა მსოფლიოში ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად შეიქმნა. წლევანდელ შეკრებას ინდოეთი მასპინძლობდა, რომელსაც სახელი შეუცვალეს და ახლა ბჰარატი უწოდეს. წლევანდელ G-20-ს არ ესწრებოდა რუსეთის პრეზიდენტი, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ჩაანაცვლა. სამიტში მონაწილეობაზე უარი თქვა, ასევე, ჩინეთის მმართველმა სი ძინპინმა, მის ნაცვლად პრემიერი ლი სანი იმყოფებოდა. ჯო ბაიდენმა სამიტის დაწყებამდე სინანული გამოთქვა სი ძინპინის არყოფნის გამო, რომელთანაც შეხვედრას გეგმავდა. დაიქადნა, მაინც შევხვდებიო, მაგრამ როდის ან სად, არ დაუკონკრეტებია. G-20 უღიმღამოდ დასრულდა. ტრადიციულად მიიღეს ერთობლივი დეკლარაცია, სადაც რუსეთის ქმედება არ დაუგმიათ, რასაც უკრაინასა და დასავლეთის ქვეყნებში ელოდებოდნენ. ჯო ბაიდენი არ დაელოდა სამიტის დასრულებას და ვიეტნამში გაემგზავრა.

რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ გაზაფხულზე გაუარესდა. გასულ კვირას თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ ტაიფ ერდოღანი ესტუმრა რუსეთის პრეზიდენტს. შეხვედრა სოჭში გაიმართა. პრეზიდენტების შეხვედრა სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა. მარცვლეულის შეთანხმებაში დაბრუნებაზე პუტინმა უარი უთხრა კოლეგას, ვიდრე მისი ქვეყნის პირობები არ დაკმაყოფილდება. სამაგიეროდ, მიაწვდის მილიონ ტონა ხორბალს, რომელსაც თურქეთი გადაამუშავებს და აფრიკის გაჭირვებულ ექვს ქვეყანას მიაწვდის. ხარჯებს ყატარი დაფარავს.

გასულ კვირას ზელენსკიმ საკადრო ცვლილება განახორციელა — ალექსეი რეზნიკოვის ნაცვლად თავდაცვის მინისტრად ყირიმელი თათარი უსტემ უმეროვი დანიშნა, რომელიც მხოლოდ რამდენიმე წელია, ცხოვრობს უკრაინაში. მთავარი სპონსორი და, ფაქტობრივად, მარჩენალი იგორ კოლომოისკი ზელენკიმ დააპატიმრა. უკრაინის ხელისუფლებამ თხოვნით მიმართა ევროკავშირის ქვეყნებს, დააბრუნონ ჯარში გაწვევის ასაკის მამაკაცები. პოლონეთში უკვე დაიწყეს ამ თხოვნის შესრულება.

დაბოლოს, აშშ-ის სასამართლომ 23 წლით პატიმრობა მიუსაჯა პირს კაპიტოლიუმის შენობის შტურმის წახალისებისთვის. საინტერესოა, რომ ეს პირი არათუ კაპიტოლიუმის შენობასთან, საერთოდ, ვაშინგტონშიც არ იმყოფებოდა.

გია ბურდული
551 71 27 07

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertogazeti.ge

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99